ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

7-8, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ხატია ნასყიდაშვილი, მარი ბაბაკიშვილი -
გლობალიზაციის პროცესი და საჯარო პოლიტიკა ----------6
ნინო ჭილაია - საქართველოს ლოჯისტიკური სისტემა:
პრობლემები და პერსპექტივები ---------- 17

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სერგო გელაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი - ჩრდილოვანი
ეკონომიკა და მისი პრევენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის-- 33

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

კობა აბლოთია - დედოლარიზაცია –
ეკონომიკის განვითარების შედეგი---------- 50
კახაბერ კუპატაძე - სავალუტო ბაზარზე
ვაჭრობისათვის აუცილებელი პირობები---------- 56

დარგობრივი ეკონომიკა

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,
ნათია შენგელია - ინვესტიციები და ფარმაცევტული ბიზნესის
განვითარების პერსპექტივები საქართველოში ---------- 64
George Gabedava - Maritime Logistics Perspectives in Georgia---------- 81
თენგიზ ლაჭყეპიანი, ხათუნა მურვანიძე, გიორგი ლოხიშვილი -
მებოსტნეობის განვითარების პრობლემები
და პერსპექტივები საქართველოში---------- 86
ლელა მესხიშვილი - საერთაშორისო დონეზე ქვეყნის
იმიჯი ტურისტთა უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული---------- 94

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია - ბუღალტრული
აღრიცხვის განვითარების პერსპექტივები
ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ----------106
ქეთევან კიწმარიშვილი - საწარმო ტექნოლოგია ----------113

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

იოსებ მასურაშვილი - ტექნოლოგიური პარკები
და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესში ----------120
ლელა მესხიშვილი - საფრთხეები ტურიზმში
და ქვეყნის მთავრობის როლი მათ გაუვნებლობაში ----------130
სალომე საყვარელიძე - საქართველოს ფოსტის
ფუნქციონირების ეფექტური გაუმჯობესება
ოპერაციული მენეჯმენტის მეშვეობით----------137
ელისაბედ ბალიაშვილი - მენეჯერებო, დაგეგმეთ დღე! ---------- 144
ქეთევან სიჭინავა - ციფრული ეკოსისტემის საფრთხეები ----------154
მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი - პერსონალის
შერჩევა თანამედროვე ბიზნესის მართვის პროცესში ----------166

მსოფლიო ეკონომიკა

ირაკლი პაჭკორია, მარი ლეკიშვილი -
ჩინეთის გეოეკონომიკური პოტენციალი----------172
კონსტანტინე კევლიშვილი, თათია ვახტანგაძე -
თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირსა და
იაპონიას შორის: პერსპექტივები, ბარიერები
და გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე----------182
ქეთი არჯევანიძე, ნელიკო მათეშვილი - ჰიბრიდული ომები
პოსტსაბჭოთა სივრცეში: ქეისი - დნესტრისპირეთის კონფლიქტი,
მოგვარების მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები ---193
თორნიკე თევდორაძე, ლუკა პანაიოტი - ეკონომიკური
პრობლემები 1930-იანი წლების ევროპასა და ამერიკაში ----------207

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Khatia Naskidashvili, Mari Babakishvili -
The Process of Globalization and Public Policy---------- 6
Nino Tchilaia - Georgia's Logistics System:
Problems and Perspectives ----------17

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Sergo Gelashvili, Giorgi Javakhishvili -
Shadow Economy and Its Prevention Significance for Georgia----------33

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

KOBA ABLOTIA – Dedollarization **-** The Result
of Economic Development ----------50
Kakhaber Kupatadze - Essential Conditions
for Trading in the Currency Market----------56

SECTORAL ECONOMY

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia -
Investments and The Prospects for Development
of Pharmaceutical Business in Georgia----------64
George Gabedava - Maritime Logistics Perspectives in Georgia --------81
Tengiz Lachkepiani, **Khatuna Murvanidze, Giorgi Lokhishvili -**
Problems and Perspectives of Vegetable
Production Development in Georgia----------86
Lela Meskhishvili - International Image
of the Country Depends on Tourists' Safety ----------94
Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia - The Development Perspectives
of Accounting in the Conditions of Financial Globalization ---------- 106

Ketevan Kitsmarishvili - Industrial Technology---------- 113

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Ioseb Masurashvili - Technology Parks and Their
Role in International Business ---------- 120
Lela Meskhishvili - Dangers in Tourism
and Government's Role in their Neutralization---------- 130
Salome Sakvarelidze - Effective Improvement of Functionality
of Georgian Post Through Operational Management---------- 137
Elisabed Baliashvili - Managers, Plan Your Day!" ---------- 144
Ketevan Sichinava - Threats of Digital Ecosystem---------- 154
Manana Samadashvili, Ekaterine Gobejishvili -
Selection of Personnel in Modern Business Management Process ---- 166

WORLD ECONOMY

Irakli Patchkoria, Mari Lekishvili - China's Geo-economic Potential --- 172
Konstantine Kevlishvili, Tatia Vakhtangadze -
Free Trade Agreement Between the EU and Japan:
Perspectives, Barriers and Impact on the Global Economy ---------- 182
Keti Arjevanidze, Neliko Mateshvili - Hybrid Wars
in the Post Soviet Area: Case- Transnistria War, Attempts
for Settling the Conflict and the Reasons of Failure---------- 193
Tornike Tevdoradze, Luka panaioti - Economic Problems
in the 1930's Europe and America ---------- 207

გლობალიზაციის პროცესი და საჯარო პოლიტიკა

ხატია ნასყიდაშვილი
მარი ბაბაკიშვილი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით. ის ასევე ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულობის ზრდის შედეგად.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები უწინდელ მნიშვნელობას კარგავს. აქედან გამომდინარე, ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიღა რჩება, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვის. საზოგადოება ქმნის კულტურას, რომელიც განსაზღვრავს მათ ფასეულობებს, რწმენას, ქცევასა და მსოფლმხედველობას. კულტურის შენარჩუნებას შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი ჰქონდეს ქვეყნის კეთილდღეობისთვის, თუმცა სამწუხაროდ დღევანდელ მსოფლიოში ძალიან გართულებულია ეროვნული იდენტობის დაცვა სხვა უფრო მძლავრი კულტურებისგან, მითუმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, რომელიც ხშირად ექცევა თავისი მეზობელი ქვეყნების გავლენის ქვეშ. გლობალიზაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ „პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა, რომელსაც დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა“.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საჯარო პოლიტიკა, ეკონომიკური ინტეგრაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციები, პოლიტიკის რეზულტატი, სავაჭრო ზონები, საბაჟო კავშირები.

ძირითადი ტექსტი

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს გლობალიზაციის პროცესსა და საჯარო პილიტიკას ერთმანეთთან ? სანამ განვიხილავთ ამ ორი თემატიკის ერთმანეთთან შერწყმისა თუ ზეგავლენის საკითხს, პირველ რიგში აუცილებელია რომ განვმარტოთ სხვადასხვა მეცნიერების მიერ აღნიშნული „საჯარო პოლიტიკის“ არსი.

საჯარო პოლიტიკის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დეფინიცია არსებობს. ფართო განსაზღვრებით, საჯარო პოლიტიკა არის სამთავრობო ჯგუფის დამოკიდებულება გარემოცვისადმი. მსგავსი განსაზღვრება ნაკლებად იმსახურებს ნდობას, რადგან იმდენად ფართოა, რომ საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი საჯარო პოლიტიკას განმარტავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში მთავრობის მიერ არჩეულ ან უარყოფილ ნებისმიერ კურსს. თუმცა, ამ დეფინიციაში სულაც არ კონკრეტდება, თუ რას გადაწყვეტს და რას უარყოფს მთავრობა. ამდენად, ტერმინის განსამარტავად არც ამ დეფინიციაზე დაყრდნობა გამოგვადგება. თუკი საჯარო პოლიტიკაში ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი გულისხმობს ყველაფერს იმას, რის განხორციელებას ან არ განხორციელებასაც მთავრობა გადაწყვეტს, პროფესორი რიჩარდ როუზი კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მეტად საჯარო პოლიტიკაში გულისხმობს მომავლისკენ მიმართულ, ერთმანეთთან მეტ-ნაკლები კავშირის მქონე ღონისძიებათა გრძელვადიან სერიას. როუზის პოზიციას, რომლის თანახმადაც საჯარო პოლიტიკა ესაა მოქმედებათა ერთობლიობა და არა რაიმე საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში, ბევრი მკვლევარი იზიარებს. კარლ ფრიდრიხი გვთა-

ვაზობს შემდეგ დეფინიციას - საჯარო პოლიტიკა ესაა ცალკეული ინდივიდების, ჯგუფების ან მთავრობის მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც შესაბამის პირობებში დასახული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. საჯარო პოლიტიკა განიხილება, როგორც გარკვეულ მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული სასურველი რეზულტატების უზრუნველსაყოფად.

საჯარო პოლიტიკა დაკავშირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე და ხორციელდება სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურების მიერ. თუმცა, ეს აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო სტრუქტურების ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავს. დევიდ ისტონი ამ კატეგორიის აქტორებს, ერთი შეხედვით აუტსაიდერებს, პოლიტიკურ სისტემაში „ავტორიტეტების“ სახელით მოიხსენიებდა. საჯარო პოლიტიკა მიმართულია სასურველი შედეგების მიღწევისკენ და ამ გაგებით საჯარო პოლიტიკის განმახორციელებელნი გამოდიან ერთგვარი დიზაინერების, ჰიპოთეზურად პროექტირებული მომავლის რეალიზატორების როლში. თუმცა, წინასწარ დასახული მიზნების რეალური განხორციელება ყოველთვის როდი ხერხდება. ამასთან გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. კერძოდ, საჯარო პოლიტიკა თავის არსში არა მარტო გადაწყვეტილების მიღებას, არამედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის საჭირო გზების განსაზღვრასა და გადაწყვეტილების რეალიზაციის პროცესში არსებული წინააღმდეგობების დაძლევასაც გულისხობს.

როდესაც ვეცნობით საჯარო საკითხებში არსებულ პრობლემებს და ამავდროულად მიმოვიხილავთ გლობალიზაციის პროცესს, პირველ რიგში თვალში საცემია ის ფაქტი რომ საქართველო „სამართავ“ ბერკეტებს, რეკომენდაციებს, რეფორმებს, ძირითადად უცხოური პარტნიორი ქვეყნებიდან გამომდინარე იღებს და ახორციელებს. რის გამოა ეს ყოველივე გამოწვეული ? ალბათ მთავარი ფაქტორი მაინც ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მის მიერ გამოვლილ გზაში უნდა ვეძიოთ. საკმაოდ რთული სალაპარაკოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი

თავისი არსებობობის მანძილზე ყოველთვის უწევდა მტრებთან გამკლავება, რამაც უდიდესი კვალი დაამჩნია მთელს ისტორიას, ქართულ ეთნოსს, ენას, განვითარებას, ტერიტორიას და ასე შემდეგ. სწორედ მუდმივმა და გაუთავებელმა ომმა, დაძაბულობამ, აგრესიამ, და თანდათანობით განვითარებულმა გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, უჭირს დამოუკიდებლად სასურველი ნაბიჯის გადადგმა, რაც ბუნებრივია მთლიანად აისახება ქვეყნის, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკასა და საჯარო პოლიტიკაზე. როდესაც ქვეყანაში არსებობს უამრავი პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია, რაიმე ტიპის ნიშნის გაერთიანება, რთულია, ქვეყანა მივიდეს კონსენსუსამდე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი ვალდებულია გაითვალისწინოს უამრავი ტიპის არსებული ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული ვალდებულებები. სავარაუდოა ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის პროცედურები ქვეყნის განვითარებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს საკმაოდ აფერხებს, რის შედეგადაც მას უწევს საერთაშორისო ასპარეზზე უცხოელი პარტნიორებისგან რეკომენდაციების და შემწეობის მიღების მოლოდინით ათასგვარი პროცედურების გავლა, რომლის შემდეგაც შესაძლოა ქვეყანაში არსებული რეალური პრობლემა საერთოდ აღარ ექვემდებარებოდეს კონტროლს.

ზოგადად როდესაც ვსაუბრობთ გლობალიზაციაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი დადებითი მხარეებიც. მხოლოდ ის ფაქტი რომ გლობალიზაციის პირობებში სატარიფო ბარიერები, ქვოტები, იმპორტ-ექსპორტი უფრო გამარტივებულია, ქვეყნებს შორის ურთიერთობაც უფრო მისაღები გახდა და ქვეყნებიც გადაერთვნენ სხვადასხვა ტიპის დიპლომატიური მოლაპარაკების სტანდარტებზე. თუმცა თითქმის ვერსად ვერ ვნახავთ კითხვას : ვისთვის არის გლობალიზაცია კარგი და ვისთვის - ცუდი ? ალბათ დღევანდელ გლობალურ პირობებში რთული მისახვედრი არაა, რომ უპირატესობა მაინც იმ ქვეყნების ხელშია, რომელთაც გააჩნიათ ტერიტორია, ძალაუფლება

და ბირთვული შეიარაღება, დანარჩენი მსოფლიო კი თითქმის უბრალოდ „თამაშ-დამყურე“ მდგომარეობაში და ვერ იღებენ რეალურ გადაწყვეტილებებს. უღირს თუ არა საქართველოს ან საქართველოსნაირ პატარა ქვეყნებს რეალურად გლობალიზაციის ამ გარდაუვალ პროცესში აქტიურად ჩაბმა ისე, რომ არ შეიცვალოს მათი საჯარო, საგარეო პოლიტიკის შეხედულებები და გლობალიზაციის გამო არ მოუწიოთ ისეთ საკითხებზე თვალის დახუჭვა, რაც მათთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ შეგვიძლია მრავალნაირად შემოვატრიალოთ საკითხი და მრავალი გამართლება თუ სუსტი ადგილიც მოვუძებნოთ.

საჯარო პოლიტიკა დაკავშირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე და ხორციელდება სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურების მიერ, თუმცა ყოველთვის ისმის კითხვა, რამდენად იღებს სამთავრობო სექტორი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს? თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში რთულია განსაზღვრო თუ სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები, რაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს. როდესაც ქვეყანა გამუდმებით ითხოვს რეკომენდაციებს, დახმარებებს, რაღაც ვალდებულებას ან ვალს იღებს მოვალესგან. ვალი შესაძლოა იყო სხვადასხვანაირი და არა მხოლოდ მატერიალური. უცხო ქვეყნის წარმომადგენელს შესაძლოა სურს მისთვის სასურველი პოლიტიკის განხორციელება, მისთვის სასურველი პირის დანიშნვა, მისთვის სასურველი ნიადაგის შექმნა, რასაც მომავალში აუცილებლად თავის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ამ მსჯელობის მიხედვით არ იქნება სწორი რომ ჩირქი მოვცხოთ ყველა ორგანიზაციასა თუ ქვეყანას. თუმცა ჯერ კიდევ ნიკოლო მაკიაველი თავის წიგნ „მთავარში“ წერს: „დაპყრობილ ქვეყანაში არ უდნა დავუშვათ შემდეგი შეცდომები : ხელი არ უნდა შევუწყოთ ძლევამოსილი მტრის გაძლირებას, არ უნდა გავანადგუროთ ნაკლებ ძლიერნი, არ უნდა მოვუხმოთ მოზიარედ უცხოტომელს და აუცილებელია დაპყრობილ ტერიტორიაზე დავაარსოთ კოლონიები“. ჩამოთვლილი ფრაზები აღნიშნავს იმ გარემოებებს, როდესაც ერთი ქვეყანა

იპყრობს მეორეს, თუმცა ამ ფრაზებიდან ერთი მიმაჩნია მეტად ჭეშმარიტად: იმ შემთხვევაშიც კი თუკი ქვეყანა სუსტია და უბრალოდ არსებობისთვის იბრძვის : „არ უნდა მოვუხმოთ მოზიარედ უცხოტომელს“ სწორედ ამ ფრაზის პერიფრაზირება ვფიქრობ იქნება ყველაზე კარგი მაგალითი დღევანდელი გლობალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის განსაზღვრაში. ჩვენ დიდი ხანია ვითხოვთ შველას და სხვადასხვა ქვეყნების დახმარებას, რათა როგორმე მოვახდინოთ და შევაჩეროთ რუსეთის აგრესია, დავიბრუოთ დაკარგული ტერიტორია და გვქონდეს საკუთარი, დამოუკიდებელი პარლამენტი და მთავრობა, რომელიც არ იქნება არცერთი მხარის, არცერთი ქვეყნის იდეების გამზიარებელი და არ მიიღებს დასკვნებს სხვების შემხედვარე. რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ, რომ არ მოვუსმინოთ არავის და გადაწყვეტილება მხოლოდ ჩვენით მივიღოთ. კარგია, რომ რჩევის მომცემი მხარეები გყავს, თუმცა ეს არ უნდა მივიღოთ ისე, რომ მათ მხოლოდ ჩვენთვის კარგი უნდათ და ისიც უსასყიდლოდ. ბუნებაში არაფერი არ ამოდის და არ ვითარდება არაფრიდან, ყველაფერს გააჩნია თავისი ფასი და ნებისმიერი ქმედება გამიზნულია შედეგის მიღწევისკენ. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ რეკომენდაციები, დახმარებები, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საჯარო პოლიტიკის ან ქვეყნის აღებული გეზის საწინააღმდეგოდ და არ უნდა მივცეთ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს იმის საშუალება, რომ ღიად ჰქონდეთ შეხება სახელმწიფო საიდუმლოებებთან.

გასათვალისწინებელია, რომ საჯარო პოლიტიკაში იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ის აქტები, რომელიც ხორციელდება და არა ის ინიციატივები, რაზეც მიმდინარეობს მსჯელობა, ანდა რომლის განხორციელებაც იგეგმება. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან **Policy ouput** (პოლიტიკის შედეგი/რეზულტატი) და **Policy outcome** (პოლიტიკის შედეგი/რეზულტატი). ორივე მათგანი ერთნაირად ითარგმნება. თუმცა, თუკი პირველში ამა თუ იმ სოციალურ სფეროში გატარებული კურსის პირდაპირი შედეგები იგულისხმება (ხშირ შემთხვევაში მისი გამოხატვა ციფრებითა და პროცენტული მაჩვენებლებით ხდება), მეორე - გა-

ტარებული პოლიტიკის ირიბ შედეგებზე მიუთითებს, ანუ ასახავს თუ რა გავლენა იქონია მიღებულმა შედეგებმა უკვე სხვა სფეროებსა და სხვა პრობლემატიკის მოხსნა-შემცირებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველში იგულისხმება პოლიტიკის რეზულტატი, მეორეში კი ამ მიღებული რეზულტატის ზეგავლენა.

თანამედროვე პირობებში, გლობალიზაციის ახალ ეტაპად, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია გვევლინება. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებაზე არსებითი გავლენა ორმა ფაქტორმა – მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ტრანსეროვნული კომპანიების წარმოქმნამ განაპირობა. თავად მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე ინტეგერაციული პროცესების განვითერების პრაქტიკა მიგვანიშენბს მათი ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ოთხი ეტაპის არსებობაზე. კერძოდ: 1. თავისუფალი სავაჭრო ზონების დაარსება; 2. საბაჟო კავშირების შექმნა; 3. ეკონომიკური კავშირების წარმოქმნა; 4. ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება.

სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიშვნენ ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდგომ, ჩაერთვნენ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში; არც ამიერკავკასია დგას ამ მოვლენებისაგან განცალკევებულად. მიმდინარეობს ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს მსოფლიო თამანეგობრობაში ინტეგრაციის პროცესი. ინტეგრაციის ასპარეზის სტრუქტურა ისეთია, რომ კავკასია აღმოჩნდა ერთ-ერთი „გარდატეხის წერტილი“

როდესაც ვსაუბრობთ იმ ქვეყნებზე რომლებიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ისინი მოგვიანებით ჩაერთვნენ გლობალიზაციის პროცესში, რომელიც დანარჩენ მსოფლიოში შედარებით ადრე დაიწყო. შესაძლოა სწორედ ამის გამო ისინი ვეღარ იღებენ იმ სარგებელს, რასაც სხვა ქვეყნები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დიდი ქვეყნებისთვის გლობალიზაცია არ მიიჩნევა რაიმე ტიპის საფრთხედ, რადგან მათი ეკონომიკა მყარად დგას. თუმცა სულ ახლახანს დავინახეთ, რომ ევროკავშირი დატოვა დიდმა ბრიტანეთმა. დიდი ბრიტანეთის ეს საქციელი, შეგვიძლია მივაწეროთ გლობალიზაციის პროცესსაც

და იმ ფაქტს რომ ასეთმა დაახლოვებამ (იგულისხმება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართ არსებულმა გაფორმებულმა შეღავათებმა) ქვეყანას მოუტანა დიდი ეკონომიკური ზარალი თუმცა კამერონის თქმით: ეკონომიკა არ არის ერთდერთი საკითხი, რის გამოც ბრიტანეთი კავშირის შემადგენლობაში უნდა დარჩეს. მისი თქმით ტერორიზმის საუკუნეში გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც უსაფრთხოებაა. სწორედ ამ ფაქტებით უნდა ვივარაუდოთ,რომ გლობალიზაციამ ასევე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საჯარო თუ საშინაო პოლიტიკაზე.

დასკვნა

როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. თუ განვიხილავთ საქართველოში უცხოური ინვესტიციების სტრუქტურას, დავასკვნით, რომ უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში იზრდება იმ ქვეყნების ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ლიდერის მდგომარეობას განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, გლობალიზაციას, როგორც მიმდინარე შეუჩერებელ ტემპს, თან ახლავს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც, რომლებმაც შესაძლოა, ქვეყნის გავითარებაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს. თუმცა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ისე, რომ არ მოხდეს მის შიდა სახელმწიფოებრიობაში ჩარევა სხვა ქვეყნის მიერ. საჭიროა რომ ქვეყანა თავის არჩეულ კურსს მიყვეს ისე, როგორც მისთვის იქნება უკეთესი და არა სხვა ქვეყნების წარმომადგენლების სურვილისამებრ. ამისათვის კი საჭიროა ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარება და საერთო, საღ აზრზე დადგომა, რომელიც ბევრად გაამარტივებს გლობალიზაციის პროცესში უმტკივნეულოდ ჩართვას.

ლიტერატურა:

1. ახრახაძე თეონა „გლობალიზაციის პროცესი პატარა ქვეყნების განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს „ ინტერნეტი: http://www.Lari.Ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitarebaze-negatiur-gavlenas-axdens-.Html ბოლო ნახვა: 13.07.2017

2. დავითაშვილი, ზურაბ. 2003. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: „მეცნიერება“.

3. რონდელი, ალექსანდრე. 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: „ნეკერი“

4. „საჯარო პოლიტიკა და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი“ ინტერნეტი: http://www.Nplg.Gov.Ge/gsdl/cgi-bin/library.Exe?E=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-ru-00---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.24.2.3&d=HASH384d92c6a78dfd0a94959e.5 ბოლო ნახვა: 14.07.2017

5. მოსიაშვილი, ვალერ. 2012„საქართველო გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში“, ინტერნეტი:

Https://mosiashviliblog.Wordpress.Com/2012/11/19/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%aa%E1%83%98%E1%83%98/ ბოლო ნახვა; 14.07.2017

REFERENCES:

1. Akhrakhadze, Teona. *„The process of globalization has a negative effect on the development of small states"* http://www.Lari.Ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitare-baze-negatiur-gavlenas-axdens - .Html last seen: 13.07.2017

2. Davitashvili, Zurab. 2003. *Nationalism and Globalization*. Tbilisi: „metsniereba".

3. Rondeli, Aleksandre. 2006. *International Relations.* Tbilisi: „Neker"

4. „Public policy and the process of public-policy governing" http://www.Nplg.Gov.Ge/gsdl/cgi-bin/library.Exe?E=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-ru-00---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0--11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.24.2.3&d=HASH384d92c6a78dfd0a94959e.5 last seen: 14.07.2017

5. Mosiashvili, Valer. 2012. *„Georgia in the ongoing tendencies of globalization"* https://mosiashviliblog.Wordpress.Com/2012/11/19/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%aa%E1%83%98%E1%83%98/ last seen: 14.07.2017

THE PROCESS OF GLOBALIZATION AND PUBLIC POLICY

Khatia Naskidashvili
Mari Babakishvili
Bachelor Students, tsu

RESUME

Globalization is a modern concept and it describes the changes in society and global economy, which is due to the increase of international trade and cultural exchanges. Globalization also expresses the growth of trade and investment in accordance to the rise of interdependancy between states. In the era of globalization, the economic and political boundaries of states loses its old meaning. On the other hand, Public policy is an action of individuals, groups or governments, which is implemented in certain cases for certain reasons. It is connected to the decisions the governments make on the local and state level.

Globalization, with its ongoing unstoppable processes, has its positive and negative sides, which can have a significant effect on the development of states. Inspite that, states should benefit from it without having other states intervene in domestic politics. A state should follow its chosen course in a way, that is beneficial to itself and not for the representatives of other states. To achieve this, dealing with domestic problems and having an united mindset is necessary, which would help to integrate in the process of globalization.

Key Words: Globalization, public policy, politics, economic integration, transnational corporations, political results, trade zones, custom ties.

საქართველოს ლოჯისტიკური სისტემა: პრობლემები და პერსპექტივები

ნინო ჭილაია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციის გამწვავებამ და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ლოჯისტიკური სისტემის ოპტიმიზაციისა და ლოჯისტიკური პოტენციალის გამოყენების აუცილებლობა. ლოჯისტიკური პოტენციალის სრულად ათვისება წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკეული ბიზნესის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს, ვინაიდან ხელს უწყობს ქვეყნების ინტეგრაციას გლობალურ ლოჯისტიკურ ქსელში და მათ ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიო ბაზრებთან.

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ დიდ ლოჯისტიკურ შესაძლებლობებს სთავაზობს, განსაკუთრებით სატრანზიტო ცენტრად გადაქცე-ვისთვის. თუმცა, ქვეყნის დონეზე არ ხდება არსებული პოტენციალის სრულად ათვისება. აღნიშნულის მიზეზად ზოგადად საქართველოს ლოჯისტიკური სისტემა და მისი სრულყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები შეიძლება დავასა-ხელოთ, რომელთაც არც ისე სახარბიელო შედეგი აქვს.

საკვანძო სიტყვები: ლოჯისტიკა, ლოჯისტიკური სისტემა, გლობალური ლოჯისტიკური ქსელი, სატრანზიტო ცენტრი, პრობლემები, პერსპექტივები

შესავალი

კონკურენციის პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სატრანზიტო ფუნქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ ფუნქციის ეფექტური გამოყენება უნდა წარმოადგენდეს. ლოჯისტიკუ-

რი პოტენციალის სრულად გამოყენებას უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული მნიშვნე-ლობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის. ეს ხომ ქვეყნისა და რეგიონული შემოსავლის ზრდის, მოსახლეობის შრომითი დასაქმებისა და საქართველოს საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ინტეგრაციის წინაპირობაა.

ძირითადი ტექსტი

საქართველო ლოჯისტიკის დარგის განვითარების დონით საწყის ეტაპზე იმყოფება და ლოჯისტიკური ბაზარი საკმაოდ ფრაგმენტირებულია, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია დარგში არსებული და დღემდე გადაუჭრელი პრობლემებით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან შესამჩნევია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც დადებითად უნდა ასახულიყო დარგის განვითარებაზე, საქართველოს ლოჯისტიკური სისტემას საკმაოდ გრძელი გზა რჩება გასავლელი სრულყოფამდე.

საქართველოს ლოჯისტიკური სისტემის განხილვა ეკონომიკის მაკრო და მიკრო ჭრილში, შემდეგნაირ სურათს მოგვცემს:

სამართლებრივი გარემო. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმება დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან ქვეყანაში განხორციელდა რიგი სამართლებრივი რეფორმები, რამაც ირიბი გავლენა მოახდინა ლოჯისტიკის დარგის განვითარებაზე მეწარმეთა წახალისებით:

- შემცირდა ბარიერები და კვოტები, როგორც იმპორტირებულ, ასევე ექსპორტირებულ პროდუქციაზე;
- გაუქმდა საბაჟო ტარიფები ექსპორტსა და რე-ექსპორტზე;
- გაფორმდა „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმები“ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებთან;
- დადგინდა პრეფერენციული ტარიფები აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასთან, იაპონიასთან და ნორვეგიასთან - ნულოვანი

ტარიფი ან/და დაბალი ტარიფი საქართველოდან ამ ქვეყნებში ექსპორტირებულ საქონელზე;

- დადგინდა GSP + ევროკავშირთან, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს პროდუქცია დაბალი ტარიფით გაიტანოს ექსპორტზე ევროკავშირის ბაზარზე;

- იმპორტირებული პროდუქციის 90%-ზე გაუქმდა საბაჟო გადასახადი, დარჩენილზე კი ვრცელდება 5% და 12%-ანი საბაჟო გადასახადი;

- გამარტივდა განბაჟების პროცედურა;

- დღგ 20%-დან შემცირდა 18%-მდე, საშემოსავლო გადასახადი 25%-დან შემცირდა 20%-მდე, მოგების გადასახადი 15%-ია, საკუთრების გადასახადი 0-1%-მდე მერყეობს;

- 84%-ით შემცირდა ნებართვებისა და ლიცენზიების მოთხოვნა იმპორტირე-ბულ პროდუქციაზე და შენარჩუნდა მაღალი რისკის პროდუქტებსა და ბუნებრივ რესურსებზე;

- ორმაგი დაბეგვრა გაუქმდა გარკვეულ ქვეყნებთან;

- თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ამოქმედდა თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვედთან, თურქმენეთთან, ყაზახეთთნ, ბელორუსეთთან, ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან;

- მიკრო ბიზნესები (ბრუნვა 30 ათას ლარზე ნაკლები) გათავისუფლდა გადასახადებისგან;

- გაფორმდა ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო ხელშეკრულება ევროკავშირთან.

ჩამოთვლილი ღონისძიებები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. მათი განხორციელების მთავარი მიზანი ქვეყნის სამრეწველო სექტორის ხელშეწყობა და საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა იყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ შემცირებულ ტარიფებს, გამარტივებულ საბაჟო პროცედურებს, შეღავათიან სავაჭრო რეჟიმებსა და ლიბერალურ საგადასახადო რეფორმას არაპირდაპირი გავლენა უნდა მოეხდინა ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარებაზე, მათ შორის ლოჯისტიკაზეც. ლოჯისტიკის დარგისთვის აღნიშნული რეფორმები მაკრო გარემოში შემავალი ეკო-

ნომიკური ფაქტორის პოზიტიური გამოძახილი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებული ტექნო-ლოგიური დონე, რაშიც უპირველეს ყოვლისა მოიაზრება ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა დარგის განვითარების მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება.

განვითარებული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სატრანსპორტო და საბაჟო სისტემის განვითარებისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობის ამოცანა სტრატეგიის დოკუმენტში სატრანსპორტო სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება იყო, რაც გულისხმობდა საინფორმაცო სისტემების განვითარებას და ტრანსპორტის სტატისტიკის ერთიანი ბაზის ფორმირებას; სატრანსპორტო დოკუმენტების ელექტრონულად დამუშავების სისტემის დახვეწას და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვა. შედეგად, თუკი მრავალი წლის წინ ტრანზიტი საქართველოს გავლით იყო ხანგრძლივი და ძვირადღირებული შეთავაზება, სასაზღვრო რეფორმებმა, რომლებიც 2004 წლიდან განხორციელდა, რადიკალურად გაამარტივა პროცესები და ძალიან ეფექტიანი გახადა სისტემა. ახალი მოდელის წყალობით, გაუქმდა წვდომა სატრანსპორტო-ექსპედიტორულ პროფესიულ რეგულაციებთან, საქონლის გაფორმების დრო საქართველოში მინიმუმამდე დავიდა და (გაფორმებაში) მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა საზღვარზე ერთამდე შემცირდა, ეს ერთეულია საქართველოს შემოსავლების სამსახური.

„ერთი ფანჯრის“ პრინციპის წარმატებულმა დანერგვამ ვერ შეძლო სრულად აღმოეფხვრა საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით ეს ეხება სატრანსპორტო კომპანიების მოცდის დროს. მაგალითად, ამჟამინდელი ხაზოვანი საზღვარი (რომელიც შეზღუდულია იმის გამო, რომ არ არსებობს ფიზიკური სივრცე სასაზღვრო გამშვებ პუნქტში ეფექტური ღონისძიებების განსახორციელებლად) და დღეს არსებული

„პირველად მოსულს პირველს უნდა მოემსახურონ“ წრფივი სისტემა ხანგრძლივი ლოდინის მიზეზია. ამდენად, უნდა შემუშავდეს რიგის მართვის გარკვეული მექანიზმი, დაბალრისკიან ტვირთებს უნდა მოემსახურონ დროულად და ისინი უნდა გამოიყოს დანარჩენისგან სწრაფი შემოწმების ხაზში. სასურველი იქნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა, რომელიც მიმდინარე პროცესებს აფასებს და მომსახურების განხორციელების, აღსრულების და სტრატეგიული დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო. ქვეყანას ამბიცია აქვს გაზარდოს ტვირთბრუნვა, გახდეს ლოჯისტიკური ლიდერი მეზობელ ქვეყნებს შორის, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი ტვირთების მომსახურებას; გადაზიდვისა და ლოჯისტიკური მომსახურების ფასი არაკონკურენტუნარიანია; არ არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლოჯისტიკური ცენტრები.

საქართველომ აირჩია სატრანსპორტო სფეროს განვითარების მეტად დინამიური პოლიტიკა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ეს პოლიტიკა მიმართულია, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს კერძო სექტორის მონაწილეობა პორტებისა და აეროპორტების მართვაში და ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული მიმართულებით ინვესტიციები. აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის განახლება საერთაშო-რისო საავტომობილო გზების სტანდარტების შესაბამისად დაწყებულია და მისი დასრულება 2020 წლისთვის არის დაგეგმილი, თუმცა ქვეყნის გზების ქსელის მდგრადი განვითარება კვლავ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დანიშნულების გზების 76 პროცენტის მდგომარეობა მიიჩნევა კარგად ან დამაკმაყოფილებლად, აღნიშნული საერთაშორისო დანიშნულებისა და მთავარი გზების სიმძლავრე არაადეკვატურია მაღალი სატრანსპორტო მოძრაობის გასატარებლად. ეს ძირითადად განპირობებულია გზების ტექნიკური მომსახურების არასაკმარისი დაფინანსებით და შეუსრულებელი სარემონტო სამუშაოების დაგროვებით. მარეგულირებელი ზედამხედველობისა და პროფესიული ნორმების გაუმჯობესება

წარმოადგენს პრიორიტეტს ზოგადად მომსახურების სფეროს გასაუმჯობესებლად. წესები, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ინდუსტრიას საქართველოში, თანდათანობით თავისი არსით დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს (EU acquis), პროფესიული კომპეტენციის, სანიმუშო რეპუტაციისა და ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით. ბაზრის მხოლოდ ის მონაწილეები ექვემდებარებოდნენ ასეთ წესებს, რომელთაც შეტანილი ჰქონდათ განაცხადი საერთაშორისო ოპერირების მრავალჯერადი ნებართვის მოსაპოვებლად. ქართველ ოპერატორებს მოეთხოვებათ აღნიშნული კრიტერიუმების შესრულება ტრანსპორტის მინისტრთა ევროპული კონფერენციის (ECMT) მიერ განაწილებულ კვოტებზე საქართველოსთვის წვდომის მოსაპოვებლად. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული რეგულაცია არ ავალდებულებს ადგილობრივ ოპერატორებს, რომ დააკმაყოფილონ პროფესიული საქმიანობის ნორმები ერთჯერადი საერთაშორისო ნებართვის მიღებისას. შესაბამისად, გამომდი-ნარე იქედან, რომ კომპანიათა უმრავლესობა ერთჯერადი ნებართვით სარგებლობს, არ ხდება მათი ხრიდან საავტომობილო ფლოტების განახლება და ამ მიზნით ხარჯების გაწევა.

საგზაო სატრანსპორტო მომსახურება კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოზიციაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ჩვენი მოკრძალებული აზრია, შემუშავდეს დარგის განვითარების სტრატეგია, რომელიც, ერთი მხრივ, შეძლებს ქვეყნისთვის ისეთი პოზიციის უზრუნ-ველყოფას, რომ მიიღოს სარგებელი ტრანზიტიდან და მეორე მხრივ, მოიტანს მიზნობრივ ინვესტიციებს, რომლებიც მიმართული იქნება მდგრადი განვითარებისკენ , შესაძლებლობების განვითარებასა და მარეგულირებელ რეფორმაზე.

ამჟამად საგზაო გადაზიდვების გამოყენება მნიშვნელოვნად უპირატეს მდგომარეობაშია საჰაერო გადაზიდვების განვითარებასთან შედარებით, რითაც სუსტდება საქართველოს, როგორც 700-900კმ რადიუსში სატრანზიტო აეროპორტის უპირატესობა. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ საჰაერო ტვირთების

მოცულობა კვლავ მოკრძალებულია (დაახლოებით 36,000 ტონა 2016 წელს) და ექსკლუზიურად კონცენტრირებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. საჰაერო გადაზიდვების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად თბილისის აეროპორტის თვითმფრინავებისთვის პარკირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვისთვის განკუთვნილი ახალი სივრცე ქმნის, რაც განაპირობებს გარკვეულ შეზღუდვებს დიდი ზომის თვითმფრინავების მიღების თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პარკირების სივრცესთან დაკავშირებული მოთხოვნების შესწავლა ავიამზიდების სხვადასხვა ტიპისთვის და ოპერაციებისთვის. ამიტომ, დროულად უნდა იქნეს განიხილული თვითმფრინავების პარკირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვისთვის განკუთვნილი ძველი ან ახალი სივრცის რეაბილიტაცია.

საქართველოს პორტები იმ დერეფნების მთავარი ნაწილია, რომელთა მეშვეობითაც ტრანზიტი ხორციელდება კავკასიის რეგიონისკენ შავი ზღვის გავლით და პირდაპირი წვდომა აქვს რკინიგზასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგის-ტრალთან. სანავსადგურო პოტენციალის განვითარებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2003 წელს, დამტკიცდა პრეზიდენტის ბრძანებულება (2003 წლის 8 იანვრის პრეზიდენტის ბრძანებულება 3, „საქართველოს სანავსადგურო პოტენციალის განვითა-რების კონცეფციის შესახებს“), რომლის მიზანიც საქართველოს ნავსადგურების პოტენციალის განვითარება იყო. 2012-2015 წლების ქვეყნის სტრატეგიის დოკუმენტშიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად საზღვაო პორტების განვითარება გვევლინებოდა. საქართველოს მთავრობის მიერ დეკლარირებულ გეგმაში საზღვაო პორტების შესახებ ნათქვამი იყო: „მიზანია საპორტო ინფრასტრუქტურის კარგად განვითარება, რომელიც მორგებული იქნება სატვირთო, სამგზავრო გადაზიდვების და სატვირთო-სამგზავრო გადაზიდვების სწრაფ და იაფ მომსახურებაზე“. მიუხედავად ამისა, 2003 წლის შემდეგ კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა ამ მიმართულებით. ძირითადი პრობლემები პორტებთან მიმართებაში უკავშირდება მაქსიმალურ დატვირთვასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, ტვირთბრუნვის ზრდას

და კონკურენტული ალტერნატივების ეფექტს (მაგ. ყარსი - თბილისი - ბაქო სარკინიგზო კავშირი). რაც შეეხება ტვირთბრუნვის ზრდას, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოს პორტების სრული დატვირთვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს. 4 წლის წინ ხელისუფლებამ ექსპორტის ზრდის მიზნით სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაც ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახა. ბოლო 3 წლის განმავლობაში 2,8 მლნ ლარის ინვესტიცია ჩაიდო ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში, რაც ნამდვილად არასაკმარისია დარგის სრულყოფისთვის. ბოლო 10 წლის განმავლობაში, სატრანსპორტო-საექსპედიციო პოტენციალის დანახვის შემდეგ ბევრი ამ ტიპის კომპანია შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ ისინი თავიანთი მოძველებული სატრანსპორტო საშუალებათა პარკით, სუსტი ინფრასტრუქტურით ვერ პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს და შესაბამისად, შემცირებული აქვთ საქმიანობის მასშტაბები. რაც შეეხება არაკონკურენტუნარიან ფასებს, ეს პრობლემაც გადაუჭრელია.

საქართველოს რკინიგზა სატრანზიტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია. ლოჯისტიკოსთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული შეფერხება სარკინიგზო ტრანსპორტის თვალსაზრისით მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობის ხელმისაწვდომობა და არაადეკვატური ხარისხია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დახურული ვაგონი კარგ მდგომარეობაშია, ვაგონ-პლატფორმების დიდი ნაწილი მოძველებულია. ამასთანავე, ძნელად ხელმისაწვდომია სპეციალური მოძრავი შემადგენლობა მძიმე ტვირთების ან სამაცივრო მომსახურებისთვის. ამას გარდა, საქართველოს რკინიგზის პარკში არსებული ელმავლების უმეტესობამ ამოწურა ექსპლუატაციის ვადა. ყოველივე ეს განაპირობებს დაბალ ეფექტიანობას სატრანზიტო დერეფნის გარკვეულ მონაკვეთებში. კომერციული თვალსაზრისითაც შეიმჩნევა პრობლემები. საქართველოს რკინიგზის ტარიფები ბევრად აღემატება მეზობელი რუსეთის ტარიფებს, რაც კომბინირებული გადაზიდვების (ზღვა-რკინიგზა-გზა) დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება. აქედან გამომდინარე, საჭიროა სარკინიგზო ტარიფების ჰარმონიზაცია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავტომატიზაცია და

საქართველოს რკინიგზის დაჯავშნის სისტემა გაუმჯობესდა. თუმცა, ერთიანი შეთანხმებული ტარიფის არარსებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს, დერეფნის აღმოსავლეთის მიმართულებით ბაქოსკენ და მის ფარგლებს მიღმა გამოყენების თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა მთლიანად არ იყოს საქართველოს რკინიგზაზე დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ერთობლივი მიდგომა მეზობელ ქვეყნებსა და საქართველოს შორის და სხვადასხვა პროექტების შემუშავება.

საქართველოს კანონის „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ თანახმად, სატრანსპორტო ბაზრის ყველა მონაწილისათვის ფასწარმოქმნის თანაბარი პირობები უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, თუმცა თანამედროვე ეტაპზე საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის უმეტესი საწარმოები სატრანსპორტო მომსახურებაზე ადგენენ თავისუფალ ტარიფებს. სარკინიგზო ტრანსპორტი საკანონმდებლო წესით მთლიანად ბუნებრივი მონოპოლიის ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება. ტვირთების და მგზავრთა გადაზიდვების ტარიფებს არეგულირებს სახელმწიფო. შესაბამისად, საქართველოს რკინიგზის ტარიფი კონკურენციას ვერ უწევს სახმელეთო ტარიფს, რაც ტვირთბრუნვის მოცულობაზე პირდაპირ აისახება და აფერხებს სარკინიგზო ლოჯისტიკის განვითარებას. შესაბამისად, ხელისუფლების მიერ შესამუშავებელია ერთგვარი მიდგომა, რომელიც ფასების დარეგულირებისკენ იქნება მიმართული.

ეკოლოგიური გარემო. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გამკაცრდა გარემოს დაცვისადმი მოთხოვნები და ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. კერძოდ, შემუშავდა ნარჩენების მართვის მდგრადი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების პრინციპები და პრიორიტეტები, მოხდა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა და გაუმჯობესება. შემუშავდა ცალკეული დირექტივები, რომლებიც ეხება ჰაერის დაბინძურებას კონკრე-

ტული წყაროებიდან, როგორიცაა მსხვილი საწარმოები და საავ-ტომობილო ტრანსპორტი. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით საყურადღებოა საავტომობილო ტრანსპორტის კომპანიებისა-თვის. გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების შემდეგ გამკაცრდა მოთხოვნა საწარმოო დანადგარებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე და საწარმოების მიერ გარემოსდაცვითი დაბინძურების შემცირე-ბაზე. მაშასადამე, შეგვიძლია აღვნიშნოთ ევროკავშირთან ასო-ცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ საქართველოშიც წინა პლანზე უნდა წამოწიოს მწვანე ლოჯისტიკის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე მწვანე ლოჯისტიკა ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ქარ-თულ პრაქტიკაში, სამომავლოდ უნდა ველოდოთ საწარმოთა ინს-პექტირებისა და მონიტორინგის გამკაცრებას გარემოსდაცვით საკითხებში. ეს, ერთი მხრივ, დაბლოკავს ბევრ მცირე საწარმოს, რომელთაც ფინანსური რესურსების სიმწირის გამო არ შეუძლიათ დანადგარებში ინვესტირება, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს შეუწყ-ობს ლოჯისტიკის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას ჩვენს ქვეყანაში.

სოციო-კულტურული და დემოგრაფიული გარემო. ფირმის წარმოების ხასიათს განსაზღვრავს მოსახლეობის ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურა, ის მოთხოვნილება, რომელიც გააჩნია საზოგადოებას. მოსახლეობის კულტურა ბიზნესზე ზეგავლე-ნას ახდენს, როგორც მიკრო ასევე მაკრო დონეზე. ამასთანავე, როდესაც ვსაუბრობთ გლობალურ ლოჯისტიკურ ჯაჭვში ინ-ტეგრაციაზე მნიშვნელოვანია სხვა ერების კულტურული თა-ვისებურებათა შესწავლა და შესაბამისი პროდუქციის წარმოე-ბა. სოციალურ-კულტურული გარემო დიდ ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მომსახურების სფეროებზე, რომელიც სრულად უნდა დაექვემდებაროს მის მოთხოვნებს. საქართველოში ამ დროისა-თვის მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი მოთხოვნილებებს ელექ-ტრონული ვაჭრობის მეშვეობით იკმაყოფილებს, ასეთ სეგმენტში ძირითადად ახალგაზრდები შედიან. ქართულ კომპანიებში ელე-ქტრონული ვაჭრობა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, შესაბამისად მომხმარებლები სხვა ქვეყნის პროდუქციას ყიდუ-

ლობენ, რაც იმ ქვეყნებში ხელს უწყობს, ხოლო საქართველოში აფერხებს ვირტუალური ლოჯისტიკის განვითარებას.

მეორე მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული ფაქტორი, რასაც ხშირად შევხვდებით ქართულ ბაზარზე, ეს არის გენდერული საკითხი. ქართულ რეალობაში რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს ლოჯისტიკის სპეციალისტი მამრობით სქესთან ასოცირდება, ამიტომ კომპანიათა უმრავლესობაში ლოჯისტიკური განყოფილება ძირითადად მამაკაცებით არის დაკომპლექტებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კომპანია არჩევანის წინაშე დგას და უნდა აირჩიოს უკეთესი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მანდილოსანსა და ნაკლები ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მამაკაცს შორის, კომპანია თავის არჩევანს მაინც მამრობითი სქესის წარმომადგენელზე აკეთებს. შესაბამისად, დაგში დარღვეულია გენდერული ბალანსი.

რაც შეეხება დემოგრაფიული ფაქტორის გავლენას ლოჯისტიკურ სისტემაზე, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს თანახმად საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები, კერძოდ, ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობათა რიცხვი და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი სტაბილურად მზარდია. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალის ამაღლებასა და მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ სფეროში დასაქმებული კადრების მიერ მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებები. მიუხედავად იმისა, რომ მესამე მხარის ლოჯისტიკური სერვისის პროვაიდერები წარმოდგენილნი არიან ქვეყანაში, ისინი მომხმარებელს ვერ სთავაზობენ სერვისების სრულ სპექტრს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე. მოუმზადებელი კადრები, რომლებსაც არათუ გამოცდილება, არამედ ცოდნაც არ აქვთ ლოჯისტიკის დარგში ხშირ შემთხვევაში დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორად გვევლინება. ჩვენი აზრით, ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობათა და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვის ზრდა დადებითად უნდა აისახოს ლოჯისტიკის დარგის განვითარებაზე, თუკი სტრატეგიული ნაბიჯები იქნება

გადადგმული. მაგალითად, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებებში ჯერ კიდევ არ არის აქტუალური ლოჯისტიკის სამეცნიერო მიმდინარეობა. მეზობელ თურქეთში უკანასკნელ წლებში ლოჯისტიკაში კვალიფიცირებული მუშახელი 37%-ით გაიზარდა და 900 000 ადამიანი შეადგინა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვერანაირი რესურსი ვერ იქნება გამოყენებული, თუ არ იქნება კადრები, რომლებიც შეძლებენ რთულ, მაღალკონკურენტულ გარემოში ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. საჭიროა შემდგომი ტრენინგი, კვალიფიკაციის ამაღლება და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლოჯისტიკის ფაკულტეტის შექმნა იქნება ლოჯისტიკის დარგის განვითარების ერთგვარი ხელშეწყობა.

მომხმარებელი. დღეისათვის საქართველოს მიწოდების სისტემა ხასიათდება საქონლის წინსვლის შედარებით დაბალი სიჩქარით მწარმოებლიდან მომხმარებ-ლისაკენ, საიმედობის დაბალი ხარისხით, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მაღალი და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის არასაკმაო დონით. გლობალური ბაზრის პირობებში მომხმარებლის დაკმაყოფილებისათვის პროდუქტისა და მომსახურების მხოლოდ მაღალი ხარისხი საკმარისი არ არის. აუცილებელია ფასეულობათა ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომელიც ახლოსაა მიზნობრივი სეგმენტის ფასეულობებთან. გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მომხმარებელთა მოთხოვნების გაძლიერებას და გააქრო მომხმარებელსა და მომწოდებელს შორის არსებული ბარიერები. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მომხმარებელს ურჩევნია ოდნავ მეტი გადაიხადოს და შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული გარემოება დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის საწარმოო სექტორზე, რაც, თავის მხრივ, ლოჯისტიკური სისტემის განვითარებაზეც აისახება. ჩვენი აზრით, ნებისმიერი კომპანიის საქმიანობის წარმმართველი მომხმარებლის ინტერესი უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბიზნესის ცალკეული სტრატეგიების (წარმოების, ლოჯისტიკის, მარკეტინგის და სხვ.) ყოველწლიური გადახე-

დვა და გადახალისება, რათა ქართულმა კომპანიებმა მოახდინონ კონკურენციის გაწევა უცხოურ ფირმებთან.

კონკურენტები. საერთაშორისო კონკურენციას მივყავართ კონკურენტული ბრძოლის ინტენსიურობის გაზრდამდე. საქართველოს ლოჯისტიკური სისტემის სრულყოფის მთავარი ამოსავალი ისევ და ისევ სატრანზიტო პოტენციალის ზრდა და სამეწარმეო სექტორის განვითარებაა. სატრანზიტო ტვირთებზე მთავარ კონკურენტად როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ რუსეთი გვევლინება, მაგრამ საქართველოს პორტებს შეუძლიათ მომხმარებლისათვის უკეთესი სერვისული მომსახურების შეთავაზება და კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვება.

მაღალია კონკურენცია სატრანსპროტო სფეროშიც. ექსპორტის შემთხვევაში, ქართული კომპანიები ან საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტს იყენებენ, ან მომხმარებელი თავად ახდენს ტვირთის ტრანსპორტირებას. იმპორტის შემთხვევაში, ძირითადად რუმინული, თურქული და ბულგარული კომპანიები უზრუნველყოფენ ტრანსპორტირებას. ქართული სატრანსპორტო კომპანიები გაცილებით მაღალ ტარიფებსა და მომსახურების დაბალ დონეს სთავაზობენ ქართველ მომხმარებლებს, ვიდრე უცხოური ფირმები. ამასთანავე, საექსპორტო ლიცენზია მხოლოდ რამდენიმე კომპანიას გააჩნია, რის გამოც საქართველოს სატრანსპორტო სექტორი ნაკლებ-კონკურენტუნარიანია სხვა ბაზრებთან შედარებით. ტრანსპორტზე კონკურენციის განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობრიობის საბაზრო პირობები საწარმოებისაგან უფრო მეტად საჭიროებენ შეთანხმებას, ვიდრე მეტოქეობას. ეს მრავალი მიზეზის გამო აიხსნება, რომელთა შორის აუცილებლად უნდა გამოვყოთ, პირველი, ტრანსპორტის წარმოების და მისი პროდუქციის თავისებურება და მეორე, სატრანსპორტო საწარმოების ურთიერთშეღწევადობა, რისი მიზეზიც არის ის, რომ კლიენტის მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს ხარისხობრივი გადაზიდვებით და თანაც სატრანსპორტო მომსახურების ნაკლები ღირებულების პირობებში.

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნესგარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან, რაც თავისმხრივ ლოჯისტიკური სისტემის გაუმჯობესებასაც გულისხმობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს დიდი ლოჯისტიკური მომავალი აქვს, მიუხედავად განხორციელებული რიგი ცვლილებებისა, ქვეყანაში არ არის შექმნილი კონკურენტული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ლოჯისტიკური სისტემის სრულ-ყოფას. პირიქით, ლოჯისტიკის დარგის განვითარება საკმაოდ ნელი ტემპებით მიმდინარეობს საქართველოში, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია ხელისუფლების მხრიდან ლოჯისტიკის დარგში არასათანადო პოლიტიკის გატარებით, ხოლო მეორე მხრივ წარმოების დაბალი დონით. დარგში არსებული პრობლემები კი ხელს უშლის ქვეყნის ინტეგრირებას გლობალურ ლოჯისტიკურ ქსელში. მაშასადამე, მნიშვნელოვა-ნია ქვეყანაში ისეთი ბიზნესგარემოს შექმნა, რომელიც წაახალისებს ინოვაციების და მწარმოებლურობის ზრდას ქვეყანაში, რაც, თავის მხივ, გაზრდის მოთხოვნას ლოჯისტიკურ სერვისებზე. ამასთანავე, გარდაუვალია, დარგის სრულყოფა და არსებული პროტენციალის გამოყენება, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ჩართულობისა და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით პირდაპირი ინვესტიციების ჩადების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მსოფლიო ბანკი, "საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად", 2014, თბილისი;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტის სექტორის სტატისტიკური მონაცემები - http://www.economy.ge/ge/economic-data/transport ;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „2014 წლის ანგარიში, 2015 წლის მიმართულებები", თბილისი;
4. საქართველოს მთავრობა, „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის", თბილისი;
5. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020", თბილისი;

REFERENCES:

1. The world bank, „Georgia: Opportunities for achieving state welfare", 2014, Tbilisi;
2. Ministry of Economy and Sustainable development of Georgia, Economic review of transport sector - http://www.economy.ge/ge/economic-data/transport;
3. Ministry of Economy and Sustainable development of Georgia, "Report of 2014 and directions for 2015", Tbilisi;
4. Government of Georgia, " Main data of the country and priorities for 2012-2015 years", Tbilisi;
5. Government of Georgia, the strategy of socio-economic development of Georgia "Georgia 2020", Tbilisi.

GEORGIA'S LOGISTICS SYSTEM: PROBLEMS AND PERSPECTIVES

Nino Tchilaia
Phd Student, Batumi Shota Rustaveli State University

RESUME

The increased competitiveness in the market economy and the accelerated process of economic integration has highlighted the importance of optimization logistics system and the use of logistics potential. Reaching full logistics potential represents a significant factor not only for the development of private businesses, but for countries' economies as well, as it supports the integration of countries into the global logistics network and their effective connection with the world markets.

The importance of optimization of logistics system becomes mandatory for Georgia too, as its strategic geographical location creates a precondition for Georgia to be integrated in the global economy and to become a logistics hub. However, the logistics potential is not fully utilized due to the different problems remaining in the sector, worsening the overal logistics system of Georgia.

Key Words: Logistics, logistics system, global logistic network, transit center, problems, perspectives.

ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი პრევენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის

სერგო გელაშვილი,
გიორგი ჯავახიშვილი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

თითოეული ქვეყნისთვის, რომელიც განვითარებაზე ფიქრობს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკის პრევენცია. ამისთვის კი საჭიროა გვესმოდეს არაფორმალური ეკონომიკის არსი. მიუხედავად იმისა რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვა მეტად რთული და შრომატევადი პროცესია, შესაძლებელია მისი განსაზღვრის მეთოდების ცოდნა. ამასთან უნდა იქნას გასაზღვრული ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები, განსაკუთრებით საქართველოს რეალობიდან გამომდინარე.გადასახდების საკითხი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ფუნდამენალურია, რაზეც ქვეყნის ფინანსები დგას, ამ მხრივაც საჭიროა გავარკვიოთ ბალანსი ნდობასა და ძალაუფლებას შორის, შესაბამისად გამოვიდეთ ნებაყოფლობითი საგადასახადო ვალდებულებებიდან და მოვახდინოთ ამ საკითხის შეფასება ჩვენი ქვენყნის თვალსაზრისით.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების და ხარისხის გარკვევა და ისტროიული ანალიზი, საქართველოს გარდამავალი პეროდისა მნიშვნელოვან კითხვებზე სცემს პასუხს, ასევე მეტად მნიშვნელოვანია გატარებული რეფორმების შეფასება და განსაკუთრებით ლიბერელური რეფორმების ანალიზი, ვინაიდან და რადგანაც ჩვენს ქვეყანას ლიბერალური ეკონომიკისკენ აქვს გეზი აღებული და ყველაზე ოპტიმალური გამოსავალიცაა, ჩრდილოვანი ეკონომიკიდან.

საკვანძო სიტყვები: ჩრილოვანი ეკონომიკა, საგადასახადო ვალდებულებები, ლიბერალური ეკონომიკა, ეროვნული მეურნეობა, კორუფცია, სოციალური დანახარჯები, ლეგალური ეკონომიკა, კრიზისული ეკონომიკა, პრივატიზება, არასტაბილური პოლიტიკა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის არსი

ჩრდილოვანი (არაფორმალური) ეკონომიკა[1] ეროვნული მეურნეობის ის ნაწილია, რომელიც მოქმედებს კანონის დარღვევით, ვერ აღირიცხება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ და არ იხდის სახელმწიფო გადასახადებს. სადღეისოდ, ძნელი სათქმელია, თუ რა წილი უკავია ჩრდილოვან ეკონომიკას ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. ჩრდილოვან ეკონომიკას უდიდესი დანაკარგები მოაქვს ქვეყნისათვის, რაც, პირველ რიგში, აისახება შემოსავლების მეტად უთანაბრო განაწილებაში. მისი არსებობა ასევე იწვევს ეკონომიკური არაეფექტურობის ზრდას, სახელმწიფო შემოსავლების შემცირებას გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, სახელმწიფო უწყებებში კორუფციის სტიმულირებას.

თუ ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო მისგან თავისუფალ ,,ხვრელებს“ გააჩენს, არსებული ჩარჩო პირობები არადამაკმაყოფილებლად აღიქმება. თუ სახელმწიფო კერძო ეკონომიკურ აქტივობას საკანონმდებლო ველისგან თავისუფალ სივრცეს დაუტოვებს, მაშინ შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოიშვას. ამასთან საქმე ეხება საქმიანობას, რომელიც გადასახადების დაწესებას და სახელმწიფო სექტორის მიერ რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. თუმცა ისინი უნდა შედიოდნენ ბრუტო მშპ-ში.

ჩრდილოვანი ეკონომიკის შიდა პროდუქტს მიეკუთვნება: 1.ლეგალური აქტივობა,რომელიც ლეგალურად სრულდება,მაგრამ რომელზეც გადასახადები ვერ წესდება(გადასახადების დამალვა); 2.ლეგალური აქტივობა, რომელიც არალეგალურად

1 გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. – ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი 2009

სრულდება(ფარულად მუშაობა); 3.არარეგალური აქტივობა(ნარკოტიკებით ვაჭრობა); 4.შემოსავლები საკუთარი ლეგალური წარმოებიდან და პირდაპირი გაცვლიდან.

განსაზღვრულ პერიოდში ჩრდილოვანი ეკონომიკა მით უფრო დიდია, რაც: უფრო მაღალია გადასახადებისა და სოც. დანახარჯების ზღვრული ოდენობა; უფრო დაბალია გადასახადის გადამხდელთა და ამკრეფთა მორალი; მაღალია სახელმწიფო რეგლამენტირების ტვირთი; სწრაფია დანახარჯების მატება და აღქმა; მცირეა რეალურად არსებული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე; მცირეა დროის შესაბამისი ხარჯები, ანუ რაც უფრო მცირეა ოფიციალური ასაკობრივი დასაქმების წილი და სამუშაო დრო და რაც უფრო დიდია უმუშევართა რაოდენობა; მცირეა დასაქმების ხარჯები, ანუ რაც უფრო მცირეა მოსალოდნელი დასჯის საზომი და არაოფიციალური საქმიანობის აღმოჩენის ალბათობა. ზემოთ მოყვანილმა ფაქტება თავიანთი მოქმედებით შეიძლება ერთმანეთი გააძლიერონ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის განსაზღვრის მეთოდები

ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვა მეტად რთული და შრომატევადი პროცესია და მიუხედავად ამისა იგი მაინც არ იძლევა ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას, მიუხედავად ამისა არსებობენ მეთოდები, რომელთაც იყენებენ ეკონომისტები ამ მონაცემების გამოსათვლელად.

დასაქმების ქვოტის ცვლილებები - სრული დასაქმების პირობებში ჩრდილოვანი ეკონომიკა საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ხოლო დასაქმების დაბალი ქვოტის შემთხვევაში ადამიანებს მეტი სტიმული აქვთ ჩრდილოვანი საქმიანობისთვის.

სხვაობა შემოსავალსა და ხარჯებს შორის - მშპ ვიცით რომ შეგვიძლია ვიანგარიშოთ როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების მეთოდით. როდესაც დანახარჯები უფრო მაღალია, ვიდრე შემოსავლები, შეგვიძლია ვივარაუდოთ ფარული შემოსავლების არსებობაზე. ამ მეთოდის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ იგი ვერ ითვალისწინებს იმას, რომ ხარჯები შესაძლოა კრედიტით დაფინანსდეს.

ნაღდი ფულის მიმოქცევის მეთოდი - ვარაუდობენ, რომ ტრანსაქციები ჩრდილოვან ეკონომიკაში არალეგალური საქმიანობის დამალვის მიზნით მხოლოდ ნაღდი ფულით იფარება, ამიტომ ფულის რაოდენობის მეშვეობით ან მისი ცვლილებით ცდილობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდის განსაზღვრას. თუ გავამრავლებთ ამ სიდიდეს ფულის ბრუნვის სიჩქარეზე , მაშინ შესაძლებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდის განსაზღვრა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოწვევი მიზეზები

გადასახადებით დაბეგვრის მაღალი დონე[1] . თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში გადასახეადების დატვირთის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. **ეკონომიკის არასატბილურობა მისი კრიზისული მდგომარეობა.** ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში გადასვლა მისი საერთო მდგომარეობის პირდაპირი შედეგია. რაც უფრო ძლიერია ლეგალური ეკონომიკა მით უფრო, მცირეა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და პირიქით.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დაშვებული შეცდომები. სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი პერსონიფიცირება უნდა განიხილოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ცენტრალური რგოლი. როგორც მთლიან პოსტსაბჭოურ სივრცეში, საქართველოშიც, პრივატიზება ბევრი ხარვეზებით ჩატარდა.

საკუთრების უფლების დაუცველობა. მეწარმეებში იგი ,,მედროვეობის“ ფსიქოლოგიას იწვევს. **ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ზრდა და ეკონომიკის რეგლამენტიზაციის ამაღლება. არახელსაყრელი სოციალური ფონი.** მზარდი უმუშევრობა, შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის დაბალი დონე საუკეთესო პირობებს ქმნის ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისათვის. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით[2] საქართველოში 2008 წლის დასაყისში შრომისუნარიანი

1 www.researchgate.net/publication/316845895_chrdilovani_ekonomikis_gamomtsvevi_mizezebi

2 www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის დონე შეადგენდა 18,9%-ს. საქართველოში ხელფასის წილი 3-4 ჯერ უფრო ნაკლებია ცივილიზებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ანაზღაურების ქვედა ზღვარი ითვლება 300-400 აშშ დოლარი, საქართველოში კი ის არ აღემატება 160 დოლარს.

პოლიტიკური არასტაბილურობა. საკუთრების უფლების დაუცველობის ფაქტორთან ერთად, იგი მნიშვნელოვნად ასტიმულირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას.

გადასახადების გადაუხდელობის ციცაბო ფერდობი[1].

კირხელი, ჰორცლი და ვალი[2] საუბრობენ საგადასახადო ვალდებულების შესრულების ორ წყაროზე: იძულებითსა და ნებაყოფლობითზე. იძულებითი საგადასახადო ვალდებულების შესრულება გულისხმობს, რომ გადასახადებისგან თავის ამრიდებელს ეშინია, რომ გამოიჭერენ და დასჯიან. ნებაყოფლობითი საგადასახადო ვალდებულების შესრულება კი ასახავს მოქალაქეთა დამოკიდებულებას, რომ მთავრობა ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს, რაც უნდა დაფინანსდეს გადასახადებიდან.

როგორც მულბახერი და კირხელი ამტკიცებენ[3] ცალ-ცალკე არც ძალაუფლებას და არც ნდობას არ შეუძლია საუკეთესო შედეგის მოტანა. საჭიროა ნდობისა და ძალაუფლების დაბალანსებული ერთობა: თუ საგადასახადო ორგანოებს აქვს სრული ძალაუფლება, მაგრამ მთავრობა მოკლებულია ნდობას, ეკონომიკა დაეშვება ჩრდილოვანი ეკონომიკის ციცაბო ფერდობზე. იგივე ხდება, თუ მთავრობა გამჭვირვალე, სამართლიანი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონეა, მაგრამ შემოსავლების სამსახური უფუნქციოა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა კარგად წარმოაჩენს ამ მონაცემებს.

არგუმენტი, რომ ნებაყოფლობითი საგადასახადო ვალდე-

1 iset-pi.ge/index.php/ka/publications/iset-economist-blog2/entry/2015-06-0-1-15-00-05

2 "Enforced versus Voluntary Tax Compliance: The "Slippery Slope' Framework", Journal of Economic Psychology 29, 2008 წელი

3 „Tax Compliance by Trust and Power of Authorities", International Economic Journal 24, 2010 წელი

ბულების შესრულება გადამწყვეტია, ერთი შეხედვით თითქოს „არაეკონომიკურია“, ვინაიდან იგი ეფუძნება არა გარეგან, არამედ შინაგან სტიმულს.



ის არის დანაშაულის ეკონომიკაში გავრცელებული პოპულარული აზროვნების ნაწილი და შეიძლება მიესადაგოს თითქმის ყველა სახის დანაშაულს. ყველაზე ეფექტური პოლიციაც კი ვერ აღკვეთს დანაშაულებრივ სიტუაციებს, თუ დასჯადი დანაშაულის ალბათობა დაბალია.

ნებაყოფლობითი საგადასახადო ვალდებულების შესრულება არსებითია.

კავკასიის კვლევის რესურს-ცენტრის[1] *კავკასიის ბარომეტრის* თანახმად, იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც სრულად ენდობიან „აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრემი-

1 caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/codebook/

ერ-მინისტრსა და მინისტრებს)“, ბოლო ათწლეულის განმავლობაში 30-40 პროცენტს შორის მერყეობს. შედარებისთვის: საგადასახადო ორგანოებისადმი ნდობა ავსტრიაში იყო 89%, ჩეხეთის რესპუბლიკაში – 90%, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 91%. ეს მაშინ, როდესაც ჩრდილოვანი ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელი ამ ქვეყნებში 16 პროცენტი იყო (მულბახერი, კირხელი და შვარცენბერგერი)[1] შედეგად, ფუნდამენტური რეფორმების მიუხედავად, პოსტ-საბჭოთა არეულობისა და შევარდნაძის პერიოდში დაკარგული ნდობის დონე ჯერ კიდევ არ აღდგენილა.

საქართველოსთვის სირთულე ისაა, რომ საყოველთაოდ მიღებული ეკონომიკური სწავლების თანახმად, ბევრი პრობლემა უკვე მოგვარდა თითქმის იდეალური გზით. ამიტომ პრობლემის მიდგომის თვალსაჩინო გზა უკვე აღარ არსებობს. ქართული საგადასახადო 20% არის მარტივი და გამჭვირვალე. საჯარო ხარჯები, როგორც მშპ-ის წილი, შეადგენს 31.8 %-ს, რაც ფრიად მოკრძალებული რიცხვია აშშ-ის 41.6%, დიდი ბრიტანეთის 48.5%, საფრანგეთის 56.1%-სა და დანიის 57.6%-თან შედარებით (მონაცემები აღებულია მემკვიდრეობის ფონდის ეკონომიკური თავისუფლების 2014 წლის ინდექსიდან). ქვეყნების უმრავლესობაში სპეციალური ინტერეს-ჯგუფები ხელს ურევენ მთავრობის ჯიბეში, აფინანსებენ რა ყოველგვარ საქმიანობას, რომელთა საზოგადო სარგებელი ფრიად საეჭვოა. სხვა ქვეყნების მთავრობებთან შედარებით, ქართული საჯარო სექტორი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მომჭირნედ და თავშეკავებულად.

რაღაცეების გაუმჯობესება კვლავ საჭიროა. უდიდესი პრობლემაა ფართოდ გავრცელებული ნეპოტიზმი. ხალხს აღმაშფოთებლად მიაჩნია, თუ მათი გადასახადებით, რომლის გადასახდელადაც ბევრს შრომობენ, მთავრობის წევრთა ნათესავებს სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფენ. ასეთი ქცევა ზრდის ქვეყნის მოქალაქეთა რწმენას, რომ მათ მიერ გადახდი-

1 „Voluntary versus enforced tax compliance: empirical evidence for the ‘slippery slope’ framework”, European Journal of Law and Economics 32, 2011 წელი

ლი გადასახადები არამიზნობრივად იხარჯება.

გარკვეული დონის გამჭვირვალობა საქართველოში მიღწეულია. *Transparency International,* რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოს პროკურატურის ელ-პლატფორმა „ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალეა მსოფლიოში“, 2010 წლიდან ინახავს საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული ტენდერების მონაცემებს, რაც იძლევა დაწვრილებითი ანალიზის საშუალებას, თუ სად და რაში იხარჯება გადასახადების გადამხდელთა ფული.[1]

თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ნელა ხდება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ე.წ. „სოციალური კაპიტალის“ შესახებ დისკუსიების ერთ-ერთი არგუმენტი, რომ ინსტიტუციებისადმი ერთხელ დაკარგული ნდობის აღდგენას დიდი დრო სჭირდება. შევარდნაძის კლეპტოკრატიამ ქართველების საკუთარი მთავრობისადმი დამოკიდებულება გააფუჭა და მისი აღდგენა უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლებელია.

მოსახლეობის საგადასახადო მორალის გაუმჯობესებისთვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რაც დაკავშირებულია ტალერისა და სანშტაინის ქცევითი ეკონომიკის უახლეს აღმოჩენებსა და ჯიკების შესახებ მახვილგონივრულ იდეებთან.

ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში.

1990-93 წლებში საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის 43.6% ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდიოდა,1994-95 წლებში 63%.დღეისათვის კი მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის 68.8% შეადგენს. 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში საქართველოს ეკონომიკური პრობლემების ძირითად მიზეზად ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა მიიჩნეოდა; თავის მხრივ, არალეგალურ ბიზნესს საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა, კორუფციის მაღალი დონე და გაუარესებული ბიზნესგარემო ახალისებდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საქართველოში უკვე სა-

1 www.tendermonitor.ge/ge/annual/2010

შიშ ზღვარს აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ლეგალური ბიზნესი არ ექვემდებარება არანაირ აღრიცხვას, დამოუკიდებელი ექსპერტები მის მასშტაბებს მთელი ეკონომიკის დაახლოებით 50 პროცენტზე მეტად აფასებდნენ. გარდა ამისა, თვით ის სამეურნეო სუბიექტებიც კი, რომლებიც სრულიად ლეგალურად ფუნქციონირებდნენ, თავს არიდებდნენ გადასახადის გადახდას. თითქმის ყველა ფირმასა და კომპანიაში არსებობდა "თეთრი" და "შავი" ბუღალტერია, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ბიუჯეტისათვის განკუთვნილი სახსრები სულ სხვა მიმართულებით წარიმართებოდა და, როგორც წესი, ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში, შემოსავლების დამალვის ტენდენცია წლიდან წლამდე იზრდება. თუ 1996 წელს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას 27%-ის დონეზე აფასებდნენ, 2001 წელს ამ ციფრმა უკვე 33%-ს მიაღწია. ასეთია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. გამოკვლევის შედეგად, გამოვლინდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა ცალკეულ სფეროებში. მაგალითად, სამრეწველო სექტორში ჩრდილოვანი ეკონომიკის პროცენტი 40%-ს აღემატა, მშენებლობაში - 55%-ს, ტრანსპორტში - 34%-ს, ვაჭრობაში - 56%-ს, სასტუმროს ბიზნესსა და რესტორნებში - 65%-ს, კავშირგაბმულობაში - 17%-ს. ამ პერიოდში განათლების სფეროში კომერციული დაწესებულებების შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებლები ორჯერ აღემატება დეკლარირებულ მაჩვენებლებს, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებისა - ოთხჯერ. არასახარბიელო სიტუაციაა ნავთობპროდუქტების რეალიზაციის სფეროშიც.

სპეციალისტთა აზრით 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მაღალი პროცენტის მიზეზია კორუფცია და მაღალი საგადასახადო განაკვეთები.სახელმწიფო, ფაქტობრივად, ვერაფერს აკეთებდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესამცირებლად. მართალია, დიდი ხანია მიდიოდა საუბარი საგადასახადო კოდექსში პრინციპული ცვლილებების

გასატარებლად, მაგრამ, პრაქტიკულად, ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, უფრო პირიქით, ხშირად საგადასახო კოდექსში ცვლილებები სწორედ ბიზნესის შეზღუდვას და ფისკალური პროცესების გართულებას ემსახურებოდა. შედეგად, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი კიდევ უფრო მზარდი ტენდენციებით ხასიათდებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტიც უფრო დიდ სახსრებს კარგავდა. მართალია, 2003 წლის შემდგომში გატარებული რეფორმების შემდეგ ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა უნდა შემცირებულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა სახეზეა საპირისპირო ტენდენციები. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა საქართველოში კი არ შემცირდა, არამედ ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. ეს მდგომარეობა საგანგაშოა ვინაიდან ჩრდილოვანი ეკონომიკა უდიდესი უარყოფითი ზეგავლენას მომტანია ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველოში გატარებული ინსტიტუციური რეფორმები

2003 წლის შემდეგ საქართველოში მოსული ხელისუფლების ერთ ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოში კორუფციის დონის შემცირება, სახელმწიფო სტრუქტურების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გამართული საგადასახადო სისტემის ფორმირება და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება. ყოველივე ეს კი წინაპირობაა იმისა რომ შემცირდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა და გაიზარდოს საერთო ეკონომიკური ეფექტიანობა.

ანტიკორუფციული ღონისძიებები: კორუფციასთან ბრძოლა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მიზანს წარმოადგენს. ქვეყანაში გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებები გამიზნულია ძალოვანი და სასამართლო სისტემების, ისევე როგორც ფისკალური, ადმინისტრაციული და საჯარო მომსახურების სექტორების გარდაქმნაზე. 2005 წელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ შეიმუშავა ქვეყნის ეროვნული ანტი-კორუფციული სტრატეგია.

სტრატეგია მიზნად ისახავს ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, სამართლებრივი და სამოქალაქო ღონისძიებების გატარებას კორუფციის წინააღმდეგ და მთავრობაში კორუფციული სისტემის ფორმირებისაგან თავის დაზღვევას.

ახლო წარსულში გატარებულმა ანტიკორუფციულმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფისკალური ადმინისტრირება და შეამცირა ქვეყნის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. მსოფლიო ბანკმა თავის ანგარიშში „ანტიკორუფცია გარდამავალ პერიოდში-3“ საქართველოს, 2006 წელს ანტიკორუფციული ქმედებების განხორციელების მხრივ, მიანიჭა პირველი ადგილი. მსოფლიო ბანკისა და EBRD-ის ანგარიშების თანახმად, 2002-2005 წწ. იმ ფირმების რიცხვი, რომლებიც საქართველოში კორუფციას მიიჩნევდნენ თავიანთი საქმიანობის მთავარ შემაფარხებელ გარემოდ, 60 პროცენტიდან 39 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო იმ ფირმების რიცხვი, რომლებიც ქრთამს იხდიდნენ გადასახადების ამოღებისას 44 პროცენტიდან 11 პროცენტამდე.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 2007 წლის მაჩვენებლებით საქართველოს მიენიჭა კორუფციის მაკონტროლებელი ქვეყნის სტატუსი. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2007 წლის თებერვლის გამოკითხვით, საქართველოს მოსახლეობის გამოკითხულთა 95 %-ის განცხადებით, მათ სახელმწიფო და კომუნალური მომსახურებისათვის ბოლო 12 თვის განმავლობაში ქრთამი არ გადაუხდიათ. დღეს ეს რიცხვი 99 %-ს შეადგენს. დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ კორუფციის დონე მინიმალურ ნიშნულამდეა დაყვანილი და ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მაპროვოცირებელ ფაქტორად საქართველოში.

ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები.

კერძო მეწარმეობის განვითარება ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის მეშვეობით საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ეკონომიკური რეფორმები გამიზნულია ეკონომიკურ განვითარებაზე, ლიბერალიზაციაზე და კერძო სექტორის განვითარებაზე. მთავრობამ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით:

გადასახადების შემცირება: 2005 წელს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი[1], რომლის მიხედვითაც გადასახადების მოცულობა საგრძნობლად, ხოლო რაოდენობა კი სამმაგად შემცირდა, ნაკლები ლიცენზიები და ნებართვები ბიზნესის საწარმოოდ ბიზნესის საწარმოებლად აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების ოდენობა 84%-ით შემცირდა, გამარტივდა და თავი მოეყარა ერთ სტრუქტურაში (ერთი სარკმლის პრინციპი) ბიზნეს სექტორის სასარგებლოდ.

გაუმჯობესებული ტექნიკური რეგულირების სისტემა-ტექნიკური რეგულირების სისტემამ რეფორმა განიცადა, რათა გზა დაეთმო ნებაყოფლობითი სტანდარტების სისტემისათვის და შემცირებულიყო სახელმწიფოს ინტერვენცია ამ სფეროში. ახალი კანონმდებლობა ამ სფეროში საშუალებას იძლევა შემოღებულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკური დადგენილებები ექსპორტისა და იმპორტის პროცედურების გასამარტივებლად.

შემცირებული სახელმწიფო ინტერვენცია: დერეგულაციის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროები და გაამარტივა პროცედურები.

აგრესიული პრივატიზაციის პოლიტიკა: სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია პროგრესირებს, რაც კერძო სექტორის ზრდას და განვითარებას უწყობს ხელს

საბაჟო რეფორმები: შემუშავდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის ამოქმედებითაც მნიშვნელოვნად გამარტივდება საბაჟო ადმინისტრაციული პროცედურები. ნაკლები გადასახადები იმპორტზე 2006-ში და გათავისუფლება საიმპორტო გა-

1 www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.4&d=HASH6519caad6bbf4e8f4bb051.6.4&x=1

დასახადებისგან 2008-ში. იმპორტზე გადასახადების სისტემა რეფორმას განიცდის. ამ მიმიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“. ახალი კანონი ითვალისწინებს საბაჟო ტარიფის განაკვეთების შემცირებას 0%, 5% და 12%-მდე, ნაცვლად 2006 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი 16 სატარიფო განაკვეთისა (0%, 4%, 5%, 6%, 7%, 8%, 10%, 12%, 14%, 15%, 16%, 17%, 18%, 20%, 25%, 30%). იგი აგრეთვე გულისხმობს საქართველოს საბაჟო გადასახადების სისტემის შემდგომ ლიბერალიზაციას და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საქონლის აღწერისა და კოდირების 2002 წლის ჰარმონიზებულ სისტემაზე გადასვლას.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო კანონმდებლობის გამარტივება და ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა დიდ მნიშვნელობას ატარებს ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებაში, ვინაიდან ადრე არსებული მონაცემებით ამ სფეროში დარღვევები და უკანონო მოქმედებები ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, დღეს კი მდგომარეობა მკვეთრად არის გაუმჯობესებული. ამ ყოველივემ გავლენა უნდა იქონიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრით წილზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა, ის მოცემულობაა, რომელიც ყოველთვის და ყველგან არსებობდა და იარსებებს, მაგრამ განსხვავებული მასშტაბებით. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან დამკვიდრდა ჩვენს ცნობიერებაში არაფორმალური ეკონომიკისადმი მზაობა. 1990-იან წლებში ჩამოშლილმა ინსტიტუტებმა, მოუწესრიგებელმა კანონმდებლობამ, სუბკულტურულმა აზროვნებამ და სხვა უამრავმა პრობლემებმა, გააძლიერეს ჩრდილოვანი ეკონომიკა. იყო მისი პრევენციის არაერთი მცდელობა და მათშორის შედეგიანებიც, მაგ: მარტივი საგადასახადო სისიტემა, კორუფციის დამარცხება და ა.შ. მაგრამ კვლავ რჩება საკმაო მოცულობის

არაფორმალური ეკონომიკა ჩვენი ქვეყნის რეალობაში. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა მეტად სათუო და კომპლექსური საკითხია, ვინაიდან და რადგანაც არაფორმალური ეკონომიკა ზოგ შემთხვევაში ისეთ ადგილში იმალება, სადაც მორალური საზღვარი იცავს, მაგ: ნარკოტიკების ბაზარი და პროსტიტუცია, არალეგალურია, შესაბამისად უთვალდი ბოროტებაა და რთულად ექვემდებარება პრევენციას. ასევე თითოეულმა დაუფიქრებლად და ხისტად მიღებულმა კანონმა შესაძლოა გააჩინოს ჩრდილოვანი ბაზარი, მაგალითად, თუ მიწის ყიდვას ავკრძლავდ უცხოლებზე, შესაძლოა უცხოლმა ინვესტორებმა ირიბად დაიწყონ ჩართვა ჩვენს ეკონომიკაში, ქართული ორგანიზაციების დაარსებით. ამიტომ ყველა შესაძლო საკანონმდებლო ხვრელი უნდა იქნას გათვალისწინებული. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალრი-ნაკლებშეზღუდული ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკის პრევენციის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. – ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი 2009
2. ჯავახიშვილი, რ. (2017). ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები. ვებგვერდი: www.researchgate.net/publication/316845895_chrdilovani_ekonomikis_gamomtsvevi_mizezebi (ნანახია 18.07.2017)
3. საქართველოს სტატისტიკური სამსახური. www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (ნანახია 18.07.2017)
4. ლანჩავა, ლ. (2015). საქართველოს იატაკქვეშა ეკონომიკა. ვებგვერდი: iset-pi.ge/index.php/ka/publications/iset-economist-blog2/entry/2015-06-01-15-00-05 (ნანახია 19.07.2017)
5. კირხელი, ჰორცლი და ვალი. „Enforced versus Voluntary Tax Compliance: The „Slippery Slope'Framework“, Journal of Economic Psychology 29, 2008 წელი

6. მულბახერი, კირხელი. „Tax Compliance by Trust and Power of Authorities“, International Economic Journal 24, 2010 წელი

7. კავკასიის ბარომეტრი. caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/codebook/ (ნანახია 19.07.2017)

8. მულბახერი, კირხელი და შვარცენბერგერი. „Voluntary versus enforced tax compliance: empirical evidence for the ‘slippery slope’ framework“, European Journal of Law and Economics 32, 2011 წელი

9. ტენდერების მონიტორინგი. www.tendermonitor.ge/ge/annual/2010 (ნანხია 19.07.2017)

10. საგადასახადო კოდექსი. www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.4&d=HASH6519caad6bbf4e8f4bb051.6.4&x=1 (ნანხია 19.07.2017)

REFERENCES:

1. Gvelesiani R., Gogorishvili I. Economical politics, Book I, Tbilisi 2009

2. Gvelesiani, R. (2017). Causes of northern economy. Website: www.researchgate.net/publication/316845895_chrdilovani_ekonomikis_gamomtsvevi_mizezebi (viewed 18.07.2017)

3. Statistics office of Georgia. Website: www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (Viewed 18.07.2017)

4. Lanchava, L. (2015) Georgia’s underground economy. Website: iset-pi.ge/index.php/ka/publications/iset-economist-blog2/entry/2015-06-01-15-00-05 (Viewed 19.07.2017)

5. Kirkheli, Horsley and Vali. „Enforced versus Voluntary Tax Compliance: The ‘Slippery Slope’Framework”, Journal of Economic Psychology 29, 2008 year.

6. Mallbaker, Kirkheli. . „Tax Compliance by Trust and Power of Authorities”, International Economic Journal 24, 2010 წელი

7. Caucasus barometer. caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/codebook/ (viewed 19.07.2017)

8. Mallbaker, Kirkheli, Schwarzenberg. „Voluntary versus enforced tax compliance: empirical evidence for the 'slippery slope' framework", European Journal of Law and Economics 32, 2011 year

9. Tender monitoring. . www.tendermonitor.ge/ge/annual/2010 (Viewed 19.07.2017)

10. Tax code. www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.4&d=HASH6519caad6bbf4e8f4bb051.6.4&x=1 (Viewed 19.07.2017)

SHADOW ECONOMY AND ITS PREVENTION SIGNIFICANCE FOR GEORGIA

Sergo Gelashvili, Giorgi Javakhishvili
Third year and First year Bachelor's
Students of Ivane Javaxishvili Tbilisi State University

RESUME

The Shadow economy prevention has the vital importance for the countries. That's why it's necessary to understand the informal essence of economics, despite the difficulty of its measuring and a labour-intensive process. The basic principle is that it's possible to know the methods of shadow economy's definition. It should be noted that according to the reality of Georgia, the main causes of shadow economy must be defined.

One of the fundamental points of a country is a tax obligation, which is the essential for finances, that's why it's necessary to find out the balance between the faith and authority. It gives us the way

to escape from the voluntary tax obligations and estimate the matter from our country's point of view.

The historical analysis of the shadow economy can respond to the most important questions of the transition period of Georgia. It's also significant to estimate the fundamental changes and to analyse the liberal reforms, because our country is oriented towards the liberal economics and it is the most optimal solution from the shadow economy.

Key Words: Shadow Economy, tax obligations, liberal economics, national economy, corruption, social cost, economic law, crisis economics, privatization, unstable politics.

დედოლარიზაცია-ეკონომიკის განვითარების შედეგი

კობა აბლოთია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

დედოლარიზაცია არ ნიშნავს „ბრძოლას“ დოლართან. ის მიიღწევა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებით (7-8%), ინფლაციის თარგეთირებით, ფულის მასის კონტროლით, მთავრობის მიზანმიმართული, სწორი და ქმედითი ჩარევით ეკონომიკაში.

საკვანძო სიტყვები: დოლარიზაცია, დედოლარიზაცია, ინვალუტიზაცია, ინვესტიცია, თარგეთირება.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაცია ნიშნავს მოსახლეობის მიერ ნდობის ხარისხის განაწილებას გამოსახულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. მთავარი მიზეზი, რომელმაც ეს მოვლენა წარმოშვა შემდეგია: ყველა ქვეყანას ჭირდება საკუთარი ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეს რომ მოხდეს მრავალ სხვა საკითხთხის გადაწყვეტასთან ერთად საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. შესაბამისად, ინვესტორებს ჭირდებათ რისკების მინიმიზება, ამას კი სტაბილური ვალუტის გარეშე ვერ მიაღწევ. ინვესტიციის „მიმღები“ იძულებულია დაუშვას უცხო სტაბილური ვალუტის შემოსვლა. ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა მიზეზია დოლარიზაციისა.

განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ ან ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ დოლარიზაციას. ოფიციალური დოლარიზაციის დროს ქვეყანა დე-ფაქტოდ და დე-იურედ იყენებს უცხოურ ვალუტას(მეტწილად აშშ დოლარი, ევრო და სხვა).

აქედან გამომდინარე, არსებობს დოლარული ზონა 1939 წლიდან. მასში ძირითადად კუნძულოვანი სახელმწიფოები შედიან, თუმცა მათ რიცხვში არის 4 დიდი სახელმწიფოც, რომლებმაც ოფიციალურად უარი თქვეს საკუთარ ვალუტაზე, ესენია პანამა(1903 წლიდან), ეკვადორი(2000 წლიდან), სალვადორი(2004 წლიდან), ზიმბაბვე(2009 წლიდან).

სრული ანუ ოფიციალური დოლარიზაციის პლუსებია 1) რისკების მინიმიზაცია ანუ არ ხდება ვალუტის დევალვაცია. 2) ხდება ოპერაციების საფასურის დაწევა და დოლარული ფასების გარანტირებული სტაბილურობა. 3) იქმნება სასურველი კლიმატი საშინაო და საგარეო ინვესტიციებისთვის.

სრული დოლარიზაციის მინუსებია 1) ერთ-ერთი ეროვნული სიმბოლოს დაკარგვა. 2) მთავრობა კარგავს ემიტენტის როლს შესაბამისი მოგებით. 3) მთავრობა ვერ ახორციელებს დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას.

არსებობენ სხვა სავალუტო ზონებიც: ევროზონა, შვეიცარიული ფრანკის ზონა, ინგლისური ფუნტ-სტერლინგის ზონა, ფრანკის ზონა, ავსტრალიური დოლარის ზონა, ინდური რუპიის ზონა, სამხ. აფრიკული რენდის ზონა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ დოლარი არ არის „უცხო ქვეყნის მყარი ვალუტა“, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ „სხვა“ ტერმინოლოგიის მოძებნაზე ამ ფენომენისა. ეს შეიძლება იყოს ინვალუტიზაცია, თუმცა შესაძლოა სხვა ფორმულირებაც. ინვალუტიზაციის ფენომენი გულისხმობს ერთზე მეტი უცხოური ვალუტის არსებობას ქვეყანაში.

ნახევრად ოფიციალურ ანუ ოფიციალურ ნახევარდოლარიზებულ ქვეყნებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსნაირი სახელმწიფოები. ოფიციალურად სხვა ვალუტა მიმოქცევაში არაა, მაგრამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ იქონიონ ანგარიში უცხოურ ვალუტაში, მოახდინონ ანგარიშსწორება და ა.შ. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ მყარ ვალუტად ითვლება აშშ დოლარი, მის ზევალუტობას ოფიციალური საფუძველი ჩაეყარა 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულებით, თუმცა მას ბოლო დროს დიდ კონკურენციას უწევს ევრო.

აღსანიშნავია ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნების ინვალუტიზაციას. გარდა იმისა, რომ მათი უმრავლესობა თავის რეზერვებს ინახავს დოლარებში, ევროში და ა.შ., არსებობს უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, როგორიცაა დეპოზიტების მაჩვენებელი, ანუ რა ვალუტაში ამჯობინებენ დანაზოგების შენახვას ფიზიკური და იურიდიული პირები. ექსპორტ-იმპორტიდან გამომდინარე, უცხოელი ეკონომიკური აგენტები რომელ ვალუტას ანიჭებენ უპირატესობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია დეპოზიტების 30%-ზე მეტი თუ უცხოურ ვალუტაშია, ქვეყანა ითვლება მაღალდოლარიზებულად, ასეთებია თურქეთი, პერუ, ურუგვაი და სხვა. დოლარიზაციის მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შემდეგნაირია: რუსეთი-20-25%, თუმცა მათი ექსპერტების შეფასებით შესაძლოა, რეალურად 2_ჯერ მეტიც იყოს, უკრაინა- 2016 წლის ბოლოსთვის 32,2%, ბელორუსია - 2017 წლის იანვრისთვის 76,3%, ყაზახეთი-2016 წლის დეკემბრისთვის 44%, სომხეთი-2016 წლის ნოემბრისთვის 60,1%, აზერბაიჯანი-2017 წლისთვის 70%, საქართველოშიც 2017 წლისთვის 70%-ზე მეტი.

აღსანიშნავია, მათ შორის საქართველოს მაგალითზეც, როცა ეკონომიკა სტაბილურად ვითარდება ინვალუტიზაციის



მაჩვენებელი მცირდება.

ყველა ქვეყანა ესწრაფვის დედელარიზაციას. ეს პირველად გააჟღერა რუსმა ეკონომისტმა-ლივშიცმა 1998 წელს საფინანსო კრიზისის დროს. რუსეთის მთავრობამ „ბრძოლა“ გამოუცხადა დოლარს, რაც ნიშნავს უარის თქმას გარიგებებში დოლარის მომსახურებაზე. ისისნი ცდილობენ აიყოლიონ ამ საქმეში ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ირანი და ა.შ. დედოლარიზაცია უნდა მოხდეს, მაგრამ უნდა განვასხვავოთ „ბრძოლა“ დოლართან და სწრაფვა ეროვნული ვალუტის განმტკიცებისაკენ ეკონომიკური განვითარების გზით. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ლარიზაციის ხელშეწყობი ათპუნქტიანი გეგმა. ეს რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ის მხოლოდ „ხელშემწყობია“ და არა მთავარი. დედოლრიზაციის კარგი მაგალითებია ისრაელი-1990 წელს 28%-დან 2000 წელს 10%-მდე ჩამოვიდა, ჩილეში იმავე პერიოდისათვის დოლარიზაციამ 19%-დან 9%-მდე ჩამოიწია, იგივე მოხდა ინდონეზიაში... ამ ქვეყნებში დოლარს ბრძოლა კი არ გამოუცხადეს, არამედ მთავრობებმა იმუშავეს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, ინფლაციის თარგეთირებაზე, პლუს ადმინისტრაციული ღონისძიებები. შედეგად მიღწეულ იქნა ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, შესაბამისად, დედოლარიზაციაც. ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები 7%-ზე მეტი იყო.

საქართველოში დოლარიზაციის შესამცირებლად 10-15%-მდე (განვითარებულ ქვეყნებში 5-7%-ია) საჭიროა ინფლაციის თარგეთირება, სებ-ის მიერ ფულის მასის გონივრული კონტროლი, ბიუჯეტიდან ხარჯების გაცემა გრაფიკის მიხედვით და რაც ყველაზე მთავარია-მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა. ბოლო წლებში ჩვენი ეკონომიკა 2-4%-ით იზრდება, რაც არასაკმარისია. სასურველია, მინიმუმ 8-10%-იანი ზრდა, რისთვისაც საჭიროა უცხოური ინვესტიციები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან უცხოელი შემოდის უცხოური ვალუტით, მაგრამ ხდება მისი კონვერტაცია, რაც იწვევს ლარზე მოთხოვნის ზრდას, ეს ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტა „საფრთხობე-

ლა“ კი არაა, არამედ ჩვენ მისი იმედი უნდა გვქონდეს-„დოლარიზაცია მიიღწევა ზედოლარიზაციით“, ანუ რაც მეტი უცხოური ვალუტა შემოვა და ჩაშვებული იქნება ეკონომიკაში, მით უფრო მეტი მოთხოვნა იქნება ლარზე, რაც მას უფრო მყარს და სტაბილურს გახდის, შესაბამისად, მისადმი ნდობაც ამაღლდება, ანუ ადგილი ექნება „ბუნებრივი“ დედოლარიზაციის ფაქტს. ერთი სიტყვით, თუ მთავრობა განხორციელებს სწორ ეკონომიკურ ჩარევას, მოხდება ფულის მასის კონტროლი, ინფლაციის თარგეთირება, მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები და მივიღებთ სასურველ შედეგს. კიდევ ერთხელ, დედოლარიზაცია მიიღწევა ზედოლარიზაციით(მძლავრი ინვისტიციებით), სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკულია მ.-- დოლარიზაცია საქართველოში, მასშტაბები, ფაქტორები, ეკ. ინსტიტუტი, თბილისი 2000 წელი

2. პაპავა ვლ.-- საქართველოს ეკონომიკა 2015 წელი.

3. Берг Э. боренштеин Э.-- полная долларизация преимущество и недостатки-МВФ, Вашингтон 2000 год

4. Oomes N.F. –many demand and inflation in dollarization economies. The case of Russia 2003 vol 33, N3

REFERENCES:

1. Kakulia M. – dollarization in Georgia, scales, factors, economical institute, Tbilisi , 2000 year;

2. Papava V. –economic in Georgia 2015 year.

3. Berg E. Borenshtain E.—full dollarization: advantages and disadvantages –IVF, Washington 2000 year

4. Oomes N.F. –many demand and inflation in dollarization economies. The case of Rusiia 2003 vol 33, N3

DEDOLLARIZATION- THE RESULT OF ECONOMIC DEVELOPMENT

Koba Ablotia
PhD Student, GTU

RESUME

Dedollarization doesn't mean „fighting" with dollar. We can reach it if country's economic will develop stably (7-8%), target of inflation, with control of money mass, with aimed, right activities in economic.

Keywords: Dollarization, Dedollarization, Investment, Target.

სავალუტო ბაზარზე ვაჭრობისათვის აუცილებელი პირობები

კახაბერ კუპატაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში სავალუტო ბაზარზე ვაჭრობა დღითიდღე პოპულარული ხდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ჩვენთან დაგვიანებით დაიწყო და ჩვენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ჩამოვრჩებით, რომ აღარაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპაზე. საქართველოში უკანასკნელ წლებში დაიწყო საჭირო ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება აღნიშნულ სფეროში და ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. სავალუტო ბაზარზე ვაჭრობა მოითხოვს დიდ ცოდნას, გამოცდილებასა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელთა გარეშეც წარმატების მიღწევა ამ სფეროში წარმოუდგენელია. სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის განვითარებამ ქვეყნას და თითოეულ ეკონომიკურ სუბიექტს სოლიდური შემოსავლების შეიძლება მოუტანოს.

საკვანძო სიტყვები: ტრეიდერი; რისკი; სავალუტო ბაზარი; ბროკერი; გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება; ვაჭრობა.

შესავალი

იმისათვის, რომ ქვეყანას ჰყავდეს კვალიფიციური სავალუტო ექპერტები, რომლებიც შეძლებენ გაცვლითი კურსის სწორ პროგნოზირებასა და სავალუტო რისკების დაზღვევას, საჭიროა ქვეყანაში განვითარდეს სავალუტო ვაჭრობის სფერო.

მხოლოდ ეკონომიკური მოვლენების ანალიზი არაა საკმარისი კურსის პროგნოზირებისა და სავალუტო რისკების დასაზღვევად. აუცილებელია სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის სპეციფიკის ცოდნა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში. სავალუტო ბაზარზე ვაჭრობას აქვს რიგი თავისებურებანი, რითაც ის არ ჰგავს ფინანსურ ბაზარს. გამოცდილ სა-

ვალუტო ექსპერტს ასევე შეუძლია სრულიად დამოუკიდებლადაც იმოქმედოს სავალუტო ბაზარზე და გამოვიდეს მსხვილი ინვესტორის ან ტრეიდერის როლში.

ძირითადი ტექსტი

ინვესტორების როლი ძალზე მნიშვნელოვანია სავალუტო კურსის ფორმირებისას. სწორედ მათზე მოდის გარიგებების ყველაზე დიდი მოცულობა და ხშირად სწორედ მსხვილი ინვესტორები წყვეტენ ფასების მოძრაობის მიმართულებას. შეიძლება განვასხვავოთ ორი სახის ინვესტორი: 1) რომელსაც ესაჭიროება უცხოური ვალუტა ამ ქვეყანაში საქმიანობის წარმათვისთვის და 2) ინვესტორები, რომლებიც ეწევიან ვალუტით ვაჭრობას მოგების მისაღებად. მეორე სახის ინვესტორებს ეწოდება **ტრეიდერი (Trader),** რაც ქართულად მოვაჭრეს ნიშნავს, თუმცაღა სიტყვა ტრეიდერი საქართველოში ტერმინის სახით დამკვიდრდა და ჩვენც სწორედ მას გამოვიყენებთ. ტრეიდერები თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. ზოგიერთი მათგანი შედარებით ნაკლებ კაპიტალსა და გამოცდილებას ფლობს, ვიდრე დანარჩენები. მიზეზი, თუ რატომაც ახდენენ ისინი დიდ გავლენას სავალუტო ბაზარზე, გამოწვეულია მათი სიმრავლით. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებამ ფართო მასებს საშუალება მისცა ჩართულიყვნენ სავაჭრო პროცესში და ბროკერების დახმარებით განეხორციელებინათ სავალუტო ვაჭრობა.

მომგებიან ტრეიდერად ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი და სარისკოა, რასაც თან ახლავს ფინანსური დანაკარგები. ტრეიდერი არ ნიშნავს მარტო ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია სწორი პროგნოზები გააკეთოს ფასის მოსალოდნელ ცვლილებაზე. აღნიშნული პროფესია მოიცავს **ფსიქოლოგიას, რისკისა და ფულის მენეჯმენტს, კრიზისულ და მოულოდნელ სიტუაციებში სწრაფი, გააზრებული მოქმედების უნარს**, ბაზარზე მიმდინარე მოვლენების მუდმივად თვალყურის დევნებას, გამოცდილებასა და დიდ ცოდნას. სწორედ ამ რომელიმე თვისების არქონის გამო ადამიანები ვერ ხდებიან წარმატებული ტრეიდერები და ვერ ნა-

ხულობენ სარგებელს სავალუტო ბაზარზე ვაჭრობისას. **ფსიქოლოგია**, შეიძლება ითქვას, ტრეიდერის საქმიანობის 25-30 პროცენტს მოიცავს. ფსიქოლოგიაში იგულისხმება უნარი არ აყვე აზარტს და არ დაიწყო ''თამაში". სავალუტო წყვილებით ვაჭრობა არ არის აზარტული თამაში და მოითხოვს უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას, ამავდროულად კი არის აზარტული საქმიანობა განსაკუთრებით დამწყებთათვის და სწორედ მისი აზარტულობა ხდება მიზეზი მრავალი დამწყები ტრეიდერის წარუმატებლობისა და დიდი დანაკარგებისა. ფსიქოლოგიაში ასევე იგულისხმება საკუთარი თავის მაქსიმალური კონტროლი. საჭიროა, რომ ტრეიდერმა ცივი გონებით იმოქმედოს და ენდოს მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას და არა ინტუიციას, ვინაიდან გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ გამოცდილება და ცოდნა მოიტანს შედეგს და არა ინტუიცია. ტრეიდერმა, რომელიც ფსიქოლოლოგიურად ჩამოყალიბებულია, კარგად იცის, რომ ვაჭრობაში ხშირია დანაკარგებიც და მოულოდნელი სიტუაციებიც; შესაბამისად, დანაკარგი ვერ მოახდენს მის ემოციებზე დიდ გავლენას. ვაჭრობაში არსებობს ასეთი გამოთქმაც : „ის არ აგებს, ვინც არ ვაჭრობს".

სწორედ **რისკისა და ფულის მენეჯმენტს** ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ტრეიდერის საქმიანობაში და ხშირად მათ სწორ წარმათვაზეა დამოკიდებული კაპიტალის ზრდის სისწრაფეც. რისკმენეჯნემტში იგულისხმება პროპორცია მოსალოდნელ მოგებასა და დანაკარგს შორის და ასევე დასაკარგი თანხის ოდენობაც. მაგალითისთვის: 1:1 რისკის პროპორცია გულისხმობს, რომ წაგების ან მოგების შემთხვევაში თანხა პროპორციულად ტოლი იქნება; თუ პროპორცია 1:1-ზე ნაკლებია, გარიგება არასარფიანად ითვლება. ყველაზე მისაღები რისკის პროპორცია 1:1,5-ია. რისკის მენეჯმენტში ასევე იგულისხმება რისკის დონეც, რომელიც გულისხმობს, თუ თითო გარიგების შემთხვევაში კაპიტალის რა ოდენობის მოსალოდნელი დანაკარგი არის მისაღები ტრეიდერისთვის. როგორც წესი, მაქსიმალური რისკის დონე შეადგენს თითო გარიგებაზე მთლიანი კაპიტალის 2-3%-ს. ფულის მენეჯმენტში კი იგულისხმება, თუ რა ოდენობის თანხა უნდა გამოყოს ტრეიდერმა თითო გარი-

გებისთვის. ფორექსის კლასიკური წესის თანახმად თითო გარიგებაზე გამოიყოფა მთლიანი თანხის 5%-მდე. ხშირად ხდება აღნიშნული პროცენტის გაზრდა ან შემცირება სავალუტო ბაზარზე არსებული სიახლეების, სავალუტო წყვილის ვაჭრობის გააქტიურებისა და რისკების კორექტირების ხარჯზე. თუმცაღა დამწყები ტრეიდერებისთვის კატეგორიულად არ არის რეკომენდებული სავაჭრო თანხებისა და რისკის დონის ცვლა. ზემოთაღნიშნულს მიმართავენ უკვე გამოცდილი ტრეიდერები და არცთუ ხშირად. რაც მთავარია, არ გამოიყენოთ კაპიტალის დიდი ნაწილი ერთი გარიგებისთვის.

ტრეიდერისთვის უმნიშვნელოვანესია **გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება** და მუდმივი სრულყოფა. საჭიროა ლიტერატურის და გამოცდილი ტრეიდერები სტატიების კითხვა, ანალიზის მუდმივად ჩატარება, საკუთარ თუ სხვის შეცდომებზე სწავლა და სიახლეებზე უწყვეტი ხელმისაწვდომობა. ტრეიდერები ხშირად უშვებენ შეცდომას და ვაჭრობას საკმაოდ სოლიდური თანხებით იწყებენ, რაც საბოლოოდ თანხის მთლიანი დაკარგვით მთავრდება. ფორექსის მონაწილეების 93% კარგავს, ხოლო 7% ზრდის საკუთარ კაპიტალს. დამწყები ტრეიდერი მზად უნდა იყოს დანაკარგებისთვის, რომელიც აუცილებლად იქნება არცთუ მცირე მოცულობით, მაგრამ უნდა შეეცადოს, რომ მიიღოს ცოდნა და გამოცდილება, ჩაატაროს ანალიზი და ისწავლოს საკუთარ შეცდომებზე. არც არარეალურ ანგარიშზე ვაჭრობაა დიდი შედეგის მომტანი, ვინაიდან არარეალური ფულის შემთხვევაში ადამიანის ფსიქოლოგია სხვანაირად მოქმედებს და არ იძლევა საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას. ტრეიდერისთვის საუკეთესო ვარიანტია, საქმიანობა მინიმუმი კაპიტალით, შესაძლოა 50 დოლარითაც კი დაიწყოს და თანდათანობით გაზარდოს ის.

ადამიანების შესაძლებლობები განსხვავებულია, თუმცა კარგი ტრეიდერის ჩამოყალიბებას, რომელსაც ზემოთჩამოთვლილი უნარ-ჩვევები მაღალ დონეზე ექნება ათვისებული და ასევე დააგროვებს გარკვეულ გამოცდილებას, მინიმუმ ორი წელი ესაჭიროება, ხოლო მაღალი დონის პროფესიონალად გახდომას, რომელიც კრიზისულ და მოულოდნელ სიტუაცი-

ებშიც თავისუფლად იმოქმედებს-რამდენიმე წელი. პროფესიონალად გახდომას, ყველაფერთან ერთად, არაორდინალურ სიტუაციებში, ე.წ. „დიდი მოვლენების“ დროს, რაც შესაძლოა წელიწადში ერთხელ მოხდეს, პირადად ვაჭრობის გამოცდილება სჭირდება. სწორედ მოგების შესაძლებლობა განაპირობებს საქართველოში ადამიანთა ვაჭრობით დაინტერესებას. ამავდროულად ფორექსზე ვაჭრობა ტრეიდერებს აძლევს თავისუფლებას- ფორექსის ბაზარზე ტრეიდერი თავად არის საკუთარი საქმის უფროსი და წარმმართველი. არ არსებობოს ზედა რგოლის მენეჯმენტი, რომლისგანაც იგი მიიღებს დავალებებს და სამუშაო გრაფიკსაც თავად განსაზღვრავს. სწორედ დიდი მოგების შესაძლებლობა, აზარტი და თავისუფლება არის ქართველი ადამიანისთვის საუკეთესო ვარიანტი. თუმცაღა ხშირად ქართველები არ ითვალისწინებენ, რომ აზარტი დამღუპველია, თავისუფლება არ ნიშნავს უსაქმურობას და მოითხოვს მკაცრ თვითდისციპლინას, ხოლო მოგების მისაღებად საჭიროა რამდენიმე წელი და მუდმივად ცოდნის ამაღლება. დამწყებ ქართველ ტრეიდერებს უნდათ დიდი შრომის გარეშე, უმოკლეს დროში კაპიტალის სწრაფად გაზრდა და ხშირად ფორექსზე ვაჭრობას ტოტალიზატორსა და კაზინოში თამაშად აღიქვამენ. თუმცაღა თანდათან საქართველოშიც ყალიბდებიან პროფესიონალი ტრეიდერები, რომელთაც შეუძლიათ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის.

დღესდღეობით სავალუტო ბაზრის არსებობა წარმოუდგენელია **საბროკერო კომპანიების** გარეშე. საბროკერო კომპანიები არიან სავალუტო და საფინანსო ბაზრებზე მოქმედი პროფესიონალი შუამავლები. საბროკერო კომპანიები თავად არ ვაჭრობენ, ისინი ანხორციელებენ ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, სხვადასხვა ფინანსური ინსტუმენტების ყიდვა-გაყიდვას კლიენტის დავალებით. საფინანსო ბაზრებზე ბროკერების მეშვეობითაა შესაძლებელი გარიგებების დადება, სწორედ ამიტომ საფინანსო ბაზრებზე მოქმედ თითქმის ყველა მსხვილ კომპანიასა თუ კომერციულ ბანკს აქვს საბროკერო ლიცენზია. გარდა ყიდვა-გაყიდვისა, საბროკერო კომპანიები კლიენტებს

აძლევენ კონსულტაციებსა და ინფორმაციას, რომელიც ძალზე ღირებულია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

საბროკერო კომპანიები დამწყებ ტრეიდერებს სთავაზობენ სპეციალურ შემსწავლელ კურსებს, დემო-ანგარიშებს, მცირემოცულობიან სავაჭრო ანგარიშებს, პროფესიონალი ტრეიდერების ანალიზებს, სხვადასხვა სახის ბონუსებს და სხვა მრავალ მომსახურებას. ერთ შეხედვით ყველა საბროკერო კომპანია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ხშირად შეიძლება გამოუცდელი, დამწყები კლიენტი შეცდეს არჩევანში. რამდენადაც ბროკერი არის თქვენი შუამავალი, მისი მეშვეობით ანხორციელებთ გარიგებებს და მასვე აბარია თქვენი თანხები, უმნიშვნელოვანესია მათი გულდასმით შესწავლა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კლიენტებს გარიგების დადებისას პრობლემები შექმნიათ კურსის ცვლილების დაგვნიანებით ასახვის გამო, ასევე, ბროკერის მხრიდან ანგარიშწორების დროს და ა.შ.

დღესდღეობით მსოფლიოში წამყვან საბროკერო კომპანიებს მიეკუთვნება oanda, forexclub, avafx, alpari, admiral markets, fxopen, fxcm, forex.Com. აღნიშნული ბროკერების გარდა არიან სხვა პოპულარული და სოლიდური ბროკერებიც. მიუხედავად ბროკერის პოპულარობისა, იგი უნდა აკმაყოფილებდეს კლიენტის მოთხოვნებს. ბროკერის არჩევისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, მაგრამ მათგან უმთავრესია: სავაჭრო აგარიშის სახეები, მათი შექმნის სიმარტივე და მოქნილობა, სავაჭრო ანგარიშის დაცულობა, ფასების ცვლილებასთან მუდმივი წვდომა შეფერხებების გარეშე, თანხის შეტანისა და გამოტანის სისწრაფე და სიმარტივე, ბიუროკრატიის დონე, რომელი ქვეყნის კანონი და რეგულაციური სამსახური აკონტროლებს ბროკერის საქმიანობას, კონტრაქტის შესაბამისად შეუძლია თუ არა საბროკერო კომპანიას თქვენი სავაჭრო ანგარიშის დროებით გაყინვა ან ღია გარიგების თავად დახურვა, LEVERAGE-ის სიდიდე, კომუნიკაციის არსებობა კლიენტსა და საბროკერო კომპანიას შორის, სავაჭრო ანგარიშისა და ვაჭრობის მოცულობის მინიმუმი, სავაჭრო პროგრამის მრავალფუნქციონალურობა და მისი სიმარტივე. აღნიშნული ფაქტორები

ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია ბროკერის შერჩევისას. საბროკერი კომპანია ვერ უზრუნველყოფს ტრეიდერის კვალიფიკაციის ამაღლებას, ეს თავად ტრეიდერზეა დამოკიდებული, ბროკერმა ხელი უნდა შეუწყოს მას საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვაში.

საქართველოში თანდათანობით შემოდიან უცხოური საბროკერო კომპანიები, ხსნიან თავიანთ წარმომადგენლობებს ან ეძებენ ადგილობრივ პარტნიორებს. მიუხედავად უცხოური საბროკერო კომპანიების გააქტიურებისა, მათი საქმიანობა არ არის საკმარისი აღნიშნული დარგის სწრაფი ტემპებით განვითარებისთვის, ვინაიდან აღნიშნული კომპანიები საქართველოში გახსნილ წარმომადგენლობებს იყენებენ საქართველოდან და მთლიანად რეგიონიდან კლიენტების მოსაზიდად და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აღნიშნული დარგის განვითარებას. ისინი არ ანხორციელებენ მნიშვნელოვან სასწავლო პროგრამებს, ადგილზე არ ჰყავთ კვალიფიციური კადრები, რომლებიც ასწავლიან სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის სპეციფიკას თავიანთ კლიენტებს და მისცემენ მათ კვალიფიციურ რჩევებს.

ლიტერატურა

1. გარდაფხაძე ლ.; ილაშვილი გ.; ილაშვილი რ.; ფინანსური ბაზარი და საერთაშორისო სავალუტო საკრედირო ურთიერთობები. თბ. 2008.

2. Ashraf Laïdi; Currency Trading and Intermarket Analysis: How to Profit from the Shifting Currents in Global Markets. Printed in 2014

3. https://www.forexcrunch.com/importance-forex-trading-checklist-create/

4. www.bloomberg.com

5. www.forexfactory.com

6. marketswatch.com

7. http://www.investopedia.com/articles/forex/10/forex-risk-management.asp

8. http://www.investopedia.com/articles/forex/06/fxmoney-mgmt.asp

REFERENCES:

1. Gardapkhadze L.; Ilashvili g.; Ilashvili r.; Financial Market and International Currency Credit Relations. Printed in 2008
2. Ashraf Laïdi; Currency Trading and Intermarket Analysis: How to Profit from the Shifting Currents in Global Markets. Printed in 2014
3. https://www.forexcrunch.com/importance-forex-trading-checklist-create/
4. www.bloomberg.com
5. www.forexfactory.com
6. marketswatch.com
7. http://www.investopedia.com/articles/forex/10/forex-risk-management.asp
8. http://www.investopedia.com/articles/forex/06/fxmoneym-gmt.asp

ESSENTIAL CONDITIONS FOR TRADING IN THE CURRENCY MARKET

Kakhaber Kupatadze
PhD Student in Economics , GTU

RESUME

Trading in the currency market in Georgia is becoming increasingly popular, but it should be said that the process started too late in our country and we are lagging behind the former Soviet Union countries, Eastern Europe countries are far ahead us. In recent years Georgia has started to accumulate knowledge and experience in this field but there is still a lot to learn. Trading in the currency market requires a great knowledge, experience and specific skills, without which to achieve a success in this field is unimaginable. The development of this sphere may generate a solid income for the country and for each economic subject.

Key words: Trader; Risk; Currency Market; Broker; Experience; Knowledge; Trading.

ინვესტიციები და ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ემდ, სტუ ას. პროფესორი, ოქსფორდის
უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

რეზიუმე

ბიზნესის განვითარებაში ინვესტიციების ადგილისა და როლის ზოგად თეორიული ასპექტის შესახებ ჩვენ გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, რომ, როგორც მაღალ განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში ბიზნესის ნორმალური განვითარება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ეფექტური სინთეზის, ურთიერთშევსების გარეშე შეუძლებელია, ინვესტიციების სახელმწიფო მართვა რეგულირების მეტ-ნაკლები ზომით აუცილებელია, განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში (ადგილობრივთან ერთად უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭებათ ეკონომიკური კრიზისის დროს, ვინაიდან კრიზისულ სიტუაციაში ქვეყანაში იკლებს შიდა კაპიტალის ოდენობა, რაც ამცირებს შიდა კაპიტალდაბანდებების შესაძლებლობას, ამასთან ერთად მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები და იზრდება ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ასევე არ აძლევს სახელ-

მწიფოს საშუალებას განახორციელოს მსხვილი ეკნომიკური პროექტები, რათა მოხდეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. სწორედ აღნიშნულ დროს ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა უცხოური ინვესტიციები).ისიც ფაქტია, რომ აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გარდამავალი, პოსტსაბჭოური ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც სახელმწიფოს როლი ეკონომიკის, მით უმეტეს მისი ერთ-ერთი შედარებით აქტიურად განვითარებადი დარგის ფარმაცევტული ბიზნესის რეგულირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები:ინვესტიცია, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია, ფარმაცევტული ბიზნესი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ინვესტიციები საერთოდ და, მათ შორის, ფარმაცევტულ ბიზნესში. მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, რადგან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა აზიასა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისაკენ უბიძგებს. განვითარებადი ქვეყნებიდან გასულმა საინვესტიციო ნაკადებმა 2005 წელს 133 მლრდ აშშ დოლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 17 პროცენტი შეადგინა. გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების წილი იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსულ ნაკადებშიც. 2005 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 40 მლრდ აშშ დოლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 4 პროცენტი შეადგინა. მათი კონცენტრაცია რეგიონში, სადაც შედის საქართველოც, საკმაოდ მაღალი იყო: შემოსული ნაკადის 75 პროცენტი მხოლოდ სამ ქვეყანაზე – რუსეთზე, უკრაინასა და რუმინეთზე მოდიოდა (1).

გარდამავალი პოსტსოციალისტური ქვეყნების, როგორც ინვესტორი ქვეყნების, როლის ზრდა აიხსნება გლობალიზაცი-

ის მზარდი ზეწოლითაც, რაც კომპანიებს, მათ შორის ფარმაცევტულ საწარმოებს, აიძულებს კონკურენციისათვის იბრძოლონ როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე. ეს ქვეყნები თავიანთ ინვესტიციებს, სავარაუდოდ, ასეთივე ტიპის სხვა ქვეყნებში დააბანდებენ და ეს ინვესტიციები მიმღები ქვეყნების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. ამრიგად, საქართველოს შეუძლია დიდი სარგებლობა მიიღოს ისეთი აღმოცენებადი მეზობელი ბაზრების ინვესტიციებით, როგორიცაა, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი. ბოლო სამი წლის მანძილზე განხორციელბული ინვესტიციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინვესტორებისათვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება, თუმცა გასაკეთებელი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია.

იმისათვის, რომ ინვესტორმა მიიღოს გადაწყვეტილება, ესა თუ ის ფარმაცევტული ფირმა უნდა აკმაყოფილებდეს რამდნეიმე კრიტერიუმს. პირველი და უმთავრესი კრიტერიუმია ხელმძღვანელობა. ძალიან მნიშვნელოვანია გვყავდეს კარგი ხელმძღვანელი, პროგრესული, „გამჭვირალე“, ფართო მასშტაბის მოაზროვნე, რომელიც დაინტერესებული იქნება კომპანიის სააქციო კაპიტალის გადიდებაში და რომელიც მომავალზე ფიქრობს. მეორე, უმნიშვნელოვანესი მომენტია ფირმის გარდაქმნის პოტენციური შესაძლებლობა თანამედროვე კომპანიად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ფინანსური სახსრებია საჭირო კომპანიისათვის, რამდენად ეფექტიანია მისი აქტივები და რამდენ ხანში შესძლებს კომპანია უპასუხოს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს. მესამე, ესაა გამოსაშვები პროდუქცია. აქვს თუ არა მას პერსპექტივა ქართულ ბაზარზე, ფლობს თუ არა იგი ცნობილ სავაჭრო მარკას, ასევე როგორია კომპანიის გაყიდვების წილი ბაზარზე, მისი მდგომარეობა რეგიონში და პროცენტულად რა ნაწილს შეადგენს ადგილობრივად წარმოებული და საექსპორტო პროდუქცია. დაბოლოს, მეოთხე, ეხება დაფინანსებას; აქვს თუ არა კომპანიას ხანგრძლივი ბიზნეს-გეგმა.

ხშირად საქმე გვაქვს კომპანიებთან, რომლებიც ფულს კი

ითხოვენ, მაგრამ ბიზნეს-გეგმა არა აქვთ, არ გააჩნიათ შემუშავებული სტრატეგია. კარგ ხელმძღვანელობას გააჩნია კარგი ბიზნეს-გგემა. მან კარგად იცის რა უნდა გააკეთოს და აქვს რეალური წინადადებები. ხშირად ათეული შემთხვევიდან ცხრა წინადადება არარეალურია ხოლმე.

ამრიგად, კომპანიისათვის, როგორც წესი, საჭიროა სამი ძირითადი ელემენტი – კაპიტალი, ფინანსური „ნოუ-ჰაუ“ და დისციპლინა. გარდა ამისა, სასურველია კომპანიას ჰყავდეს ახალგაზრდა ენერგიული მენეჯერები (და არა საბჭოთა დროის ხელმძღვანელები), რომლებიც განსაკუთრებით წარმოების სფეროშია პროგრესული.

თუ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს გადავხედავთ, ჩვენი აზრით, აქ სტრატეგიული ინვესტირების დრო ჯერ არ დამდგარა, რადგან ბაზარი იცვლება. ევოლუციური პროცესები აწყდება რიგ რეალურ სიძნელეებს. საქართველოს აქვს პრობლემები ჯანდაცვის სფეროში და თანამედროვე სამკურნალო საშუალებების წარმოების საკმაოდ ეფექტური სისტემა არ გააჩნია, თუმცა დასავლეთის ფარმაცევტული და სადისტრიბუტორო კომპანიებისათვის აქ პოტენციალური შესაძლებლობები კოლოსალურია.

ალბათ ქართული ფარმაცევტული კომპანიები „ავერსი“ და „პესპე“ შეიძლება დასავლეთის უცხოელი ინვესტორებისათვის საინტერესო პარტნიორები გახდნენ, რადგან ქვეყანაში თითქმის მონოპოლურ მდგომარეობას იკავებენ და საკუთარი ბრენდის შექმნაზეც მუშაობენ. მაგრამ უცხოური კომოპანიები საქართველოს ფარმაცევტულ ბიზნესში შეიძლება გარკვეულ სიძნელეებს წააწყდნენ. ჯერ ერთი, ადგილობრივმა ლიდერმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა არ მგონია ისურვონ კონკურენტი ინვესტორების შემოსვლა, რადგან ისინი არიან წამლის შემომტანები, დისტრიბუტორები, დამამზადებლები და ბოლოს – მომხმარებლები და ჰოსპიტალური ქსელის გარკვეულ ნაწილს ფლობენ. ამ ბოლო დროს კი, ნაცვლად კონკურენციის გაზრდისა, სახელმწიფომ მათ წამლის ხარისხის კონტროლის ექსკლუზიური უფლებაც გადასცა. მეორე, ფარმაცევტული ბიზნესი

ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს დაცვის ქვეშ შეიძლება იმყოფებოდეს. ახსნას ითხოვს ასევე ის ფაქტი, რომ, მაგალითად, „ავერსს“ რატომ მიეცა უფლება ჰქონოდა თავისი კლინიკა, ან შექმნას სადაზღვევო კომპანია. ჩემი აზრით, წამლის ბიზნესის მფლობელს, წესით, არ უნდა ჰქონდეს უფლება შექმნას კლინიკა. ყოველივე ეს ინტერესთა კონფლიქტს იწვევს და ეწინააღმდეგება, პირველ რიგში მომხმარებელთა (მოცემულ შემთხვევაში, პაციენტთა) ინტერესებს. კეთილსინდისიერებასთან შორს არის ერთდროულად აწარმოო, გაანაწილო, დაუნიშნო და უმკურნალო საკუთარი წამლებით. წამლის სააგენტოს ინფორმაციით ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან მედიკამენტების იმპორტით, საშუალება ეძლევათ შემქნან იგივე დასახელების მედიკამენტები, თავადვე შემქნან ამ პროდუქციის ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორია. ამას კი რუსული გამოთქმის გამოყენებით „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ“ ჰქვია (1).

ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების საქმეში ინვესტიციების როლის შესახებ მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით უცხოური და სამამულო ინვესტიციების თანაფარდობის, მიზანშეწონილობის საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებითაც, ისევე როგორც, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემასთან მიმართებაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა ამოვდიოდეთ იმ მეთოდოლოგიური მიდგომიდან, რომლის თანახმად ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებს და გამორიცხავენ ანტისოციალურ მოვლენებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ, ჯერ-ერთი, ფარმაცევტული ბიზნესის ოლიგოპოლიური მდგომარეობა ხელს არ უწყობს ხალხის ინტერესების რეალიზაციას, და მეორეც, სასურველად მიმაჩნია ფარმაცევტული ბიზნესი ძირითადად ვითარდებოდეს ადგილობრივი მდიდარი ნედლეუ-

ლის ბაზაზე, რომლის მიზანიც იქნებოდა არა მარტო მოგების მიღება, არამედ ყოველი ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური და სამამულო ინვესტიციების თანაფარდობის საკითხის განხილვისას ფარმაცევტულ ბიზნესში, განსხვავებით სხვა სახეობის ბიზნესისაგან, უნდა ამოვიდეთ მისი სპეციფიკური თავისებურებებიდან, ეს თავისებურებანი, რომელიც გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან, წარმოების სოციალური ორიენტაციიდან, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უპირატესობა სამამულო, ადგილობრივ ინვესტიციებს უნდა მიენიჭოს, მით უმეტეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თანამედროვე ეტაპზე. ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ ამავდროულად ეროვნული ინტერესები არ უნდა შეილახოს. საქართველომ, ჩვენი აზრით, მოკლე ხანში თუ არა, პერსპექტივაში მაინც, უნდა შესძლოს უცხოელი ინვესტორების ხელშეწყობით ადგილბრივი ფარამცევტული ბიზნესის აღორძინება და განვითარება. კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის წილი დაახლეობით 10 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესის განვითარება, ძირითადად, უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის საფუძველზე ხდება და ფაქტობრივად ადიგლი აქვს ადგილობრიივ ინვესტიციების უმნიშვნელო გამოყენებას. ყოველივე ეს გაკვირვებას იწვევს იმ ფონზე, რცა, მაგალითად, გერმანიაში უცხოური ინვესტიციების წილი ინვესტიციის საერთო მოცულობის 10 პროცენტზე მეტი არ არის, დანარჩენი 90 პროცენტი აუციელბლად ეროვნული, ადგილობრივი ინვესტიცია უნდა იყოს. ბუნებრივია, ასეთი თანაფარდობა საქართველოში ძნელი მისაღწევია, მაგრამ პერსპექტივაში ადგილობრივი ინვესტიციამ, უცხოური ინვესტიციების დახმარებითაც კი, 50 პროცენტს უნდა გადააჭარბოს. ამის საფუძველს იძლევა ეკონომიკური

ზრდის დაგეგმილი ტემპები მომავალში.

ბოლო 20-25 წლის მანძილზე მრავალი განვითარებადი ქვეყანა დაადგა უცხოური ინვესტიციების რეგულირების შერბილების გზას, რითაც ცდილობს პირდაპირი ინვესტიციების აქტიურად მოზიდვას მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამწვავების პირობებში. ცხადია, საქართველომაც ამ გზით უნდა იაროს, მაგრამ ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო უარყოფით შედეგს, მათ შორის – ე.წ. „განდევნის ეფექტს“. მას ორი ფორმა აქვს. ჯერ ერთი, კონკურნტული უპირატესობის მქონე უცხოურ კომპანიებს შეუძლიათ ეროვნული ფარმაცევტული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კომპანიები, კორპორაციები თვითონ ითრევენ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის ფინანსების, საგრძნობ წილს. ამის თავიდან ასაცილებლად სხვა ქვეყნების ხელისუფლების მსგავსად, საქართველოსაც შეუძლია შეიმუშაოს ეროვნულ მეურნეობებში, მაგალითად, ფარმაციის სფეროში უცხოელი ინვესტორების შემოსვლის გარკვეული პირობები:

1) ეროვნულ ფარმაცევტულ ბაზარზე გაყიდვათა მთლიან მოცულობაში უცხოური კომპანიების ექსპორტის მაქსიმალური ხვედრითი წილის მიმართ;

2) ვალდებულებები ადგილობრივი მუშახელის მაქსიმალურად გამოყენებასთან დაკავშირებით;

3) რეციფიენტ ქვეყანაში, ე.ი. საქართველოში შექმნილი ფარმაცევტული ფირმების კაპიტალში უცხოური კომპანიების მონაწილეობის მაქსიმალური და მინიმალური ხვედრითი წილების დაწესება;

4) მოთხოვნები ტექნოლოგიების გადაცემაზე;

5) უცხოური კომპანიის ვალდებულებები მიმღებ ქვეყანაში კვლევებისა და საცდელი სამუშაოების ჩატარებაზე და ა.შ.

საგულისხმოა, რომ განვითარებული ქვეყნებიც კი მთლიანად არ აუქმებენ უცხოელი მეწარმეებისათვის დაწესებულ შეზღუდვებს. კერძოდ, აქ ჯერ კიდევ ინარჩუნებენ პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების შეზღუდვას გარკვეულ დარგებსა და სფეროებში, ეროვნული კომპანიების კაპიტალში უცხოელი ინვესტორების წილის შეზუდვებს და ორმხრივობის მოთხოვნებს. ეს ერთგვარი სიფრთხილის ზომებია უცხოური კაპიტალის „შემოტევისაგან“ თავის დასაცავად, რის აუცილებლობასაც ძლიერი ქვეყნებიც კი კარგად გრძნობენ. მაგალითად, ლიტვაში და უკრაინაში შეზღუდულია უცხოელი ინვესტორის მიერ წამლის წარმოება. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მეტადრე აუცილებელია ჯერ კიდევ სუსტი ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის. სწორი, გონივრული საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით, უნდა შევიმუშაოთ ისეთი ტაქტიკა, რომ სტიმული მივცეთ ისეთ ინვესტორს, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ინვესტორს ადგილობრივი ფარმაცევტული ბიზნესის განვითარებაში და თავი შევიკავოთ არასასურველი ინვესტორისაგან, რადგან, ჯერ ერთი, ხელიდან არ გამოგვეცალოს ფარმაცევტულ ბიზესში უცხოური ივნესტიციების რეგულირების ბერკეტები; მეორე, ფარმაცევტული ბიზნესის განსაკუთრებულად სასიცოცხლოდ საჭირო მდიდარი ადგილობრივი ნედლეულის, რესურსების სწრაფად, არარაციონალურად დამუშავებამ და არასწორმა საექსპორტო ოპერაციებმა მომავალში უარყოფითი სოციალურ-კონომიკური შედეგები არ გამოიწვიოს.

ადგილობრივი სამამულო ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპორტშემცველი საქონლისა და მომსახურების ადგილზე წარმოებას. ასეთი მიდგომა გამართლებულია ყველა შემთხვევაში (იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ბუნებირვია, უსაფრთხოებასაც). იგი უფრო გასათვალისწინებელია მსოფლიო თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რადგან ამ შემთხვევაში შედარებით მწვავე ეკონომიკური საფრთხეები ექმნებათ იმპორტიორ ქვეყნებს. არადა ამჟამად ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ხომ თითქმის 90%-ი ასეთი პროდუქცია იყიდება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო ცალმხრივად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, განსაკუთრებით

ამ სფეროში.

როგორც PSP-ს მონაცემები ადასტურებს, საქართველოში, ასე თუ ისე, მაინც 907 სამკურნალო საშუალება იწარმოება. მაგრამ ქართული გენერიკების ბიოეკვივალენტობა დადასტურებული არ არის. ეს ნიშნავს, რომ არავინ იცის საქართველოში წარმოებული წამლები შეესაბამება თუ არა ორიგინალს და რამდენად ხარისხიანია.

ქართული ფარმაკოლოგიური ფირმები ცდილობენ, ჯერ კიდევ დაპატენტებული უცხოური ორიგინალი პრეპარატები ქართული წარმოების პრეპარატებით ჩაანაცვლონ იმ საბაბით, რომ დაირღვა კანონი, მაგალითად საფრანგეთში და სამართალს საქართველოში ეძებენ. ქართული ბაზარი კი საკმაოდ პატარაა უცხოური ფარმაცევტული გიგანტებისთვის და, შესაბამისად, ნაკლებად საინტერესოც. ამიტომ იშვიათად დაობენ.

„სერვიესაგან“ გასხვავებით, პრეტენზიები არ გააჩნია შვეიცარიული კომპანია „ჰოფმან და როშის“, რომლის კუთვნილი მედიკამენტის - „ქსენიკალის“ გენერიკს სახელწოდებით - „ოლიმპი“, ასევე ქართული კომპანია GMP ამზადებს. პრეპარატს საერთაშორისო პატენტი კი აქვს, მაგრამ საქართველოში დაპატენტებული არ არის. ამიტომ „ოლიმპი“ ევროპის ქვეყნებში ვერასოდეს გავა, რადგან ევროპის ბაზარზე მათი კომპანიის მიერ დამზადებული მედიკამენტები იყიდება.

იბადება კითხვა – აქედან გამომდინარე, რა გამოსავალია? „ვისთვის უნდა ვაწარმოოთ“, თუკი ჩვენი ფარმაცევტული ნაწარმი საექსპორტოდ ვერ გავა?

უნდა ვთქვათ, რომ პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ ხარისხიანი, როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზრისთვის, პირველ რიგში კი საშინაო ბაზრისთვის. უპირატესობა მაინც საშინაო ბაზარს უნდა მიენიჭოს. მართალია, ბიზნესმენს ვერავინ ვერ დაავალდებულებს პროდუქციის რეალზაცია მხოლოდ ან უპირატესად საშინაო ბაზარზე მოახდინოს, მაგრამ ქვეყანაში უნდა არსებობდეს (თუ არ არსებობს, უნდა შეიქმნას) კეთილსასურველი ბიზნესგარემო, რომელიც ბიზნესმენთა უმრავლეოსბას ამგვარ გადაწყვეტილებას თვითონვე, ძალდატანების

გარეშე მიაღებინებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბიზნესმენს უნდა უღირდეს იმუშაოს საშინაო ბაზარზე და საგარეო ბაზარზე შეღწევისა და დამკვიდრებისათვის მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნოს. ერთი სიტყვით, მოცემულ ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი მაკროეკონომიკური ბიზნესგარემო, რომ ფირმების საქმიანობა წარიმართოს პროდუქციასა და მოსმახურებაზე როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამასთან ქვეყნის მოსახლეობისა და ეკონომიკის ინტერესებიდან, თვით ფარმაცევტული ბიზნესის თავისებურებებიდან გამომდინარე, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საშინაო ბაზრის მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების პრინციპის რეალიზაციას, საგარეო ბაზრებზე საქმიანობა კი, ძირითადად, ფირმის, კომპანიის რეალიზაციის მოცულობისა და შემოსავლების ზრდის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ე.ი. ამოცანას წარმოადგენს სამამულო ფარმაცევტული ბაზრის გაჯერების უზრუნველყოფა და ექსპორტის ზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. კითხვაზე – რა უნდა ვაწარმოოთ? ერთმნიშვნელოვანი და მარტივი პასუხი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ერთი კი ფაქტია – ქვეყნის სამეურნეო ტრადიციებს ვერ გავექცევით. დღეისათვის სიტუაცია არსებითად შეიცვალა – მომხმარებელთა მხრიდან არნახული ტემპით იზრდება ინტერესი და მოთხოვნა ბუნებრივი წარმოშობის ფიტოპრეპარატების მიმართ. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მსოფლიოში საგრძნობლად მატულობს ალერგიულ დაავადებათა რიცხვი – მსოფლიო მოსახლეობის 12% კი ებრძვის ამ პრობლემას, რის გამოც ადამიანები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ძლიერმოქმედ ქიმიურ პრეპარატებს.

სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელსაც მიუხედავად მისი გამოყენების უძველესი ტრადიციებისა, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებების 40%-ზე მეტი სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული სინთეზური წარმოშობის სამკურნალო საშუალებები ან მონოპრეპარატებია: ე.ი. ამ თვალსაზრისითაც

ის საჭირო რესურსია ფარმაცევტული ბიზნესისთვის მყარი სანედლეულო ბაზის ან იმპორტშემცველი და საექსპორტო პროდუქციის შესაქმნელად. დღეს ამ მხრივ საქართველოში კოლოსალური რეზერვებია, ოღონდ სამკურნალო მემცენარეობას სასურველია ეროვნული დატვირთვა მიეცეს, რათა გამოვიყენოთ ეს უნიკალური რესურსები, როგორც ველურადმოზარდი სახეობების, ისე გაკულტურებული ფორმების სახით, რაც სახელმწიფოს დამატებითი შემოსავლის წყაროც და რიგი სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებაც იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერული მეურნეობები ნაკლებად იჩენენ ინტერესს სამკურნალო მცენარეთა კულტივირების მიმართ, რადგან: ჯერ ერთი, მკაცრად ლიცენზირებადი საქმეა (ადამიანის ჯანმრთელობას ეხება) და საჭიროებს მაღალ პროფესიონალიზმს ფარმაკოლოგიურად ვარგისი ნედლეულის მისაღებად; მეორე, ნათესებიდან კომერციული უკუგების თვალსაზრისით დანახარჯთა გამოსყიდვას 2-3 წელი ჭირდება. გამომდინარე აქედან, არახელსაყრელია კერძო მეურნეობისათვის კრედიტების მოძიება. არადა ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა ძალიან რენტაბელური საქმეა. ამაში კარგი იქნება თუ უცხოელ ინვესტორებს დავაინტერესებთ.

სამკურალო მემცენარეობის განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და შესაბამისი საბაზრო კონცეფცია შემუშავებული აქვს რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას, უზბეკეთს, ბალტიისპირა რესპუბლიკებს, ბულგარეთს, უნგრეთს, პოლონეთს, ეგვიპტეს, ჩინეთს, ინდოეთს, ევროკავშირის მაღალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესობას და რასაკვირველია აშშ-ს და გერმანიას, სადაც ფიტოპროდუქციაზე, შესაბამისად მის ნედლეულზე დიდძალი მოთხოვნაა. ეს ქვეყნები ეწევიან აღნიშნული ნედლეულის ექსპორტს, თუმცა საჭირო ოდენობით იმპორტულ ნედლეულსაც მოიხმარენ.

როგორც სოციალური გამოკითხვებიდან დასტურდება, ამერიკისა და ევროპის მოსახლეობის ნახევარზე მეტი 60-70% ყოველდღიურ ყოფაში ფართოდ იყენებენ ფიტოპრეპარატე-

ბს, სამკურნალო ბალახების ნაკრებს, რის შედეგადაც სახეზეა მსგავს პროდუქციაზე მომხმარებელთა მზარდი ინტერესი.

სამწუხაროდ, საქართველოში, სამკურნალო-მცენარეული ნედლეულის ბაზარი, მოკრძალებულად გამოიყურება. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ადგილობრივი ფარმაცევტული ბიზნესი, ძირითადად იმპორტულ ნედლეულზე მუშაობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილ ბრენდებს „სალხინო“ და კოლხურს“.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დაგვრჩეს საქართველოს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უდიდესი როლი ქართული სამკურნალო ფლორის ფიტოქიმიური კვლევისა და ფიტოპრეპატარების მიღების საქმეში, რომელსაც წლების მანძილზე წარმატებულად ხელმძღვანელობდა და ახლაც მოღვაწეობს ამ ინსტიტუტში აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე. თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ ინსტიტუტმა ქართული ფარმაცევტული ბიზნესის აღორძინების საქმეში საკუთარი სანედლეულო ბაზის მეშვეობით, ნათლად ჩანს ცხრილში, რომელშიც მოცემულია ამ ინსტიტუტში შემუშავებული, სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული და ფართო გამოყენებისათვის ნებადართული პრეპარატების ვრცელი სია (1).

ცხრილი

N	პრეპარატის დასახელება, ფორმა	დანიშნულება
1	Tribusponin – ტრიბუსპონინი 0.1 გ ტაბლეტები N30 ბლისტერზე და ფლაკონში	ათეროსკლეროზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, ანაბოლიტური საშუალება
2	Flaronin – ფლარონინი 0.03 გ ტაბლეტები N60 ფლაკონში	ანტიურემიული, დიურეტული საშუალება
3	Caripazym – კარიპაზიმი ლიოფიზირებული ფხვნილი 350 პე (ფლაკონში)	პროტეოლიზური ფერმენტული პრეპარატი ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში, ნეიროქირურგიაში, ნევროლოგიასა და სტომატოლოგიაში გამოსაყენებლად

4	Colchicinum – კოლხიცინი 0.001 გ ტაბლეტები N60	პერიოდული დაავადების, ამილოიდოზის და პოდაგრის საწინააღმდეგო საშუალება
5	Rhamnil – რამნილი 0.05 გ ტაბლეტები	კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის მომწესრიგებელი საშუალება
6	Fatsifloginum – ფაციფლოგინი 0.25 გ ტაბლეტები N50	ანტირევმატული, ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება
7	Unguentum Psoranthroni – ფსორანტრონის მალამო 0.5%; 1.5%; 20 გ	ფსორიაზის სამკურნალო საშუალება
8	Causoronum – კავსურონი თხევადი ექსტრაქტი 50 მლ	ბრონქოსპაზმოლიტური საშუალება
9	Tsarubol – ცარუბოლი 0.07 გ კაფსულები N20	ჰეპატოპროტექტორული და ნაღვლის დამდენი საშუალება
10	Sirupus Causoroni – კავსურონის სიროფი 100 მლ	ბრონქოსპაზმოლიტური საშუალება
11	Sirupus Passiflorae – პასიფლორას სიროფი 100 მლ	სედატიური საშუალება
12	Tabulettae Causoroni – კავსურონის ტაბლეტი N30	ბრონქოსპაზმოლიტური საშუალება
13	Echinacin – ექინაცინი ტაბლეტი N30	იმუნოსტიმულატორი
14	Tabulettae Bentoboli – ბენტობოლის ტაბლეტი 1 გ N30	მეტეორიზმის, ქრონიკული და ჰიპერაციდული გასტრიტების, კოლიტების და დისბაქტერიოზის სამკურნალო საშუალება
15	Flores Calendulae officinalis – გულყვითელას ყვავილი 30გ ან 50გ	ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ნაღვლმდენი საშუალება
16	Flores Chamomillae – გვირილას ყვავილი 30გ ან 50გ	ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ანტალერგიული, ოფლმდენი, ნაღვლმდენი საშუალება
17	Unguentum Caripani – კარიპანის მალამო: პაპაია — 50პე/გ ლევომიცეტინი 0.5% - 20 გ	II და III ხარისხის დამწვრობის, ზედაპირული და ღრმა ჩირქოვანი ჭრილობის სამკურნალო ანტისეპტიკური მოქმედებით

18	Rhizoma cum radicibus Valerianae – კატაბალახას ფესურები ფესვებით 30გ ან 50გ	სედატიური საშუალება
19	Folia Salviae – სალბის ფოთლები 30გ ან 50გ	ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეტორულ აქტივობას
20	Semina Lini – სელის თესლები 30გ ან 50გ	შემომგარსველი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება
21	Folia Menthae piperitae – ბაღის პიტნის ფოთლები 30გ ან 50გ	სპაზმოლიტური და ნაღვლმდენი საშუალება
22	Rhodopesum – როდოპესი, მალამო 20გ	ჰერპესული დაავადებების სამკურნალო საშუალება
23	Saturin – სატურინი კაფსულები 0.33გ	ჰიპოგლიკემიური საშუალება
24	Tabulettae Salbei – სალბის ტაბლეტი 1.1 გ	სასუნთქი გზების ანთების საწინააღმდეგო საშუალება
25	Ginkgo-Bati – გინკგო-ბათი, ტთხევადი ექსტრაქტი 50 მლ	სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი საშუალება
26	Medea – მედეა სითხე 120 მლ	გინგივიტების, პარადონტიტების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის
27	Alexin – ალექსინი, ფხვნილი 5გ	მცენარეთა ზრდის სტიმულატორი
28	პოლ-პალას ბალახი, 50გ	თირკმლის ანთებითი დაავადებების და პიელონეფრიტების სამკურნალო საშუალება

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში ფარმაკოლოგიისა და სამკურნალო მემცენარეობის საქმეში მოღვაწე რიგი უწყებების მიმართ, მაგ. სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოგნოზიის, ფარმაკოლოგიის და ფიტოფარმაციის კათედრები, თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებთან არსებული სამკურნალო მცენარეთა საინტროდუქციო სამეცნიერო-კვლევითი სადგურები, სპეციალიზებული მეურნეობები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საჭი-

როა ძველი და ახალი გამოცდილების რაციონალური შეჯერება, რათა ეს პერსპექტიული ფარმაცევტული დარგი უფრო მყარად ჩადგეს ქვეყნის სამსახურში. საქართველოს საბედნიეროდ გააჩნია ფარმაცევტული წარმოების სფეროში ბრწყინვალე ინტელექტუალური პოტენციალი, რომელსაც სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა და ინვესტიციები ესაჭიროება. ოფიციალური სტატისტიკით, სამკურალო მცენარეული ნედლეულის ექსპორტით ევროპულ ბაზარზე ლიდერობს გერმანია, იგივე შეიძლება ითქვას ბულგარეთზე. მესამე ადგილზეა პოლონეთი.

მაგრამ ვფიქრობთ, თუკი ფარმაცევტულ სფეროში მოხდება მეცნიერების, განათლებისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაცია, ენდემური სამკურნალო ფლორის რესურსების ეფექტიანი გამოყენება და სამამულო ფიტოპრეპარატების წარმოების გაზრდა, შედარებით იაფი და იმპორტშემცველი სამკურნალო საშუალებების წარმოება, ხოლო პერსპექტივაში ორიგინალური „ბრენდების“ შექმნა, მაშინ ნამდვილად წარმოჩინდება ადგილობრივი სამკურნალო მცენარეული ნედლეული როგორც ფარმაცევტული ბიზნესის პერსპექტიული სეგმენტი.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ადგილობრივი სამამულო მეწარმეობის, ფარმაცევტული ბიზნესის განსავითარებლად, თუკი დაგვჭირდა, აუცილებელია გატარდეს დასაბუთებული პროტექციონისტული პოლიტიკა (იგულისხმება ტარიფების, ფისაკლური ტარიფების, პროტექციონისტული ტარიფების, კვოტების, არასატარიფო ბარიერებისა და ა.შ. მოხერხებულად და ეფექტიანად გამოყენება), რაც საქართველოში დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობისა და სამეურნეო აქტიურობის ზრდის საწინდარია.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი უცხოურ ინვესტიციებთან ერთად ადგილობრივმა ინვესტიციებმა უნდა შეასრულოს. ეს ძირითადად შეიძლება მოხდეს მდიდარი, ადგილობრივი სანედლეულო ბაზის მეშვეობით, სახელმწიფო რეგულირების იმგვარი

მექანიზმების შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური, უპირატესად სამამულო ფარმაცევტული ბიზნესის აღორძინებას. ყოველივე ეს შესაძლებელს გახდის ფარმაცევტული საწარმოო ბაზის მოდერნიზაციის გზით მკვეთრად ამაღლდეს ქართული ფარმაცევტული ნაწარმის კონკურენტუნარიანობა.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. ა. სხირტლაძე, ჟ. წიკლაური,... ბიზნესი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უმთავრესი პირობა, მისი აღრიცხვის, საგადასახადო რეგულირების თავისებურებანი. გამომც. „უნივერსალი“,თბ., 2013 წ.136 გვ.

2. ჟურნალი „ეკონომიკა“, N1, 5, 6, 2017 წ.

3. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური,... ინვესტიციების როლი ეროვნული ბიზნესის განვითარებაში და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. მონოგრაფია. თბ., 2017 წ.გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017 წ.

4. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური,... საავტორო უფლებების მართვა და მისი გავლენა ეროვნული ბიზნესის განვითარებაზე. მონოგრაფია. თბ., 2017 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017 წ.

5. ჟურნალი „ეკონომიკა“, N3-4, 2017 წ.

REFERENCES:

1. A. Skhirtladze, Zh. Tsiklauri, ... Business, as the main condition of solving socio-economic problems, the peculiarities of its accounting and tax regulation. PH „Universal”, Tb., 2013, 136 pg.

2. Journal „Economics”, N 1, 5, 6,2017y.

3. R. Shengelia , Zh. Tsiklauri, ... The Role of Investments in the Development of National Business and Increasing the Competitiveness of the Economy. Monograph. Tb., 2017 y. Publishing House „Universali”, 2017y.

4. R. Shengelia , Zh. Tsiklauri, ... Copyright Management and its Influence on the Development of National Business. Monograph. Tb., 2017 y. Publishing House „Universali”, 2017y.

5. Journal „Economics”, N3-4, 2017y.

INVESTMENTS AND THE PROSPECTS FOR DEVELOPMENT OF PHARMACEUTICAL BUSINESS IN GEORGIA

Revaz Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Natia Shengelia
PhD, Professor of GTU, Graduate from
The Oxford University, Business Faculty

RESUME

In the development of pharmaceutical business, local investments can play the decisive role together with foreign investments. This can implemented mainly through a rich, local raw material base, such as mechanisms of state regulation that provide to promote the national pharmaceutical business oriented on innovations. This will enable the competitiveness of Georgian pharmaceutical products to be sharply increased by modernizing the pharmaceutical manufacturing base.

MARITIME LOGISTICS PERSPECTIVES IN GEORGIA

George Gabedava
PhD Student ,
Georgian Technical University

RESUME

The main purpose of this paper is to outline the perspectives of the maritime logistics in Georgia. Nowadays the transport sector is one of the most important industry in the economic development of the country. Georgia's strategic geopolitical location is a significant factor for developing the logistics in the country. Due to its favorable location the country has a great potential to become the main logistic hub in the region. Georgian transportation system consists of land (road, railway) maritime (seaports, terminals), air and pipeline transports.

Key words: Seaports, Logistic, Maritime logistic.

INTRODUCTION

Georgia is located on the crossroad of Europe and Asia, where transportation of strategic cargoes is conducted. Logistic is the most important part of Georgia's economy, its portion of the country GDP 2015 is 8% (National Statistical Service). Developing of logistic sector will help Georgia's integration in the global logistic network and its effective connection with the world's leading international markets. The logistic infrastructure development itself is the crucial for the development of other sectors of Georgia such as agriculture, manufacturing, trade and tourism.

MAIN PART

Seaports are the key components of the Georgian transport system as well as logistic. They carry out the functions and services necessary of effective supply chains and cargo distribution. They have different types of function (Figure1) such as transport, industrial, commercial, logistic and etc.



Figure 1: Seaport Function as Logistics Centers
Source: (Andrzej Montwiłł 2011)

Georgian maritime infrastructure counts several seaports and terminal: **Poti seaport** is the largest port of the country, which is handling liquid and dry bulk, ferries as well as containers. It has 15 berths and more than 20 quay cranes, with total length oh 2.9 km. Its capacity is 10 mln. tones. **Batumi seaport** is the second port in the country, which is handling liquid, dry bulk and containers. It has 11 berths and its capacity is 100000 TEU, 2 mln. tones dry cargo, 15 mln. tones oil/products and 180000 passenger annually. **Kulevi oil terminal** with 3 berths, its capacity is 5 mln. tones oil products. **Supsa oil terminal** with capacity of 4 mln.tones.

Since the depth of existing ports is not sufficient to accept new ocean vessels (Panamax or VLCC) , government of Georgia decided to build new deep sea port Anaklia which will have potential to handle increasing turnover in the region and outside. Port will have enough accessibility for PanaMax ,VLCC and container vessels with 6500 TEU.

In Georgia, each type of transport is quite developed to ensure safe transportation of cargo to the destination. In order to evaluate Georgia's existing transit potential it is crucial to consider the dynamics of cargo transportation in the country. (Figure 2)



Figure 2: Total handled cargo by sea and other mode (road, railway, air) of transports (mln.tones)

Source: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

The data presented on the Figure 2 are indicated positive trend of increasing cargo turnover by the different type of mode in Georgia. If we see the official statistic (Figure 3), it is obvious, that the cargo turnover dynamic within Georgian seaports is increasing.



Figure 3: Handled containers by sea (Total)

Source: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

Since 2010, the number of conteiner is increasing into the Georgian

seaports. Compare to 2010, in 2011 container number is increased by 32%, and in 2012, compare to previous year it is increased by 19%. In 2013 the container number is increased again but the rate of growth is reduced and the number of container is increased by 13% compare to 2012 year. In 2014, compare to last year the number of container is increased by 11% . Respectively, since 2011 the number of container increases but the growth rate decreases.

The reason might be caused by the non-competetive tariff system, transport infrastructure (maritime, railway, road) and service quality.

CONCLUSION

Therefore Georgia must be oriented to improve maritime transport infrastructure systematically, to increase cargo turnover and improve competitiveness of seaports and transit corridor lies on the country and gain the reputation as an effective transport corridor of the country.

LITERATURE

1. A.Montwill The role of seaports as logistics centers in the modeling of the sustainable system for distribution good in urban areas. - Poland 2014, P 260.

2. Report of National Statistic Service. – Tbilisi 2016, P 2.

3. Website of Batumi Seaport - www.batumiport.com (applied 30.03.2016).

4. Website of Poti Seaport - www.apmterminalspoti.com (applied 04.04.2016).

5. Website of Kulevi Oil Terminal - www.kulevioilterminal.com (applied 08.04.2016).

6. Request for expression of interest for the construction and development of the Anaklia New Deep Sea Water Black Sea Port. – Tbilisi 2014.

7. Website of Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia – www.economy.ge (applied 10.04.2016).

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲚᲝᲒᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გიორგი გაბედავა
სტუ დოქტორნატი

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ

სტატიაში ძირითადად წარმოდგენილია საზღვაო ლოგისტიკის პერსპექტივები საქართველოში. დღესდღეობით სატრანსპორტო სექტორი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში ლოგისტიკის განვითარებისათვის. ქვეყანას თავისი სასურველი და ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო აქვს დიდი პოტენციალი გახდეს რეგიონის მთავარი ლოგისტიკის ჰაბი. საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში შედის: სახმელეთო (რკინიგზა, საგზაო), საზღვაო (ნავსადგურები, ტერმინალები), საჰაერო და მილსადენი ტრანსპორტი

საკვანძო სიტყვები: საზღვაო ნავსადგურები, ლოგისტიკა, საზღვაო ლოგისტიკა.

მებოსტნეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თენგიზ ლაჭყეპიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ხათუნა მურვანიძე
სტუ-ს დოქტორანტი

გიორგი ლოხიშვილი
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია მებოსტნეობის, როგორც საქართველოს აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი დარგის თავისებურებები, ეფექტიანობის კრიტერიუმები და მათი როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში; ამასთან განხილულია ბოსტნეულის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა; ბოსტნეულის რესურსების სტრუქტურა და მათი გამოყენება; გამოვლენილია მებოსტნეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: მებოსტნეობა; მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და ეფექტიანობის პერსპექტივები.

შესავალი

მებოსტნეობა-საქართველოსსოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც დიდ როლს თამაშობს წლის განმავლობაში დიეტური პროდუქტებითა და კონსერვირებული ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებაში. ბოსტნეულის წარმოების ტემპები და დინამიკა, მოსახლეობის ბოსტნეული პროდუქტებით, ხოლო გადამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის დონე განისაზღვრება ქვეყანაში მებოსტნეობის განვითარებით(თუმცა უნდა აღი-

ნიშნოს ისიც, რომ 2016 წელს, 2014 წელთან შედარებით ბოსტნეულის წარმოება შემცირდა 8%-ით,ანალოგიურად შემცირდა ფართობიც - 5.6%-ით. ბოსტნეულით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა კი შეადგინა 64 %, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად ჩვენი გარემო პირობებიდან გამომდინარე). ამავე დროს მებოსტნეობის ეფექტიანი განვითარება დამოკიდებულია სამუშაო ძალით უზრუნველყოფასა და გასაღების ბაზრების სატრანსპორტო ხელმისაწვდომობაზე.

მებოსტნეობა ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რომლებიც განსაზღვრავენ ბოსტნეულის წარმოების ორგანიზაციას, განლაგებასა დ განვითარებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებსა და მეურნეობის განვითარების რაიონს. მებოსტნეობა აერთიანებს მრავალ ერთ-, ორ- და მრავალწლიან კულტურებს, რომლებიც განსხვავდებიან ბიოლოგიური და სამეურნეო მახასიათებლებით. მრავალი მათგანის მოყვანა ხდება გადარგვით, რის გამოც აუცილებელია სპეციალური საკულტივაციო მოწყობილობის არსებობა. სექტორში გამოიყენებართული და ცალკეული კულტურებისთვის მნიშვნელოვნად განსხვავებული ტექნოლოგიები, რაც ართულებს მათი მოყვანის მექანიზაციას.

მარცვლოვნებისაგან განსხვავებით ბოსტნეული კულტურებისა და სახეობების რიცხვი ბევრად დიდია. აღნიშნული ჯიშები განსხვავდება მოსავლიანობით, ხარისხობრივი მახასიათებლებითა და სარეალიზაციო ფასით. მიუხედავად იმისა, რომ ჯიშების უმრავლესობის დანერგვა ითვალისწინებს არა მარტო მოსავლიანობის ამაღლებას, არამედ კონკურენტული რეგიონის პირობებთან შეგუებას. ამავე დროს, ბოსტნეული კულტურების ზოგიერთი სახეობის მოყვანა ვერ ხერხდება გარკვულ ეკონომიკურ რაიონებში.

ბოსტნეულის მოყვანის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ რეგიონის მიუხედავად პარაქტიკულად ხორციელდება მათი წარმოების ორი სქემა - ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა. აღნიშნული სქემები ხასიათდება მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სხვაობით და საჭიროებენ კაპიტა-

ლდაბანდებისა და მიმდინარე ხარჯების სხვადსხვა დონესა და ხასიათს.

მეორეს მხრივ, სასათბურე მეურნეობის ორგანიზაცია გულისხმობს პროდუქციის რეალიზაციას ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდისთვის, როდესაც მოთხოვნილება ბოსტნეულზე მნიშვნელოვნად მაღალია და შესაბამისად ფასი შასაძლებელია დადგინდეს უფრო მაღალ დონეზე.

მებოსტნეობის ერთ-ერთ მორიგ თავისებურებას წარმოადგენს ბოსტნეული კულტურებით დაკავებულ ფართობებზე თესლბრუნვის გაზრდილი მოთხოვნილება. დიდი მოსავლიანობა იწვევს ნიადაგის სწრაფ გამოფიტვას. ნაყოფიერების განახლება კი შესაძლებელია მხოლოდ შეტანილი სასუქებისა და სწორი თესლბრუნვის გააზრებული კომბინაციის საფუძველზე. სასუქების შეტანა ნიადაგში, რომელზედაც მოჰყავთ ბოსტნეული კულტურები, საჭიროებს აგროტექნიკური წესების მკაცრად დაცვას, ხოლო სასუქების რაოდენობა შეზღუდულია ამა თუ იმ კულტურის განვითარების თავისებურებით.

ძირითადი ნაწილი

მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მეტად შრომატევადი და კაპიტალტევადი სექტორია. ეს უპირველესად ეხება ადრეულ კულტურებს, რომელთა მოყვანა ხდება საკულტივაციო ნაგებობებში. ამავე დროს სექტორის პროდუქცია მალფუჭებადი და ნაკლებტრასპორტაბელურია, რის გამოც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სასურველია გადამუშავდეს წარმოების ადგილებში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შეინიშნება ბოსტნეულის მოხმარების მდგრადი ზრდა. მთლიანი პროდუქტის ზრდის თვალსაზრისით სექტორში ჩამოყალიბდა ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტენდენცია, რომელიც გულისხმობს საწარმოო მაჩვენებლების რაოდენობრივ მატებას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდა, რომელიც ხორციელდება ექსტენსიური პრინციპით, ანუ წარმოების ხარისხობრივი ცვლილების გარეშე, მხოლოდ მოზი-

დული საწარმოო რესურსების რაოდენობივი ზრდის ხარჯზე, არ იწვევს საწარმოო პოტენციალის, ფონდუკუგების, მასალატევადობის ზრდას. აქედან გამომდინარე თანამედროვე პირობებში აქტუალობას იძენს სექტორის ეკონომიკური განვითარება წარმოების ტექნოლოგიის ხარისხობრივი ცვლილების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს წარმოების თვალსაზრისით უფრო ეფექტიანი ტექნიკის, პერსპექტიული ჯიშებისა დ ჰიბრიდების, მცენარეთა დაცვისა და ქიმიზაციის საშუალებების გამოყენებას. გარდა ამისა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე, მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსების გამოყენება. შედეგად, აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით შესაძლებელია არა მარტო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა, არამედ მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის შემდგომი ზრდის მიზნით.

მეურნეობრიობის მცირე ფორმებმა პრაქტიკულად ამოწურეს საკუთარი განვითარების რეზერვები, როგორც ფართობის გადიდების მიმართულებით, ასევე თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის კუთხითაც. თანამედროვე პირობებში მხოლოდ მსხვილ საწარმოებს შეუძლიათ ბოსტნეული კულტურების მოყვანის მიზნით ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოება და ბოსტნეულის ნედლეულზე გადამმუშავებელი მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთი საწარმოების განლაგება აუცილებელია მსხვილი ქალაქების, გასაღების ბაზრების ან საკონსერვო ქარხნების სანედლეულო ზონების მახლობლად.

წარმოების საფუძველი მათში უნდა გახდეს სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და წარმოებაში ფართო დანერგვისათვის რეკომენდირებული ინდუსტრიული ტექნოლოგიები ისეთი ბოსტნეული კულტურებისთვის, როგორიცაა: კიტრი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, პომიდორი და ა. შ. ნია-

დაგის ძირითადი და თესვისწინა დამუშავება, მასში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, ნათესების პესტიციდებით დამუშავება ძირითადად ხდება მანქანებითა და საერთო დანიშნულების მექანიზმებით.

მსგავსი ტექნოლოგიების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს საწარმოო პროცესების მექანიზაციის მაღალი დონე და შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესებული ხარისხი. მოსავლის მოყვანისა და აღების კომპლექსური მექანიზაცია ამცირებს წარმოების შრომატევადობას: კომბოსტოსთვის - 37 %-ით; სტაფილოსთვის - 45%-ით; ხახვისთვის - 58%-ით; პომიდვრისთვის - 65%-ით. ინდუსტრიულ ტექნოლოგიას საფუძვლად უდევს ქიმიზაციის, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის ქიმიური მელიორაციის საშუალებების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენება.

ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონესა და კომპლექსური მექანიზაციის პროცესების თანდათანობით დანერგვაზე. თანამედროვე მებოსტნეობაში სრულად მექანიზებულია ნიადაგის დამუშავების სამუშაოები, სასუქების შეტანის, რიგებს შორის დამუშავების, მავნებლებისა და დაავადებებისგან მცენარეთა დაცვის სამუშაოები. მიღწეულია თესვისა და დარგვის მექანიზაციის მაღალი დონე, თუმცა სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი სექტორში ისევ ხელით ხორციელდება. მებოსტნეობაში საერთო მექანიზაციის დონე შეადგენს 20-25%-ს.

ამრიგად, სამრეწველო მებოსტნეობის აღორძინება, მებოსტნეობის სპეციალიზირებულ საწარმოთა შექმნა განაპირობებს ბოსტნეული კულტურების მოყვანის თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას და ბოსტნეული ნედლეულით საკონსერვო ქარხნების მომარაგების პრობლემის გადაწყვეტას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროცესების რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი დაიყვანება - ,,აგრობიზნესის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიის - ჯანსაღი კვების პროდუქტების „ტექნოლოგიურ პლატ-

ფორმაზე, როგორც ქვეყნის აგროსასურსათო მიმართულების ერთადერთ საფუძველზე.

ბოსტნეულის წარმოების ეფექტიანობა დამოკიდებულია აგრეთვე სექტორში ორგანიზაციისა და შრომის ფორმირებაზე. მებოსტნეობაში ფართო გამოყენება ჰპოვა სპეციალიზირებული მებოსტნეობის ფერმებმა. შრომის ასეთი ორგანიზაციისას ხდება ტექნიკის საწარმოო ექსპლუატაცია, იზრდება თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და იქმნება კეთილგანწყობილი გარემო მებოსტნეების პროფესიული დონის ამაღლებისა და სრულყოფისათვის. ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოო გამოყენება შესაძლებელია ბოსტნეულის ნათესი ფართობისათვის არაუმცირეს 80-120 ჰ-ისა. კულტურების ნაკრებისა და სამუშაოს მექანიზაციის დონის მიხედვით ბოსტნეული კულტურების ნათესების დატვირთვა მუდმივ მუშახელზე შეიძლება მერყეობდეს 1,5- 4,0 ჰა-ის ფარგლებში.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

კვლევების თანახმად თანამდროვე პირობებში აგრობიზნესის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ბოსტნეულის რაოდენობრივ-ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება გამოვლინდეს სხვდასხვა ფორმით. ერთის მხრივ - უცვლელი რესურსებისა და დანახარჯების პირობებში პროდუქციის მოცულობის ზრდით, ხოლო მეორს მხრივ - საწარმოო ხარჯების შემცირებით პროდუქციის იგივე რაოდენობით კლებისას.

ბოსტნეულის წარმოების ეფექტიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მომავალშიც ექნება როგორც მთლიანად ეროვნული მეურნეობისთვის, ასევე თითოეული საწარმოსათვის, რასაც განაპირობებს მრავალი ფაქტორი. პირველ რიგში - შეზღუდული რესურსების პირობებში პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა განაპირობებს კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილებას. მეორე რიგში - მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანი მოხმარებისას მცირდება საწარმოო

ხარჯები, რაც აისახება სურსათის საცალო ფასების დონეზე. მესამე - წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უზრუნველყოფს საწარმოს შემოსავლების ზრდას, გამოიყოფა უფრო მეტი სახსრები შრომითი კოლექტივის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გაჭიანურებული კრიზისის - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის - დაძლევისკენ მიმართული რეალური და მოქმედი ზომების ძიება, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს აგრობიზნესის თითოეული სექტორისა და სფეროს ფორმირებისა და განვითარების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების საფუძვლიან შესწავლას. დინამიურად ცვალებად ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ პირობებთან აგრარული წარმოების სუბიექტების ადაპტაციის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ.კოღუაშვილი, გ.ზიბზიბაძე - სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბ. 2010.

2. Дубовицкий, А. А. Тенденции развития овощеводства Региональные аспекты функционирование сельскохозяиственных товаропроизводителеи: Сб.науч. трудов/ - Мичуринск: МГАУ,2001.

3. Neuymin,D.S. Management of agrikultural enterpraise competitiveness {Text} /D.S. Neuymin // Urals Agrarian bulletin. -2011.-№1.

REFERENCES:

1.P.Coguashvili, G.Zibzibadze - Agricultural Economics. Guide. Tbilisi. 2010.

2. Dubovitsky, A.A. - Trends in the development of vegetable growing. Regional aspects of the functioning of agricultural commodity producers: Scientific Works / Michurinsk: MGAU, 2001.

3. Neuymin,D.S. Management of agricultural enterprise competitiveness {Text} /D.S. Neuymin // Urals Agrarian bulletin. -2011.-№1.

PROBLEMS AND PERSPECTIVES OF VEGETABLE PRODUCTION DEVELOPMENT IN GEORGIA

T.Lachkepiani - Academic Doctor of Economics
Kh.Murvanidze – Doctoral student of GTU
G.Lokhishvili –Master of Caucasus International University

RESUME

The article covers the peculiarity of the main field of horticulture in agricultural sector of Georgia, the criteria of effectiveness and their role in the market economy; In addition, the article reviews the modern condition of vegetable production; The Structure and use of vegetable resources; The Problems of development and prospects of horticulture which have been identified in Georgia.

Key words: horticulture as a branch, the current status of vegetable production; resource structure of vegetable and their use, problems and productions of vegetable production development.

საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯი ტურისტთა უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული

ლელა მესხიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიში განხილულია უსაფრთხოება ტურიზმში და მისი მოთხოვნები, აგრეთვე საფრთხის შემცველი მიმართულებები. დასახულია ამოცანები, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ, ტურისტულმა ორგანიზაციებმა და რა უნდა იცოდნენ თვითონ ტურისტებმა საფრთხეების ასაცილებლად. ამის გარდა, განხილულია ის მოვლენები, რომლებიც ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნიან ტურისტებს – კონფლიქტები და ოკუპაცია, ბუნებრივი კატასტროფები, მოძრაობის დარღვევები და სხვა.

საკვანძო სიტყვები: საფრთხე, უსაფრთხოება, ტურისტი, დაცულობა, იმიჯი, ვიზიტორი.

შესავალი

გარდაქმნის წლებიდან დაწყებული საქართველოში უცხოელ ტურისტთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, ამან ქვეყნის მთავრობა სერიოზულად უნდა დააფიქროს, რადგან ასეთი ფაქტები გვიყალიბებს სიცოცხლისთვის საშიში ქვეყნის იმიჯს.

1. უსაფრთხოება ტურიზმში და ტურისტთა უსაფრთხოების განსაზღვრის მოთხოვნები

ნებისმიერი ტურისტული მომსახურების შემთხვევაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა უსაფრთხოებას, განსაკუთრებით კი ექსტრემალური ტურების დროს. ამიტომ სასურველია იმ ობიექტებსა და მარშრუტებს, სადაც ხორციელდება ტურები, გააჩნდეთ

კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია და მინიჭებული ქონდეთ კატეგორია. ამასთან უნდა არსებობდეს ამავე ორგანოს მიერ გამოცემული სტანდარტები, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება იმ აუცილებელ მოთხოვნათა და ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა უსაფრთხოებას. აღნიშნულმა სტანდარტებმა უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვრონ და უზრუნველყონ ტურისტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება. ტურისტულმა მომსახურებამ უნდა უზრუნველყოს ტურისტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების დასაშვები დონე, როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ისე საგანგებო (ექსტრემალურ) სიტუაციისას. ამიტომაც ტურისტული კომპანიები ვალდებულნი არიან ტურისტებს მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია მოგზაურობის თავისებურებებსა და მოსალოდნელ საფრთხეებზე, აგრეთვე განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მაგ. ჩაუტარონ ინსტრუქტაჟი, აღჭურვონ ისინი საჭირო ეკიპირებით, მოწყობილობებითა და მასალებით, გამოუყონ მოგზაურობისას ადგილმდებარეობის მცოდნე კვალიფიციური გიდ-გამყოლი, დროულად გააფრთხილონ ამინდის მოსალოდნელი გაუარესების შესახებ და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტანდარტებში მოცემული მოთხოვნები, რომლებიც აღნიშნული რისკების დონეთა განსაზღვრას ეხება, საკმაოდ რთულია, რადგანაც ისინი განსხვავდებიან არა მარტო ტურიზმში არსებული სახეობების მიხედვით, არამედ თვითონ ტურისტთა ფიზიკური მონაცემების, ასაკისა და ინტერესების მიხედვითაც.

თითოეულ ტურისტულ კომპანიასა და ობიექტს აუცილებლედ უნდა გააჩნდეს ქვეყანაში მოქმედი, ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ნორმატიული დოკუმენტების კომპლექტი და თავის საქმიანობას ანხორციელებდეს ამ დოკუმენტების შესაბამისად. თითოეულ ტურისტულ კომპანიას (ობიექტს) შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების გეგმა. ამასთან მათ უნდა გააჩნდეთ ტურისტების არა მარტო შენობიდან, არამედ უსაფრთხო ადგილებზე (შენობებში) ევაკუაციის

გეგმაც. საგანგებო სიტუაციის დროს ტურისტული კომპანიის (ობიექტის) ხელმძღვანელი (მესაკუთრე) პირადად აგებს პასუხს, როგორც ტურისტთა უსაფრთხოებაზე, ისე მომსახურე პერსონალის მომზადების დონეზეც, ამიტომ იგი რეგულარულად უნდა ატარებდეს სწავლებებს (ტრენინგებს) პერსონალთან, საგანგებო სიტუაციების ადგილობრივი სამსახურების რეკომენდაციებით, აგრეთვე მათ უნდა კავშირი ქონდეთ სამთო-სამაშველო ჯგუფებთანაც. აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოების მიერ, ნორმატიული აქტების სახით, დადგენილი იქნას კონკრეტულ ტურისტულ მომსახურებაზე (განსაკუთრებით ექსტრემალურ ტურებზე) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები. ხოლო ტურისტული კომპანიების მოვალეობაა გააცნონ ტურისტებს თითოეული ტურისტული მომსახურების რისკების ელემენტები და მათი თავიდან აცილების საშუალებები. ტურისტებს, მათივე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ წინასწარ, ტურის დაწყებამდე ან უშუალოდ განხორციელების პროცესში. ინფორმაცია ტურისტული მარშრუტის ბუნებრივი სირთულეების, ტურისტთა პირადი ფიზიკური მომზადების აუცილებელი დონისა და ინდივიდუალური ეკიპირებისა თავისებურებების შესახებ ასახული უნდა იყოს სარეკლამო-საინფორმაციო მასალებში და ტურისტული საგზურის თანდართულ საინფორმაციო ფურცელში, ხოლო ტურისტული მომსახურების დროს, ტურისტთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მათი ქონების დაცვის უზრუნველმყოფელი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ, აგრეთვე სხვა ოფიციალურ მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და დოკუმენტებში, ხოლო კონტროლს კი ტურისტთა უსაფრთხოებაზე უნდა ანხორციელებდეს, სპეციალური კომპეტენციისა და უფლებამოსილების მქონე, სახელმწიფო ორგანო.

აუცილებელია ისიც, რომ სათანადო კომპეტენციის სახელმწიფო ორგანო ადგენდეს და შესაბამისი სამსახურები აკონტროლებდნენ განსაკუთრებული სირთულის მარშრუტებზე, უფრო მეტად კი სამთო-ალპინისტური ტურების განხორციელების დროს, ტურისტთა დაშვების სტანდარტების საკითხებს,

მათი გამოცდილების, კვალიფიკაციისა და მომზადების დონის მიხედვით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უბედურ შემთხვევათა რისკის ფაქტორი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც. მთლიანად ქვეანაში ან მის ცალკეულ რეგიონებში განვითარებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ან სხვა უარყოფითმა მოვლენებმა, რაც განაპირობებს ხიფათის რისკების ზრდას, შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს არა მარტო ტურიზმის განვითარებას, არამედ რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკასაც. ამ შემთხვევაში ეკონომიკური დანახარჯები ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურისტთა ნდობის კვლავ აღსადგენად საკმაოდ დიდი იქნება ამიტომ ტურიზმის სფეროში აღნიშნული მოთხოვნების (სტანდარტების) ცოდნა, შესრულება და სისტემატური შემოწმება-კონტროლი უნდა წარმოადგენდეს უშუალოდ სახელმწიფოს, ტურისტული კომპანიებისა და თავად ტურისტთა ინტერესისა და საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული ტურისტთა უსაფრთხოება.

2. ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

როგორც შესავალში უკვე აღინიშნა, საქართველოში ვიზიტორები საკმაოდ ხშირად ხდებიან დანაშაულის სამიზნე. ამას საფუძვლად, უწინარეს ყოვლისა, უდევს ის გარემოება, რომ ვიზიტორები მიიჩნევიან შეძლებულ ადამიანებად[1].

თუმცა, კონკრეტულად ვიზიტორების წინააღმდეგ დანაშაულს შეიძლება მრავალი მოტივი გააჩნდეს. ესენია:

1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ტურისტები მიიჩნევიან „გემრიელ ნადავლად“, ვინაიდან მათ მოგზაურობისას თან გააჩნიათ გვარიანი თანხა ან ძვირადღირებული ნივთები, მაგ. ფოტო და ვიდეო ტექნიკა.

2. ტურისტები არიან უცხო გარემოში და ამგვარად უფრო დაუცველნი არიან ვიდრე ადგილობრივი მკვიდრი. ასევე, ტურისტები ხშირად გამოირჩევიან ადგილობრივებისგან, როგორც

1 S.F. Sonmez

ჩაცმულობით ასევე ქცევით და გარეგნობით;

3. არსებობს დანაშაულის შეუტყობინებლობის უფრო მაღალი ალბათობა ვიზიტორის მხრიდან ადგილობრივთან შედარებით.

4. ტურისტები, ხშირად უგულებელყოფენ (წინასწარი შეცნობით თუ განუზრახავად) უსაფრთხოების ელემენტარულ რეკომენდაციებს. ასევე „დასასვენებლად" მყოფი ადამიანი უფრო მოდუნებულია.

5. ტურისტებს, ხშირად უჭირთ თავდამსხმელების ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია ან ამოცნობა.

6. ბევრი ვიზიტორი არ დაბრუნდება უცხო ქვეყანაში, მხოლოდ ჩვენებების მისაცემად.

ზოგადად, ტურისტი განიხილება დანაშაულის მსხვერპლად სამი ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებისშემთხვევაში[1]:

1. ვიზიტორი აღმოჩნდა „ცუდ დროს ცუდ ადგილას" ამიტომაც ის გახდა დანაშაულის მსხვერპლი.

2. ტურისტებისათვის პოპულარული ადგილები ისედაც სახიფათოა დანაშაულის კუთხით. მაგ. ქუჩები, სადაც ღამის ცხოვრება „ჩქეფს".

3. ტურისტი შეიძლება გახდეს რასობრივი ან სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლი.[2]

საქართველოში ტურისტებისთვის ისეთი დიდი საფრთხე, როგორიცაა ტერორიზმი ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა, არსებობს სხვა, არანაკლები სიმწვავის საფრთხის მიმართულებები, კერძოდ: კონფლიქტები და ტერიტორიების ოკუპაცია, ბუნებრივი კატასტროფები, საგზაო ავტოკატასტროფები და სხვა.

კონფლიქტები და ოკუპაცია – ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიას, ომების ისტორიას უწოდებდა. უახლეს ისტორიასაც ახსოვს მრავალი შეირაღებული დაპირისპირება. ქართული კულტურის ბევრი, როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური ძეგლი, თუნდაც ქართული ეროვნული ბალეტის სახით, ამ მდიდარი საომარი ისტორიის პროდუქტს, წარმოადგენს.

სამწუხაროდ, შეიარაღებული დაპირისპირებები საქართ-

1 Maria Brás

2 S.F. Sonmez

ველოს უახლოეს ისტორიას და ახალგაზრდა თაობებსაც კი ახსოვს. საქართველოს ორი რეგიონი ოკუპირებულია, ხოლო საოკუპაციო ჯარები განლაგებულია ქვეყნის დედაქალაქიდან სულ რაღაც 30 კილომეტრში. ამრიგად, საქართველოს, როგორც ტურისტულ მიმართულებას, შეუძლებელია ეწოდოს ამ კუთხით უსაფრთხო ქვეყანა. ვინაიდან, სამხედრო საქმის ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ განმეორებითი აგრესიის საფრთხე ყოველ წამს არსებობს. საერთოდ კი ცნობილია იქ სადაც ისვრიან, ტურისტები არ ჩამოდიან.

ბუნებრივი კატასტროფები – ომსა და ბუნებრივ კატასტროფას შორის ის ძირეული მსგავსებაა, რომ ორივეს შემთხვევაში, ვიზიტორთა დიდი რაოდენობა ტოვებს ქვეყანას ან დაგეგმილი ვიზიტის ანულირებას ახდენს, როგორც ეს მოხდა 2015 წელს ნეპალში, დამანგრეველი მიწისძვრის დროს.

ასევე, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სტიქიურ უბედურებებს შეუძლიათ რომელიმე კონკრეტული ტურისტული ღირსშესანიშნაობის განადგურება, რაც უარყოფითად აისახება კონკრეტული რეგიონის ტურისტულ დებეტზე.

ყველაზე დიდი საფრთხე კი იქიდან მომდინარეობს, რომ ხშირად, პრაქტიკულად შეუძლებელია ბუნებრივი კატასტროფების წინასწარ განჭვრეტა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა საქართველოს მთიანი რელიეფის გათვალისწინებით. უეცრად ჩამოწოლილმა ზვავმა, შეიძლება მოსპოს ვიზიტორთა ან მათ მომსახურებაში ჩართულ პროფესიონალთა სიცოცხლე. ყურადღება ფატალურ შედეგებზე, რომ არ გავამახვილოთ, სათხილამურო კურორტის გარე სამყაროსგან მოწყვეტამ, სულ რამდენიმე დღით, შეიძლება უდიდესი, პრობლემები შეუქმნას აღნიშნული კურორტის ლოგისტიკურ მომარაგებას და შეუძლებელი გახადოს კურორტის სრულფასოვანი ფუნქციონირება და სერვისის სრულფასოვანი მიწოდება.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია კატასტროფების პროგნოზირება, მათთვის მომზადება სავსებით შესაძლებელია და ტურიზმის პროფესიონალების სამუშაოს ნაწილს

უნდა წარმოადგენდეს[1], განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება სამთო და სათავგადასავლო ტურიზმს. ასევე, მნიშვნელოვანია მთლიანი ქვეყნის საგანგებო და სამაშველო სამსახურების სწორი და გამართული ფუნქციონირება. თუ სტიქიური უბედურების თვიდან არიდება შეუძლებელია - განსაცდელში მყოფი ადამიანების დახმარება ყოველთვის არის შესაძლებელი. დროულად არ გაწეულმა ანდა არაკვალიფიციურად გაწეულმა დახმარებამ შეიძლება უდიდესი რეპუტაციული ზიანი მიაყენოს ქვეყანას და ვიზიტორებს სამუდამოდ გაუქროს ქვეყნის სტუმრობის სურვილი.

საგზაო უსაფრთხოება – ვიზიტორების უმრავლესობა, რამდენჯერმე იცვლის ადგილსამყოფელს ქვეყნის ვიზიტისას, სტუმრობს სხვა და სხვა ლოკაციას და ღირსშესანიშნაობას, საქართველოს გეოგრაფიული პირობებიდან და ქვეყნის სიდიდიდან გამომდინარე, გადაადგილების ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2016 წელს, საქართველოში ავტოსატრანსპორტო შემთხვევებს 581 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 9 951 ადამიანმა სხვა და სხვა სახისა და სიმძიმის დაზიანებები მიიღო აქედან, 54 ქვეითი დაიღუპა, 2159 კი, დაშავდა[2].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საგზაო სიტუაციის მოწესრიგება, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, როგორც შესაბამისი სტრუქტურებისათვის ასევე მთელი საზოგადოებისათვის.

ვიზიტორთა დაცულობა – ტურისტი და ვიზიტორი უნდა იქნეს დაცული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საფრთხისაგან, ადგილობრივი დამნაშავეების ქმედებებისგან სხვა ვიზიტორებისგან, რომელთაც შეიძლება ქონდეთ დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ვიზიტორთა მომსახურებაში ჩართული უპატიოსნო პირებისგან (მაგ. სასტუმროს პერსონალის მხრიდან ქურდობისაგან).

აღნიშნულ პროცესში, უნდა ჩართული იყოს როგორც სამართალდამცავი ორგანოები, ასევე ვიზიტორთა მომსახურე

1 Jason T. Swanson

2 სამხრეთის კარიბჭე

პერსონალი (მაგ. გიდები) ასევე თავად ვიზიტორები.[1]

რიგ შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ტურიზმის პროფესიონალის და თავად ტურისტების ჩართულობა, მაგალითად: გიდი აფრთხილებს ვიზიტორებს, რომ რიგ რეგიონებში თამამი ჩაცმულობა შიძლება გახდეს ზედმეტი ყურადღების და შემდგომ კონფლიქტის საბაბი და ტურისტები თავის მხრივ ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციებს. ტურიზმის პროფესიონალის ჩართულობა, ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, წარმოადგენს უსაფრთხოების ქვაკუთხედსა და საყრდენ წერტილს. ამრიგად, ტურიზმის პროფესიონალი თავისი საქმიანობის ამ მიმართულებას უნდა ეკიდებოდეს სრული სერიოზულობით. იცნობდეს ტურისტულ მარშრუტებზე არსებულ არა მხოლოდ ღირშესანიშნაობებსა და მოსასვენებელ ადგილებს არამედ პოტენციურ საფრთხეებს.

თავად ტურისტებს, კი ყველა შემთხვევაში მოეთხოვებათ სიფრთხილის გამოჩენა უცხო ქვეყნის სტუმრობისას. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში როდესაც ისინი არ სარგებლობენ ადგილობრივი ტურიზმის პროფესიონალების (გიდების) მომსახურებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვა ყველა ჩართული მხარის ვალდებულებას წარმოადგენს.

პერსონალის დაცულობა - ლოგიკურია, რომ ვიზიტორთა დაცულობის შემდეგ დგება, მათ მომსახურებაში ჩართული პროფესიონალების დაცულობის საკითხიც.

შეიძლება გამოვყოთ თანამშრომელთა დაცულობის ღონისძიების, რამდენიმე მაგალითი:

1. ტექნიკურად გამართული სამუშაო ინვენტარი და აღჭურვილობა;
2. ადექვატური სამუშაო დრო და მოცულობა;
3. დაქირავებულთა უფლებების დაცვის ღონისძიებები;
4. ტრეინინგები და გადამზადება;
5. თანამშრომელთა პიროვნული ღირსების დაცვა.

1 **Maria Brás**

ადგილმდებარეობის (ლოკაციის) დაცულობა -ტურისტული ლოკაცია, შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერ ადგილს სადაც ვიზიტორი იმყოფება, დაწყებული აეროპორტიდან და სასტუმროდან, დამთავრებული ტურისტული ღირშესანიშნაობით და გადაადგილების საშულებით.

ტურიზმის პროფესიონალების, ვალდებულებას წარმოადგენს არა მხოლოდ ვიზიტორების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, არამედ იმ ლოკაციების დაცულობაზე ზრუნვა, რომლის მონახულებასაც ახდენენ ვიზიტორები. პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს სასტუმროს ინვენტარის დაცვა დაზიანებისგან, ამავდროულად გიდი თუ სხვა ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია უზრუნველყოს კულტურული თუ ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის დაცულობა.

2016 წლის, ზაფხულში დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ტურისტებმა ახლო აღმოსავლეთიდან საღებავით ჯვრის მონასტრის ფასადზე ავტოგრაფები დატოვეს. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია არ გახლავთ მხოლოდ კონკრეტული რეგიონის ვიზიტორთა სენი ან ახალი დროების მონაგარი. საქართველოში თითქმის ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაზიანებულია.

გარემოს დაცულობა - აღნიშნული საკითხი, შეიძლება წინა საკითხის ერთ-ერთ ელემენტად მოვიაზროთ, თუმცა თავისი მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, იგი იმსახურებს ცალკე გამოყოფასა და განხილვას.

ტურიზმის სფეროში მომუშავე პროფესიონალები, ვალდებულნი არიან იზრუნონ ეკოლოგიური ბალანსის არა მხოლოდ შენარჩუნებაზე არამედ, მის განმტკიცებაზეც. ფორმულა მარტივია: გარემო = ტურისტულ ღირსშესანიშნაობას[1].

ეკონომიკური დაცულობა - ვინაიდან, სქართველოში, ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს, არა მხოლოდ, ეკონომიკის მუდმივად მზარდ სეგმენტს, რომლის პოტენციალის სრული ათვისება სამომავლო საქმეს წარმოადგენს, არამედ შემოსავლის საფუძვლიან წყაროს, როგორც ტურიზმის პროფესიონალებისათვის და დაკავშირებული პირებისთვის ასევე, ქვეყნის ბიუჯეტისათვისაც. ამრიგად, ტურისტული სექტორის ჩამოშლა შეიძლება წარმოად-

1 Chris Cooper, Colin Michael Hall

გენდეს სახელმწიფოსა და ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების ერთ-ერთ მიზანს.

რეპუტაციული დაცულობა - ტურისტული ინდუსტრიისათვის, როგორც სერვის პროვაიდერისთვის, უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს მისი რეპუტაცია, ანუ ის რას ფიქრობს მასზე მისი მომხმარებელი (ვიზიტორი), ასევე რა რეკომენდაციას აძლევს ვიზიტორი თავის მეგობრებს თუ სხვებს, რომელიმე ლოკაციის თუ სასტუმროს შესახებ[1].

ინტერნეტის ხანაში, არსებობს უამრავი სერვისი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ტურისტული სერვისების შეფასებას, მაგალითად: **ბოოკინგ.ცომ** ვებგვერდზე დაჯავშნის და გადახდის შემდგომ, სთავაზობს მოახდინოს ამა თუ იმ სასტუმროსა თუ ჰოსტელის შეფასებას და კომენტარის დაწერას მომსახურებაზე თუ სხვა დეტალებზე. ასევე, არსებობს სერვისი **ტრიპადვისორ. ცომ**, რომლის ძირითად მისიას მოგზაურობის დაგეგმარებასთან ერთად, წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება, ვიზიტორისთვის სხვა და სხვა ობიექტის შესახებ.

ვიზიტორები, სიხარულით იყენებენ თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს და უზიარებენ ერთმანეთს და მთელს მსოფლიოს თავის პიროვნულ გამოცდილებას ამა თუ ქვეყანასთან თუ ლოკაციასთან დაკავშირებით. საინფორმაციო სააგენტო, „სპუტნიკ საქართველომ“, გამოკითხა ვიზიტორები, რომელთაც საქართველოში არ მოსწონთ[2]:

1. მდგომარეობა საავტომობილო გზებზე.
2. დანაგვიანებული გარემო – საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტროლო გადაყრა.
3. ადგილობრივების ბიზნეს ეთიკა – „არ არსებობს სიტყვა არა“.
4. კანონმდებლობის, ხშირად მხოლოდ ფორმალური დაცვა.
5. „გვიანი“ დღის რეჟიმი, იშვიათია დაწესებულებები, რომელნიც სამუშაო დღეს დილის ათ საათამდე იწყებენ.
6. პირდაპირი რეისების ნაკლებობა ევროპის მიმართულებით (იგულისხმება თბილისის აეროპორტი).
7. კრიტიკის მიუღებლობა;

1 **Dorie Clark**

2 **Спутник - საქართველო**

8. ენობრივი ბარიერები – ხშირია, როდესაც ადამიანი, რომელიც აცხადებს რომ ფლობს ენას, მას სინამდვილეში ფლობს უაღრესად დაბალ დონეზე.

9. ადგილობრივი კადრების დაბალი კვალიფიკაცია.

10. ანაზღაურების დაბალი დონე.

დასკვნა

საქართველოში ტურისტთა უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მთავრობის და კერძო ტურისტული ორგანიზაციების მხრიდან ეს საკითხი მეტ ყურადღებას მოითხოვს. ქვეყნის მთავრობას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც შეასრულებენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ტურისტული ორგანიზაციები.

ლიტერატურა:

1. Korstanje, E.M. and Clayton, A. 2012, “Tourism and terrorism: conflicts and commonalities”, World wide Hospitality and TourismThemes;

2. S.F. Sonmez, An Exploratory Analysis of the Influence of Personal Factors on International Vacation Decisions Within the Contextof Terrorism and/or Political Instability Risk, PhD dissertation, Pennsylvania State University, University Park, PA, 1994;

3. ChrisCooper, ColinMichael Hall,2008, Contemporary Tourism: An International Approach Routledge;

4. Derman Kucukaltan,2006, Tourism and Terrorism: An Experience of Turkey and theWorld, iUniverse;

5. Maria Brás, Tourism and Crime –Why Tourists becomeVictims, Presented at the “Security & Tourism: Local Policies and Practices” Conference held on 25th June 2015 at the Maison de L’Europe – European Union, Paris;

6. Feridun, M., 2011. “Impact of Terrorism on Tourism in Turkey: Empirical Evidence from Turkey.” Applied Economics 43;

7. Dorie Clark, 2015, How to Protect Your Online Reputation, Forbes,;

8. Jason T. Swanson, 2008, TourismPolicy and Planning. Yesterday, today and tomorrow. David L. Edgell Srand;

9. Спутник - Georgia, 2017, Чтоиностранцынелюбят в Грузии - Топ-10;

10. „Commersant“, 2017, “Rich tourist will not arrive in Georgia” – Why is not Georgia interesting country for high budget travelers ?;

11. Ministry of International Affairs of Georgia, 2017, Registered crime - 2016, Annual Report;

12. http://sknews.ge/, 2017, According Internal Affairs of Georgia, in 2016 year was registered 581 car accident;

13.Timer, 2016, David Meskhishvili : Road car accidents statistics are alarming;

14. http://gnta.ge;

15. http://www.geostat.ge/

16. http://police.ge/

17. Issues in Health, Safety and Security by Dr Peter Tarlow, President of Tourism & More, Inc.

INTERNATIONAL IMAGE OF THE COUNTRY DEPENDS ON TOURISTS' SAFETY

Lela meskhishvili
PhD, TSU

RESUME

The article “International Image of the Country Depends on Tourists' Safety” discusses the safety in tourism and its requirements, as well as the dangerous directions.

The author of the article informs us what the government of Georgia and tourism organizations should do and what the tourists should know to avoid the threats. In addition, it discusses the ongoing events, which are the greatest threat to tourists - conflicts and occupation, natural disasters, traffic disruptions and others.

Keywords: Danger, Safety, Tourist, Preservation, Image, Visitor.

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების პერსპექტივები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

რეზიუმე

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს - საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტორების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის თავმოყრის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემას საბოლოოდ ფულად საზომ ერთეულში განზოგადებული სახით.

ბუღალტრული აღრიცხვა-სუბიექტის საქმიანობასა და ეკონომიკურ რესურსებზე გავლენის მომხდენი, ფულად ერთეულში შეფასებადი ეკონომიკური მოვლენის (სამეურნეო ფაქტორის ცვლილებათა) ამსახველი ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, შეფასების, განზოგადების და მათი დამუშავების შესაბამისი ანგარიშგების მწყობრი და უწყვეტი სისტემაა.

დამუშავებული ინფორმაცია უკვე სასარგებლო ინფორმაციას წარმოადგენს და ფინანსური ანგარიშგების საშუალებით გადაეცემა მომხმარებლებს (საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილეს, ნებისმიერ დაიტერესებულ პირს) სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბუღალტრული აღრიცხვა ქმნის რა საინფორმაციო სისტემას სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ, იძლევა საშუალებას განისაზღვროს მისი ქონება, მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები და მის საფუძველზე სამეურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი.

საკვანძო სასიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური გლობალიზაცია, აუდიტი, ანგარიშგება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა იყოფა: საგარეო ანუ ფინანსურ აღრიცხვად და შიდა, ანუ მმართველობით აღრიცხვად, რომელთაც თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე სხვადასხვა როლი აკისრიათ.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია მხოლოდ ფაქტიური, რეალური მონაცემებია, ობიექტური ხასიათი აქვს, დასრულებულ ოპერაციებს ასახავს და განსხვავებული სახით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს: (1. ბალანსი ; 2. ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ; 3. ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ; 4. ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ და 5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები) და თითოეული კომპონენტის ელემენტებს(აქტივებს, ვალდებულებებს და კაპიტალს).

ფინანსური აღრიცხვა ეყრდნობა აღრიცხვის სტანდარტებსა და პრინციპებს რომლებიც არეგულირებენ საფინანსო ინფორმაციის ჩანაწერების შეფასების და გადაცემის წესს. სტანდარტი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „ნორმას“, „ნიმუშს“, წესების კომპლექსს. თითოეული „წესი“ განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის აღრიცხვის არსს, ტექნოლოგიას, მეთოდს და ხერხს.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ, ფინანსური ბაზრების გლობალიზაციამ გამოიწვია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება სხვადასხვა ქვეყნებში. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული ნორმების დეტალური ანალიზის შედეგად იქნა შერჩეული (საუკეთესოდ მიჩნეული). საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინტეგრაცია მოითხოვს ადექვატურ ფინანსურ აღრიცხვას-მსოფლიოში ფინანსურ აღრიცხვაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას. ასეთი გამოცდილება კი კონსოლიდირებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში.

სწორედ ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ბუღალრტული აღრი-

ცხვისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ჰარმონიზაციის მიზნით 1973 წ. 29 ივნისს 9 ქვეყნის ბუღალტერთა პროფესიულ კავშირებს შორის შეთანხმების შედეგად შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (შემდგომში ბასსკ). რომლის მიზანი იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, გამოცემა, მსოფლიოში მათი გავრცელება და დანერგვა, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და პროცედურების სრულყოფის საკითხებზე მუშაობა, მუდმივად განახლებადი რეჟიმით. ბუღალტრული არღიცხვის გარდაქმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოითხოვს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დაგროვილი გამოცდილების შესწავლას და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით გამოყენებას.

სტანდარტებით შემუშავებულია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი (საბაზისო) და ალტერნატიული მეთოდები. ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ გამოყენებული უნდა იქნეს ერთნაირი წესები, პროცედურები, განმარტებები და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საფუძვლად უნდა დაედოს-ერთნაირი კონცეფცია. სტანდარტების ჰარმონიზაციის მიზანია, ნებისმიერი ქვეყნის ინვესტორმა შეძლოს სხვა ქვეყანაში მოქმედი კომპანიის მიერ შედგენილი და გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაციის აღქმა, ინტერპრეტაცია, შედარება და გამოყენება-შემდგომში თავისი კაპიტალის დააბანდების მიზნით. ფინანსური ბაზრების გლობალიზაციისა და განვითარებად ბაზრებზე უცხოური ინვესტიციების ზრდის შედეგად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებამ უნდა დაიცვას როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორები.

„ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ კერძო სექტორში აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების არსებობა, რათა ეფექტურად განთავსდეს კაპიტალი ბაზრებზე , ხელი შეუწყოს გლობალური ეკონომიკის განვითარებას და მთელი

მსოფლიოს მასშტაბით შენარჩუნებულ იქნეს ფინანსური სტაბილურობა“.(9)

ცალკეულ ქვეყანაში, ფინანსური ანგარიშგების შედგენის არსებული განსხვავებები, რომლებიც ეროვნული თავისებურებების, მოქმედი კანონებითა და სტანდარტებითაა განპირობებული ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები)-ბის შემუშავების დროს, ბასსკ-ი თანამშრომლობს ცალკეული ქვეყნების ეროვნული სტანდარტების შემმუშავებელ ორგანოებთან და ამ გზით უზრუნველყოფს მაქსიმალურ შეთანხმებულობის მიღწევას ფასს-სა და ეროვნულ სტანდარტებს შორის, ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ფინანსური ანგარიშგების შეჯერების მაღალ დონეს.

1999 წ. 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და რეგულირების შესახებ“ რომლის თანახმად საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო 2001 წ. იანვრიდან ყველა საწარმო, გარდა ინდივიდუალური მეწარმეების, მცირე საწარმოების და არაკომერციული იურიდიული პირებისა ვალდებულნი არიან გადავიდნენ და ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტებით.

დღეს კი უკვე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი მუშაობს რა სტანდარტებისა და პროცედურების სრულყოფის საკითხებზე-მუდმივად განიხილება და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი შესწორებების შეტანა, რასაც მოითხოვს კაპიტალის ბაზრის განვითარება, ბიზნესის სექტორში გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება და რისკების შემცირება-ქვეყნის ეკონომიკისადმი ნდობის მოპოვება. ყოველივე ეს ეკონომიკის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ ამან განაპირობა 2016 წლის 8 ივნისს საქართველოს კანონის მიღება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელიც

ადგენს სტანდარტებს და მოთხოვნებს საქართველოში აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების ჩატარების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტის სფეროში მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის მოთხოვნებთან მიახლოების მიზნით.

აღნიშნული კანონის მიზანია, ჯერ ერთი, სახელმწიფო დონეზე მოწესრიგდეს ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სფერო, გაძლიერდეს აუდიტის პროფესიაზე ზედამხედველობა და მომავალში კიდევ უფრო ამაღლდეს მისი პრესტიჟულობა. ამ კანონის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური“, რომელმაც პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს აუდიტორთა რეესტრის წარმოება და შემდგომ ამავე კანონით დაკისრებული სხვადასხვა ფუნქციის შესრულება, მეორე მხრივ, მიზნად ისახავს ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, ანგარიშგებისა და აუდიტის მიდგომების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებით. ყოველი ახალი ცვლილება იწვევს ბუღალტრული აღრიცხვის არა მხოლოდ ორგანიზაციულ ცვლილებებს, არამედ მეთოდოლოგიურ სრულყოფასაც.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის რეგულირება უნდა განიხილებოდეს არა განყენებულად, არამედ კომპანიების ფუნქციონირების გარემოსა და ანგარიშგების ჭრილში.

დასკვნა

ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, საერთოდ ამ პროფესიის პრესტიჟულობა და მნიშვნელობა ფინანსური გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება და მომავალში მეტ შინაარსს შეიძენს.ამ მხრივ კანონმდებლობა აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ერთი მხრივ, აყალიბებს ფინანსური ანგარიშგების მომზიდველობის ძირითად კრიტერიუმებს (მაგ.ზუსტი და სამართლიანი

სურათის შექმნა) და მეორე მხრივ, კანონის აღსრულების პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც უფლებამოსილია ჩამოაყალიბონ წესები საკანონმდებლო მიზნების მისაღწევად.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ №5386 08.06.2016;

2. ACCA-წიგნი F3- ბაფ 2010;

3. ACCA-წიგნი F7- ბაფ 2009;

4. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები;

5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები;

6. ლავრენტი ჭუმბურიძე-ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება, თბ. 2014;

7. ე.ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები-თბ. 2012;

8. ა. ხორავა, ნ.კვატაშიძე, ბუღალტრული აღრიცხვა თბ. 2010;

9. World Congress of Accountants 2010 .www.wcon 2010 Kualumpur.com.

REFERENCES:

1. Law of Georgia „On Accounting, Reporting and Audit” №5386 08.06.2016;

2. ACCA -F3_Georgian Federation of Professional Accountants and Auditors-2010;

3. ACCA-F7_ Georgian Federation of Professional Accountants and Auditors-2009;

4. International Accounting Standards;

5. IFRSs;

6. L. Chumburidze. Regulation of Accounting and Audit; Tb. 2014;

7. E. Kharabadze. Basics of Accounting, Tb. 2012;

8. A. Khorava, N. Kvatashidze, ...Accounting, Tb. 2010;

9. World Congress of Accountants 2010 .www.wcon 2010 Kualumpur.com.

THE DEVELOPMENT PERSPECTIVES OF ACCOUNTING IN THE CONDITIONS OF FINANCIAL GLOBALIZATION

Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU

RESUME

The prestige and significance of the profession of accounting, audit in the conditions of financial globalization is increasing more and more. In this regard, the legislation on audit and accounting plays an important role in the formation of the investment environment. On the one hand, it establishes the basic criteria for the attractiveness of financial reporting and on the other hand, it imposes the responsibility for execution of the law on the state agencies that are authorized to formulate the rules for achieving the legislative objectives.

Key Words: Accounting, Financial Globalization, Audit, Reporting.

საწარმო ტექნოლოგია

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ტექნოლოგია არის საწარმოო პროცესების, მათი განხორციელების ინსტრუქციების აღწერა, ტექნოლოგიური ნორმები (რეგლამენტი), გრაფიკები, რუკები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტექნოლოგია არის საქმიანობა, რომლის შედეგადაც მიიღწევა დასახული მიზანი და ამის შემდეგ საქმიანობის ობიექტი იცვლება. სხვათა მოსაზრებით კი – ეს არის რთული პროცესის დანაწევრების გზით რეალიზების ხერხი, რომლის დროსაც ცალკეული ელემენტები გაერთიანებულია ურთიერთდაკავშირებული პროცედურებისა და ოპერაციების სისტემაში; სოციალური პროცესების ორგანიზების საშუალებებისა და ხერხების შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა ან თვით ის ქმედებები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა დასახული მიზანი.

საკვანძო სიტყვები:ტექნოლოგია; ტექნოდინამიკა; დისკრეტული ტექნოლოგია; ნანოტექნოლოგია.

შესავალი

ცნება „ტექნოლოგიას“ პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ტექნოლოგია (ბერძნ. სიტყვიდან téchn – ხელოვნება, ოსტატობა, უნარი, პლიუს ლოგია) – ეს არის სხვადასხვა გარემოების – გარემოს დამუშავებისა და გადამუშავების ხერხებისა და მეთოდების მთლიანობა (ერთობლიობა).

ტექნოლოგია გულისხმობს სხვადასხვა გარემოს დამუშავებისა და გადამუშავების პროცესების შესახებ ახალი ცოდნის მიღების ხერხების ერთობლიობას. ტექნოლოგიის კვლევის ობიექტისადმი საერთო მიდგომამ განაპირობა დასამუშავებელი (გადასამუშავებელი) გარემოს გაფართოება. მას მიაკუთვნებენ არა მარტო მატერიალურ რესურსებს (ლითონს, ქიმიურ ნივთიერებებს, ხეს, მინას,

მინერალურ ნედლეულს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს), არამედ არამატერიალურ რესურსებსაც (ინფორმაციას, სამეცნიერო ნაშრომებსა და პროექტებს, სანახაობებს ხელოვნებას, კანონშემოქმედებას, მართვას, ფინანსურ და სადაზღვეო მომსახურებებს).

ძირითადი ტექსტი

ტექნოლოგიის, როგორც მეცნიერების ამოცანაა გადასამუშავებელი რესურსების ერთი სახეობიდან მეორეში გარდაქმნის ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური, კომერციული, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა კანონზომიერებების გამოვლენა, რაც საჭიროა ეფექტური საწარმოო პროცესების გამოვლენისა და ფართო პრაქტიკაში მათი გამოყენების მიზნით. მათი დროებითი ტენდენციების შესწავლა ტექნოლოგიების და წარმოების განვითარების მიმართულებებისა და ტემპის პროგნოზირებას ხდის შესაძლებლად. მეცნიერებაში ამ მიმართულებას **ტექნოდინამიკა** ეწოდება.

ტექნოლოგიას ასევე უწოდებენ საკუთრივ მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირების, დასაწყობების, შენახვის, საკუთრების უფლების გადაცემის, გაყიდვის და ა.შ. ოპერაციებს, რომლებიც საწარმოო პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

ცნება „ტექნოლოგია“ ჩვეულებრივ წარმოების კონკრეტულ დარგთან მიმართებაში განიხილება. განასხვავებენ შემდეგ ტექნოლოგიებს:

- მშენებლობის;
- კონკრეტული პროდუქტის მიღების;
- სოციალური;
- ქიმიურ პროდუქტის მიღების;
- პროექტირებისა და კონსტრუირების;
- ინფორმაციის დამუშავების;
- ლითონის შტამპვის;
- საბანკო და სადაზღვეო საქმის;
- თვითმართვის;
- ფულის დაბეჭვდის;
- განათლების;

- საქმიანი თვისებების შეფასების;
- ხელისუფლებისკენ სწრაფვის და ა.შ.

ტექნოლოგიური ოპერაციების ერთობლიობა ქმნის ტექნოლოგიურ პროცესს, რომლის შედეგადაც გადამუშავების ობიექტი ხარისხობრივ-თვისობრივ ცვლილებებს განიცდის: იცვლება ფორმა, სტრუქტურა, ტექნიკური და სამომხმარებლო თვისებები. ინოვაციური მენეჯმენტის ფუნქციების განხილვისას ჩვენ „ტექნოლოგიაში“ მოვიაზრებით სხვადასხვა ტიპის რესურსების (გარემოს) გადამუშავების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას.

საწარმოს, როგორც საწარმოო პროცესის ორგანიზაციული ფორმის სპეციალიზაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტექნოლოგიაში პრიორიტეტების განსაზღვრა (მთავარი, ძირითადი, უზრუნველმყოფი, დამხმარე).

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად ტექნოლოგიები მუდმივად იცვლება. თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებში გამოიყოფა ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. დისკრეტული (ციკლური) ტექნოლოგიებიდან უწყვეტ (ნაკადურ) საწარმოო პროცესებზე გადასვლა, როგორც ყველაზე ეფექტურ და ეკონომიურზე.
2. წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიური ციკლების, როგორც ეკოლოგიურად ყველაზე ნეიტრალურის დანერგვა.
3. მაღალი და უახლესი ტექნოლოგიების, მეცნიერტევადობის ამაღლება.
4. ნანოტექნოლოგიების განვითარება.

საწარმოო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შედეგს წარმოადგენს პროდუქტი (სამუშაო, მომსახურება), რომელიც მასზე არსებული მომხმარებლის მოთხოვნითაა განპირობებული. მომხმარებლის პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის პროდუქტს:

1. მატერიალურს (მპ).
2. ენერგეტიკულს (ეპ).
3. ინტელექტუალურს (იპ).

ეს პროდუქტები სხვადასხვა კომბინაციებისა და შეფარდების პირობებში ურთიერთქმედებენ რგოლოვანი სქემით, ისე რომ არ გადაიკვეთებიან.



ტექნოლოგიური პროდუქტების (სამუშაოების, მომსახურების) ურთიერთქმედების სქემა.

კონკრეტული პროდუქტის (სამუშაოს, მომსახურების) რომელიმე ამ ტიპისთვის მისაკუთვნებლად ძირითად მახასიათებლად მიიჩნევენ მოც. პროდუქტის ფიზიკური და მატერიალური მახასიათებლებს.

მატერიალური პროდუქტი:

- ლითონი.
- პლასტმასი.
- საღებავი.
- მღებავი სითხე.
- ინტელექტუალური პროდუქტი:
- დიზაინი.
- კონსტრუქცია.
- სავაჭრო მარკა.
- კალმის წვერის დამზადების ნოუ-ჰაუ.
- წარმოების მეთოდი.
- ენერგეტიკული პროდუქტი:
- მოხმარებული ენერგია (ელექტრო, სითბური, მექანიკური).
- ადამიანური რესურსი (ცოცხალი ძალა).

ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფა ყველა საწარმოს (ფირმის) და სახელმწიფოს საწარმოო ძა-

ლების სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საწარმოო ტექნოლოგიები რთულ სისტემებს განეკუთვნება, რომელთა შესწავლა და განვითარება მხოლოდ სისტემური მიდგომის პირობებშია შესძლებელი.

რთული სისტემების დამახასიათებელი თვისებებია:

- პროცესების მრავალფეროვანი მოდელები.
- მართვის ამოცანათა სიმრავლე.
- სტრუქტურის იერარქიულობა.
- ნაწილების აგრეგაცია.
- ელემენტებისა და მათ შორის კავშირების სიმრავლე.
- ელემენტებისა და მთლიანად სისტემის მდგომარეობის განუსაზღვრელობა.
- ხელისშემშლელი ფაქტორებისადმი მგრძნობელობა.

სისტემური მიდგომის არსი მისი განხორციელების ორგანიზების მეთოდიკაშია. იგულისხმება სისტემური ანალიზის ობიექტის (ნივთიერების, მოვლენის, პროცესის, მომხდარი ამბის) გამოყოფა, ობიექტის შიდა და გარე არეალის საზღვრების განსაზღვრა, ობიექტის სტრუქტურისა და მიზნობრივი ფუნქციის დადგენა, ობიექტის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებისა და მისი აღწერის საშუალებების დადგენა, ელემენტებისა და მათი აგრეგაციის მეთოდების კლასიფიკაცია.

საწარმოო ტექნოლოგიების ანალიზისადმი სისტემურ მიდგომაში გულისხმობენ რთული ობიექტის მთლიანობას, ყოველმხრივ ავტომატიზებულ, გარკვეულ წესებზე დამყარებულ შესწავლას, რომლის დროსაც ობიექტი განიხილება შიდა და გარე კავშირების ერთობლიობაში და მიზანს კი – ობიექტის ფუნქციონირების გაუმჯობესების საშუალებათა გამოვლენა წარმოადგენს.

სისტემური ანალიზი ეფუძნება ლოგიკისა და საღი აზრის კანონებს რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით.

საწარმოო ტექნოლოგიებში ანალიზის ობიექტად შესაძლებელია იქცეს სხვადასხვა პროცესები, ანალიზის მიზნისა და დასახული კონკრეტული ამოცანის შესაბამისად. ასეთი პროცესებია:

- ქიმიური პროცესი.

- მექანიკური პროცესი.
- პროდუქციის რეალიზაციის პროცესი.
- ცალკეული ინდივიდის, ადამიანთა ჯგუფისა და/ან დიდი კოლექტივის შრომის პროცესი.
- ტექნიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში საინფორმაციო პროცესი.
- მატერიალური პროდუქტის, აგრეგატის, საამქროს, ქარხნის, კორპორაციის, დარგის დონეზე წარმოების პროცესი.
- ცოდნის წარმოების პროცესი.
- საზოგადოების სულიერი ფასეულობების შექმნის პროცესი.
- კვლევის პროცესი.
- პროექტირების პროცესი
- სუბიექტის უფლებების განსაზღვრა და დაკანონება.
- სისტემის ჩამყალიბების (შექმნის, ორგანიზების) პროცესი.

დასკვნა

ანალიზის ობიექტის სწორად ამოცნობასა და ამორჩევაზე დამოკიდებულია მისი შედეგებიც და მათი ადეკვატურობა საწარმოო ურთიერთობების განვითარების პროცესებისადმი. ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საწარმოო ტექნოლოგიების კონკრეტულ საორგანიზაციო-ტექნიკურ პირობებში განვითარების სისტემური ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკაში მართვის სისტემების შექმნისა და გაკონტროლების ძირითად ინსტრუმენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიწმარიშვილი ქ. ინოვაციური მენეჯმენტი. „ბეჭდვის სამყარო“. თბილისი, 2016 წ.

2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.

3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.

4. http: //www.russba.ru/

REFERENCES:

1. Kitsmarishvili K. Innovative Management "Printing World", Tbilisi, 2016.
2. Abralava A., Gvajaia L., Kutateladze R., Innovative Management, Tbilisi, 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. http: //www.russba.ru/

INDUSTRIAL TECHNOLOGY

Ketevan Kitsmarishvili
Associate Professor of
Georgian Technical University

RESUME

Technology is a description of the industrial procedures and instructions of their execution, technological standards (time limit), schedules and maps. From the standpoint of some researchers, the technology is an activity resulting in achievement of set objective and after that the operand is changed. But from the standpoints of others, it is the method of realization through breaking up complex procedure, when the certain elements are united in the system of related procedures and operations; The totality of knowledge present about the means and methods of organization social procedures or itself of those actions through that are achieved the set objectives.

Key words: Technology, Techno dynamics; Discrete Technology; Nanotechnology.

ტექნოლოგიური პარკები და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესში

იოსებ მასურაშვილი
ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად უზრუნველყოფს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამისთვის შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები (ეკონომიკური განვითარების ოფისი, ინოვაციური ცენტრები, სააგენტოები), რომელთა საქმიანობა მიმართულია ახალი კომპანიების დაარსებისა და მათი წარმატებული საქმიანობის ხელსაყრელი პირობების ხელშეწყობისათვის, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან სამუშაო ადგილებს და აწარმოებენ კონკურენტულ პროდუქციას.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ბიზნესი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინოვაციები, ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური პარკები, ინვესტიციები, კონკურენცია.

ძირითადი ტექსტი

განვითარებულ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის ობიექტები კონცენტრირებულია მაღალტექნოლოგიურ ზონაში, რომელიც ცნობილია სილიკონის ველის სახელით (ტექნოპარკი, სამეცნიერო პარკი, მაღალი ტექნოლოგიების პარკი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ზონა, ინდუსტრიული პარკი, ტე-

ქნოპოლისი[1] და ა.შ.). ეს არის ინოვაციური კომპანიების აგლომერაცია, რომლებიც განთავსებულნი არიან მსხვილ უნივერსიტეტებთან და კვლევით ლაბორატორიებთან. ყველაზე მარტივი პროცესი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: იდეის ავტორი წარადგენს საკუთარ ბიზნესპროექტს ტექნოპარკის ადმინისტრაციაში. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში ავტორთან ფორმდება ხელშეკრულება, როგორც წესი 2-3 წლით; ავტორი ხდება ტექნოპარკის კლიენტი, რის საფუძველზეც მას აქვს ტექნოპარკის გარკვეული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გამოყენების უფლება მნიშვნელოვანი შეღავათებით, კერძოდ: საოფისე ფართი, სატელეკომუნიკაციო, აპარატურული, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და ბუღალტრული, იურიდიული, კომპანიის მართვის, საკონსულტაციო და სხვა მომსახურება ტექნოპარკის ტერიტორიაზევე. შესაძლებელია ტექნოპარკის მენეჯმენტის დახმარებით შეღავათიანი სესხის აღებაც. ბიზნეს ინკუბატორი ორგანიზაციული ფორმით ძალიან წააგავს ტექნოპარკს, იმ განსხვავებით, რომ ბიზნეს ინკუბატორი არ იქმნება სამეცნიერო ლაბორატორიის ბაზაზე. ის არის წმინდა კომერციული სტრუქტურა, რომლის დანიშნულება მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა, ინოვაციური იდეების დაკავშირება ბიზნეს კაპიტალთან და ამიტომ, ისინი ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ (აშშ, ფინეთი, შვედეთი და ა.შ.). ინკუბატორი ტექნოპარკისაგან განსხვავებით არ არის ორიენტირებული მხოლოდ მაღალ ტექნოლოგიებზე.

1. ტექნოლოგიური პარკების არსებული მოდელები.

ტექნოპარკები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ მოდელად: ამერიკული მოდელი; ევროპული მოდელი; იაპონური მოდელი.

ამერიკული მოდელი. ტექნოპარკების ამერიკული მოდელის ძირითადი მიზანია ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. მისი მონაწილეები არიან უნივერსიტეტები, კერძო კომპანიები

1 **ტექნოპოლისები ტექნოპარკებისაგან განხვავებით განთავსებულები არიან არა უნივერიტეტებისა და ინსტიტუტების უშუალო სიახლოვეს, არამედ მსხვილ ქალაქებთან, სადაც განვითარებულია მრეწველობა და მეცნიერება.**

და ბანკები, ასევე ნაწილობრივ სახელმწიფო. ძირითადად სპეციალიზდებიან შემდეგ სფეროებში: მიკროელექტრონიკა, სამხედრო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, აეროკოსმონავტიკა, ბირთვული კვლევები და გარემოს დაცვა. ამერიკული მოდელის სილიკონის ველების მაგალითებია: სილიკონის ველი[1] (კალიფორნია), შოსე 128 (ბოსტონი), ბიონიკის ველი (იუტა), რობოტების ალეა (ფლორიდა), თანამგზავრების ალეა (მერილენდი). სულ 130-დან 300-მდე პარკი და ტექნოპოლისი. ამერიკული მოდელი შეიძლება დაიყოს სამ ტიპად:

• მეცნიერული პარკები ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ანუ მხოლოდ მეცნიერული კვლევა;

• კვლევითი პარკები. პირველისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში, სიახლის განვითარება ხდება მხოლოდ ტექნიკური პროტოტიპის შექმნის სტადიამდე;

• ინკუბატორები (აშშ-ში) და ინოვაციური ცენტრები (დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპაში).

ამ შემთხვევაში უნივერსიტეტები ახლად წარმოქმნილ კომპანიებს შეღავათიან ფასად აძლევენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურას (შენობები, მიწა, ლაბორატორია, აპარატურა, მომსახურება და ა.შ), რათა ხელი შეუწყონ მათ ახალი იდეების კომერციულ პროდუქტად ქცევაში.

ყველა სილიკონის ველს აერთიანებს ერთი რამ, ის უნდა შედგებოდეს 4 კომპონენტისაგან:

• მეცნიერება (ინსტიტუტები, კვლევითი ლაბორატორიები, უნივერსიტეტები);

• სასწავლო დაწესებულებები (უნივერსიტეტები) მაღალპროფესიული კადრების წყარო;

• წარმოება/მომსახურება (ქარხნები);

• კაპიტალი (ფინანსები).

პირველი სილიკონის ველი, როგორც ცნობილია, აშშ-ში, კალიფორნიის შტატში სტენფორდის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სპონტანურად, სახელმწიფო ინი-

1 https://en.wikipedia.org/wiki/Silicon_Valley

ციატივის გარეშე[1]. აქ ვითარდება ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები, რომელთაც აშშ-სთვის მოაქვს არა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, არამედ კოლოსალური შემოსავლებიც. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული სილიკონის ველი არის ისეთი გიგანტების სამშობლო, როგორიც არის Intel, AMD, Oracle, Apple, Cisco, yahoo!, eBay, HP, SUN და ა.შ. ამჟამად იქ განთავსებულია ელექტრონიკის, პროგრამული პროდუქტების, ბიოტექნიკისა და სხვა მაღალტექნოლოგიურ სფეროში მოღვაწე ლიდერი კომპანიები. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიემართებოდა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების განვითარებაში, ითვლებოდა ქველმოქმედებად და განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. ზემოთ აღნიშნული დაკვეთების სპეციფიკის გათვალისწინებით, კომპანიებმა საკუთარი ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართეს კალიფორნიის უნივერსიტეტებისაკენ წინასწარ განსაზღვრული თემატიკის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დასაფინანსებლად. სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე უნივერსიტეტები იძულებულები იყვნენ შეექმნათ ახალი კვლევითი ლაბორატორიები ქალაქგარეთ. ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა სან-ფრანცისკოს მახლობლად მდებარე სილიკონის ველი. აქ გუბერნატორის მხარდაჭერით აღმოცენდა პირველი მეცნიერული ქალაქი, რომელიც იქცა 21-ე საუკუნის სიმბოლოდ. შეიქმნა ადგილი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა ე.წ. გამოყენებითი მეცნიერული საქმიანობა. ამჟამად აქ არის ელექტრონიკის წარმოების მსოფლიო ცენტრი. სილიკონის ველის გარდა, აშშ-ში შეიქმნა ტექნოპოლისები ჩრდილოეთ კაროლინაში, ტეხასში, ფლორიდაში, კოლუმბიის ოლქში და ა.შ.

ევროპის მოდელი. დიდ ბრიტანეთში კემბრიჯის ტექნოპოლისი გახდა კალიფორნიის სილიკონის ველის იდენტური ანალოგი[2].

---

1 Christophe Lecuyer. Making Silicon Valley, Innovation and the Growth of High Tech, 1930-1970, MIT Press, London, 2007. p.53.

2 https://www.theguardian.com/business/2016/jul/23/cambridge-university-silicon-fen-shaken-by-winds-of-change-arm-softbank ბოლოს ნანახია 12 ივლისი, 2017 წ.

70-იან წლებში დანიასა[1] და შვედეთში[2] წარმოიქმნა საკუთარი სილიკონის ველი, სადაც ამჟამად თავმოყრილია ბიომედიცინასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლაბორატორიები, საწარმოები და კომერციული სტრუქტურები. ევროპაში შეიქმნა კიდევ რამოდენიმე ტექნოპოლისი: ლუვენი ბელგიაში, სოფია ანტიპოლისი და გრენობლი საფრანგეთში, სილიკონ გლენი შოტლანდიაში, მილტონ კეინსი ინგლისში, ტექნოპარკები შტუტგარდში, მიუნხენსა და ბერლინში. განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციურ ცენტრებს აქვთ მნიშვნელოვანი სახელწიფო მხარდაჭერა. მაგალითად, საფრანგეთში რეგიონალური ტექნოლოგიური კომპლექსების განვითარების ხელშეწყობისათვის შექმნილია სპეციალური სახელმწიფო ორგანო. მისი ფუნქციაა ტექნოპოლისების და მეცნიერულ-ტექნიკური პარკების შექმნის პროგრამების შემუშავება. საფრანგეთში მათი რაოდენობა უკვე 50-ს აღწევს. აქედან ყველაზე მსხვილი სოფიაანტიპოლისია.

იაპონური მოდელი. 70-იან წლებში საკუთარი სილიკონის ველი გაჩნდა იაპონიაში, სადაც დიდი ტემპებით ვითარდებოდა ელექტრონიკა. ტექნოპოლისების განვითარების იაპონური სამთავრობო პროგრამა გამოირჩევა ტექნოპოლისების ორგანიზებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა მეთოდით. ტექნოპოლისების იაპონური მოდელი მოიცავს ყველა ტიპის მეთოდს დაწყებული კერძო, დამთავრებული მთლიანად სახელმწიფოს კონტროლირებად კომპონენტებს. იაპონიაში ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „ტექნოპოლისი“, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მთელი ტერიტორია დაფარული იქნება ტექნოპოლისებით, რომლებიც თანაბრად არის გადანაწილებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ყველა ტექნოპოლისი უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს:

- მსხვილ ქალაქებში ჩასვლა შესაძლებელი უნდა იყოს 30 წუთზე ნაკლებ დროში და ერთი დღის განმავლობაში ტოკიოში, ნაგოისა ან ოსაკში;
- ფართობი არ უნდა იყოს 500 კვადრატულ მილზე ნაკლები;

1 http://icdk.um.dk/en/innovationcentres/siliconvalley

2 http://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/mediatechnologyandtelecoms/11689464/How-Sweden-became-the-startup-capital-of-Europe.html

• აღნიშნულ ზონაში უნდა არსებობდეს თანამედროვე სამეცნიერო და სამრეწველო კომპლექსი, უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები, ასევე საცხოვრებლად კომფორტული გარემო, კულტურული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა;

იაპონიაში ტექნოპოლისების შექმნაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები ასევე, მსხვილი კერძო კაპიტალი. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებული იყო დაკრედიტებისა და საგადასახადო სტიმულირების სხვადასხვა ზომები. კომპანიებს, რომლებიც ითვლებოდნენ მაღალ ტექნოლოგიურად, ჰქონდათ შესაძლებლობა საქმიანობის პირველ წელს ჩამოეწერათ მოწყობილობების ღირებულების 30% და შენობა-ნაგებობათა 15%, სახელმწიფო უზრუნველყოფდა სახელმწიფო ლაბორატორიებისა და მცირე კომპანიების ერთობლივი კვლევითი სამუშაოების ხარჯების მესამედის ანაზღაურებას.

2. ძირითადი გამოწვევები.

პრაქტიკულად თითქმის ყველა ტექნოპოლისი წააწყდა ინოვაციური აქტიურობის პრობლემას. ყველა სახელმწიფოს მთავრობა ცდილობდა სხვადასხვა გზით მიეღწია ინოვაციური პროცესის იმ ნიშნულისათვის, რაც მოხდა აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში 50-იან წლებში, მაგრამ სახელმწიფოს ეს მცდელობები დაეკავშირებინა კვლევითი ლაბორატორიები და კორპორაციები ერთმანეთთან, არ აღმოჩნდა საკმარისი იმ გარემოს შესაქმნელად, რაც თავის დროზე მოხდა სილიკონის ველზე. მართალია, ზოგიერთი ტექნოპოლისის ეფექტურობა, მაგალითად იაპონიის, არ ჩამორჩება სილიკონის ველს, მაგრამ ის ვერ გახდა ახალი ტექნოლოგიების შექმნის ცენტრი, ისეთი როგორიც იყო სილიკონის ველი. ქვემოთ ჩამოთვლილია ტიპიური შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა სხვადასხვა ტექნოპოლისების ჩამოყალიბებისას:

• მარტივი ფუნქციების შესრულებაზე ორიენტაცია (მხოლოდ აწყობა). ხშირ შემთხვევაში ტექნოპოლისების როლი უმეტესწილად არის სხვა ქვეყნებიდან ან ქალაქებიდან შემოტანილი ტექნოლოგიების იმიტაცია;

• აკადემიურ (მეცნიერულ) წრეებსა და მრეწველობას შორის არასაკმარისი კავშირის შექმნა;

• მსხვილმა კორპორაციებმა არასაკმარისად ისურვეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

სილიკონის ველის წარმატებისათვის აუცილებელია რამოდენიმე კრიტერიუმი: კარგი ადგილმდებარეობა; განვითარებული ინფრასტრუქტურა; მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები; ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო; სახელმწიფო შეკვეთების სტაბილურობა; მსხვილი ფინანსური რესურსები (ვენჩურული კაპიტალი).

დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად უზრუნველყოფს ინოვაციები. განვითარებულ ქვეყნებში ტექნოპოლისები იქცა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომელიც წარმოადგენს მასში შემავალი კომპონენტების ორგანიზაციულ ფორმას: ინოვაციური კომპანიები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, კვლევითი ლაბორატორიები, საკონსულტაციო კომპანიები, საწარმოები, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები. ვფიქრობთ, რომ საქართველოშიც აუცილებელია ამ მიმართულებით სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია. პირველ რიგში უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქართველოს მსგავსი ქვეყნების წარმატებული ტექნოპარკების ადმინისტრაციასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს რეალობა, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც ქვეყანას გააჩნია. სახელმწიფოს დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, გამოიყოს პრიორიტეტული დარგები. ფრაგმენტული და არათანმიმდევრული მცდელობები ვფიქრობთ არ იქნება ეფექტური, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა ტექნოპარკის ჩამოყალიბებისათვის რამოდენიმე ჩართული მხარეა საჭირო (უნივერსიტეტები - მაღალპროფესიული კადრების მომზადების პოტენციური წყარო;

კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები; სახელმწიფო როგორც პროექტის ინიციატორი და ცალკეული პროდუქტების შესაძლო დამკვეთი; ვენჩურული კაპიტალი; კერძო მსხვილი ბიზნესი; საწარმოები და ა.შ.). ერთი კომპონენტის არასაკმარისმა ჩართულობამ ან/და დაინტერესებამაც კი შესაძლებელია გამოიწვიოს ტექნოპარკის ნაკლებეფექტიანობა. ამავე დროს საწყის ეტაპზე ჩართული მხარეების კოორდინირება, დაინტერესება და ცნობადობის ამაღლებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის "საქართველო 2020"-ის შესაბამისად 2014 წელს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის საქმიანობის მიზანიც ქ.თბილისში დაფუძნებულ ტექნოლოგიური პარკთან ერთად არის ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა.

მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს აქტიური მუშაობა. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია, რომლის ხელშესახები შედეგები, გააზრებული და ეფექტური პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქვეყანამ შესაძლოა იხილოს მხოლოდ 10-15 წლის შემდგომ. პირველ რიგში აუცილებელია განათლების სისტემის (მათ შორის როგორც მაღალტექნოლოგიური ასევე სამეწარმეო დარგების) გაძლიერება და დახვეწა, მაღალტექნოლოგიური ცოდნის იმპორტი. საჭიროა ყველა წამყვანი უნივერსიტეტისა და კვლევითი ლაბორატორიის ჩართვა ტექნოპარკების განვითარებაში. საერთაშორისო გამოცდილება ასევე გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი მხოლოდ საგადასახადო შეღავათების დაწესება ან/და სტარტაპ კომპანიების შენობით და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტებით უზრუნველყოფა. ტექნოპარკი უპირველეს ყოვლისა არის გამართული ეკოსისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური იდეების გენერირებას და მათ კომერციალიზაციას. ამისათვის კი უნდა არსებობდეს შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული კადრები. ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ

იქნას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებასთან ერთად ტექნოპარკის არეალში უნდა მოექცეს სხვა მაღალტექნოლოგიური დარგებიც, რომლის სწრაფი განვითარების პერსპექტივაც საქართველოს გააჩნია. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საწყის ეტაპზე შესაძლებელია განვითარებული ქვეყნებიდან მაღალი ტექნოლოგიების შემოტანა, ადაპტაცია და შესაბამისი პროდუქტების წარმოების დაწყება (შედარებით მარტივ ფუნქციაზე ორიენტაცია). ქვეყანაში უნდა შეიქმნას სხვა ტექნოპარკებიც, რომელთა სამართლებრივი და მატერიალურ ტექნიკური ბაზა დაეხმარება კომპანიებს კონკურენტულ გარემოში შეარჩიოს ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის წარმოების პროექტები, მომზადდეს ადამიანური რესურსი, რომელიც ორიენტირებული იქნება მეწარმეობასა და ახალ ტექნოლოგიებზე, ჩატარდეს მეცნიერული კვლევები, რის შემდეგაც მოხდება შექმნილი ტექნოლოგიების წარმოება. ყოველივე ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ინოვაციური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ახალი იდეების გარდაქმნას წარმოებისათვის განკუთვნილ ფართო მოხმარების პროდუქტებად, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე. დასარულს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინოვაციური სტრუქტურების ფორმირება უზრუნველყოფს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც დაინტერესებთ ინოვაციური პროცესების მსოფლიო ლიდერ კომპანიებს, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და პროფესიულ განვითარებას.

REFERENCES:

1. Aydalot Philippe. High Technology Industry and Innovative Environments: The European Experience, Routledge, London, 1988.

2. Castells Manuel, Hall Peter. Technopoles of the World, The making of 21st Century Industrial Complexes, Routledge, NY, 1994.

3. Christophe Lecuyer. Making Silicon Valley, Innovation and the Growth of High Tech, 1930-1970, MIT Press, London, 2007.

4. Hall Peter, Breheny Michael, McQuad Ronald, Hart Douglas. Western Sunrise: The Genesis and Growth of Britain's Major High Tech Corridor, Routledge, London, 1987.

5. Larsen, J, Rogers E. Silicon Valley: The rise and falling off of entrepreneurial fever, Creating the Technopolis: Linking Technology Commercialization and Economic Development, Ballinger Publishing Company, Cambridge, MA. 1988.

6. Perrin, J.C. New Technologies, Local Synergies and regional Policies in Europe, High technology industry and innovative environment, Routledge, London, 1988.

7. Simmie James. Innovative Cities, Spon Press, London. 2001.

TECHNOLOGY PARKS AND THEIR ROLE IN INTERNATIONAL BUSINESS

Ioseb Masurashvili,
Doctor of Economics

RESUME

Most of the country's economic progress is achieved through innovation. Technopolis developed countries have become an important element of the modern market economy, which represents the components of the organizational forms of innovative companies, higher education institutions, research laboratories, consulting companies, enterprises, state and municipal authorities. We think that this is necessary for Georgia as well as the quick and effective action.

Key words: International business, small and medium businesses, innovations, technologies, technological parks, investments, competition.

საფრთხეები ტურიზმში და ქვეყნის მთავრობის როლი მათ გაუვნებლობაში

ლელა მესხიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიში მოცემულია იმ რისკების ჩამონათვალი, რომელიც ტურისტებს და მათ მომსახურე გიდებს უდგათ ტურიზმის პროცესში და რომლებიც სხვადასხვა სახის საფრთხეებად წარმოჩინდება. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. მეტიც, საქართველოში უცხოელ ტურისტთა მიმართ რამდენიმე ისეთი დანაშაულებრივი ქმედება დაფიქსირდა, რომელმაც ნეგატიურად იმოქმედა ქვეყნის იმიჯზე, რისთვისაც საჭიროა საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა გააქტიურონ მუშაობა ამ საფრთხეების გაუვნებლობის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ტურისტი, საფრთხე, უსაფრთხოება, ობიექტური საფრთხე, სუბიექტური საფრთხე.

შესავალი

ტურიზმის სფეროში უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალურია. იგი მოიცავს, როგორც უშუალოდ მარშრუტებზე ტურისტთა უსაფრთხოების, ასევე ტურისტული რეგიონების (რაიონების) სტაბილურობას. მსოფლიო პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როცა აღნიშნულის უგუველყოფას მოჰყვა ტრაგიკული შემთხვევები, თვით ტურისტთა მსხვერპლიც კი. ყოველწლიურად მოგზაურობის ექსტრემალურობა, განსაკუთრებით სპორტულ და სათავგადასავლო ტურიზმში, იზრდება. ყოველივე ამას კი განაპირობებს ტურისტულ მარშრუტებზე, ერთი მხრივ ტუროპერატორების მიერ საფრთხეების შეუფასებლობა და გიდების დაბალი კვალიფიკაცია, ხოლო მეორე მხრივ, უსაფრთხოების კუთხით, ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე

მოწყობილი, ზოგან კი საერთოდ მოუწყობელი ინფრასტრუქტურა.მიუხედავად ტურიზმის სფეროს მიმართ საქართველოს მთავრობის დიდი ყურადღებისა სამწუხაროდ ეს საკითხი საქართველოსთვისაც მეტად პრობლემატურია, რასაც განაპირობებს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები.

1. საფრთხეები ტურიზმში: არსი, სახეები და გამომწვევი ფაქტორები.

საფრთხე ადამიანს ყოველთვის და ყველგან შეიძლება შეემთხვეს, მაგრამ მისი ალბათობა უფრო დიდია ტურისტული მოგზაურობისას. აქ მოსალოდნელია არა მხოლოდ ბუნებრივი, ანუ ჩვეულებრივი საფრთხეები (მზით დაწვა, მწერებით დაკბენა და სხვა), არამედ, ექსტრემალური საფრთხეებიც.

საფრთხეების ხასიათი, სახეები და გამომწვევი მიზეზებიც ტურიზმის სხვადასხვა ფორმის დროს სხვადასხვანაირია (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ტიპიური საფრთხეები ტურიზმის სხვადასხვა სახეობებისთვის

ტურიზმის სახეობები	საფრთხეების ხასიათი	უბედური შემთხვევებისა და ტრამვების სახეობები
სალაშქრო	უსწორმასწორო რელიეფი, ეკიპირების არასწორი შერჩევა	გადახეხვა (გადაყვლეფა), კუნთების დაჭიმვა
საწყალოსნო, სათევზაო, საჯომარდო	ტანსაცმლისა და აღჭურვილობის დასველება, წყალში ჩავარდნა, საყვინთავი ან/და სათევზაო მოწყობილობისა და აღჭურვილობის არასწორი გამოყენება.	გაცივება, წყალში დახრჩობა, ორგანიზმის გადაცივება, ორგანიზმში გაცვლითი პროცესების დარღვევა.
სამთო-ალპინიზმი	ზვავი, წყალმოვარდნა, ქვისცვენა, მზის რადიაცია, მეტეოპირობების მკვეთრი ცვალებადობა, ორიენტაციის დაკარგვა, ყინულის ნაპრალები და სხვა.	დაჟეჟილობა, მოტეხილობა, მოყინვა, თვალის დაავადება, მჭრელი საგნებით გამოწვეული ჭრილობები და სხვა.

საველოსიპედო (მოუნტ ბიკე)	გადმოვარდნა, გადაჩეხა, ტანსაცმლის, მოწყობილობისა და აღჭურვილობის არასწორი შერჩევა და გამოყენება.	დაჟეჟილობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა, თვალში უცხო საგნის ჩავარდნა და სხვა.
ზამთრის	დათოვლილი რელიეფის ხასიათი, ყინულის ლოლოებისა და თოვლის კარნიზების ჩამოქცევა, ყინულის ნაპრალები, ზვავები და სხვა.	დაჟეჟილობა, მოტეხილობა, ზვავში გაგუდვა, მოყინვა, ცხელი საკვებითა და ცეცხლით დამწვრობა.
	გარეული ცხოველების თავდასხმა, ინფექციები და სხვა.	ჭრილობები, დაჟეჟილობა, ტვინის შერყევა, იმუნიტეტის დაქვეითება, ინფექციური დაავადებები.
სამონადირეო	გარეული ცხოველების თავდასხმა, მოწყობილობის და აღჭურვილობის არასწორი შერჩევა—გამოყენება, დაუდევრობა, ნადირობის, სანადირო იარაღის ხმარებისა და გადარჩენის წესების არცოდნა, უსწორმასწორო რელიეფი, ორიენტაციის დაკარგვა.	ჭრილობები, დაჟეჟილობა, მოტეხილობა, იმუნიტეტის დაქვეითება, ტვინის შერყევა, ინფექციური დაავადებები.

მაშასადამე, როგორც ცხრილიდან ჩანს, ლაშქრობაში შეიძლება ტურისტს დაეჭიმოს კუნთები და მყესი, გადაეხეხ-გადაეყვლიფოს ფეხები, საწყლოსნო ტურიზმში – გაცივდეს, გადაცივდეს ან დაიხრჩოს, სამთო ტურიზმში – მოიყინოს, მოტეხილობა და დაჟეჟილობა მიიღოს, სამონადირეოში – დაიჭრას და ა. შ.

ჩამოთვლილი საფრთხეების ნაწილი ობიექტური ფაქტორებით არის გამოწვეული, ნაწილი კი სუბიექტური ფაქტორებით (ცხრილი 2). ობიექტური ფაქტორები ძირითადად ბუნების არასასურველი მოვლენებია – ქვათა ცვენა, მეწყერი, ღვარცოფი და ა. შ. და მისი წინასწარგანჭვრეტის შეუძლებლობის მიუხედავად ტურისტი მათ უვნებლად გადასალახავად მზად უნდა იყოს. სუბიექტური ფაქტორები ტურისტული მოგზაურობის ორგანიზაციაში და თვით ტურისტების მოგზაურობისთვის მზადყოფნაში დაშვებული შეცდომებია, კერძოდ, მარშრუტის სიძნელეების შეუფასებ-

ლობა, ტურისტის არასწორი ეკიპირება, უსაფრთხოების წესების დარღვევა და სხვა.

ცხრილი 2
ტურიზმში საფრთხეების გამომწვევი მიზეზები

ობიექტური მიზეზები	სუბიექტური მიზეზები
მეტეოროლოგიური პირობები	მოგზაურობის ორგანიზაციისა და განხორციელებისას დაშვებული შეცდომები
სეისმოლოგიური მოვლენები	ტურისტთა შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება ან შეუფასებლობა
სტიქიური მოვლენები (ზვავები, მეწყერები, წყალდიდობები, გრიგალები, ღვარცოფები და სხვა)	მარშრუტების სიძნელეების შეუფასებლობა, ორიენტაციის დაკარგვა, დაცვითი საშუალებების უგუველყოფა
ქვათაცვენა	არასწორი ეკიპირებისა და მოწყობილობების შერჩევა უსაფრთხოების წესების არქონა ან დარღვევა
მწერებისა და ცხოველების თავდასხმები	ეპიდემია, ტექნიკურ საშუალებათა ავარია
მზის ზემოქმედება	კრიმინოგენური მდგომარეობა, ტერორიზმი, ადგილობრივი მოსახლეობის მტრული განწყობა

მაშასადამე, ტურისტი განურჩევლად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში მიემართება, გარკვეული საფრთხეების ქვეშ იმყოფება.[1] ეს შეიძლება იყოს გარემოს უარყოფითი ზემოქმედება, ფსიქოლოგიური გადაღლა, ტრამვებიც და სხვაც. სასურველია ეს ყველაფერი ნაკლებად იყოს. ეს უკავშირდება თვითონ ტურისტების მომზადებას და უფრო „დიდი დოზით“ ტურისტთა მიმღებ ქვეყანაში ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით გაწეულ მუშაობას. მართალია, საქართველო და მისი ტურისტული ნაკადები არ წარმოადგენენ მსხვილი ტურისტული დაჯგუფე-

1 **Korstanje, E.M. and Clayton, A.**

ბების– ტერორისტების სამიზნეს, მაგრამ ორი-სამი ტრაგიკული შედეგით დამთავრებული შემთხვევა უცხოელ ტურისტებზე უკვე დაფიქსირებულია. ყველა შემთხვევაში საფუძველი ფულის გამოძალვა იყო. ეს დღეს მოხდა, არ ვიცით, რა მოხდება ხვალ. ამიტომ, იმ შემოსავალს, რომელსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უცხოელი ტურისტებიდან საქართველოში შემოსვლით გეგმავს, თუ სახელმწიფოს მხრიდან მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის სათანადო უზრუნველყოფა არ ექნება, ეს მილიარდიანი შემოსავალი ფანტაზია იქნება[1].

2016 წლის 21 ივნისს სიღნაღის ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში ჩეხი ტურისტის გაუპატიურების ფაქტი და იმავე წლის 12 აგვსიტოს კახეთში, სოფელ ლეჩურიდან თუშეთისაკენ მიმავალ გზაზე ადგილობრივი მცხოვრების მიერ ამერიკელი ტურისტის მკვლელობა თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის მმართველი წრეებისთვის, მაგრამ რა, გაკეთდა იმის შემდეგ რამე? დაზღვეული ვართ ასეთი შემთხვევებისგან? სამწუხაროდ არა.

დასკვნა

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ტურიზმი არის ისეთი დარგი, რომელიც მის მომხმარებლებს – ტურისტებს, და აგრეთვე, ამ მომსახურების გამწევ გიდებს სხვადასხვა საფრთხეებით ემუქრება. საქართველოს მთავრობას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ამ საფრთხეების კონტროლის და პრევენციული ღონისძიებების ჩატარების გეგმა და სისტემატურად ახორციელებდეს მას.

ლიტერატურა:

1. Korstanje, E.M. and Clayton, A. 2012, “Tourism and terrorism: conflicts and commonalities”, Worldwide Hospitality and Tourism Themes;

2. S.F. Sonmez, An Exploratory Analysis of the Influence of Personal Factors on International Vacation Decisions Within the Contextof Terrorism and/or Political Instability Risk, PhD dissertation, Penn-sylvaniaStateUniversity, UniversityPark, PA, 1994;

1 „კომერსანტი“, 2017

3. ChrisCooper, ColinMichael Hall,2008, Contemporary Tourism: An International Approach Routledge;

4. Derman Kucukaltan,2006, Tourism and Terrorism: An Experience of Turkey and theWorld, iUniverse;

5. Maria Brás, Tourism and Crime –Why Tourists becomeVictims, Presented at the "Security & Tourism: Local Policies and Practices" Conference held on 25th June 2015 at the Maison de L'Europe – European Union, Paris;

6. Feridun, M., 2011. "Impact of Terrorism on Tourism in Turkey: Empirical Evidence from Turkey." Applied Economics 43;

7. Dorie Clark, 2015, HowtoProtectYourOnlineReputation, Forbes,;

8. Jason T. Swanson, 2008, TourismPolicy and Planning. Yesterday, today and tomorrow. David L. Edgell Srand;

9. Спутник - Georgia, 2017, Чтоиностранцынелюбят в Грузии - Топ-10;

10. „Commersant", 2017, "Rich tourist will not arrive in Georgia" – Why is not Georgia interesting country for high budget travelers ?;

11. Ministry of International Affairs of Georgia, 2017, Registered crime - 2016, Annual Report;

12. http://sknews.ge/, 2017, According Internal Affairs of Georgia, in 2016 year was registered 581 car accident;

13.Timer, 2016, David Meskhishvili : Road car accidents statistics are alarming;

14. http://gnta.ge;

15. http://www.geostat.ge/

16. http://police.ge/

17. Issues in Health, Safety and Security by Dr Peter Tarlow, President of Tourism & More, Inc.

DANGERS IN TOURISM AND GOVERNMENT'S ROLE IN THEIR NEUTRALIZATION

Lela Meskhishvili
PhD, TSU

RESUME

The article "Dangers in tourism and government's role in their neutralization" provides a list of risks that face the tourists and tourism guides in the process of tourism and that are represented in a variety of threats. Georgia is no exception in this regard. Moreover, several criminal acts have been observed against foreign tourists in Georgia, that have a negative impact on our country's image.

The author of the article believes that the relevant authorities of Georgia should work in the direction of neutralization of these threats.

Keywords: Tourist, Danger, Safety, Objective danger, Subjective danger.

საქართველოს ფოსტის ფუნქციონირების ეფექტური გაუმჯობესება ოპერაციული მენეჯმენტის მეშვეობით

სალომე საყვარელიძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

გლობალიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შედეგად ბიზნეს სამყაროში განხორციელებულმა დიდმა ძვრებმა მომხმარებლის მოთხოვნილებების პრიორიტეტების ცვლილებები გამოიწვია - ადამიანები ითხოვენ უფრო მეტს ნაკლებ ფასად, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია ოპერაციულ მენეჯმენტზე. შესაბამისად კომპანიების უმეტესობა, უზარმაზარ თანხებს ხარჯავს იმისთვის, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ოპერაციული მენეჯმენტი.

საქართველოს ფოსტა სახელმწიფოებრივი საკუთრებაა და მას მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქციები აკისრია ქვეყნის წინაშე. შესამაბისად საქართველოს ფოსტისთვის მიზანშეწონილია ოპერაციული მენეჯმენტის შესაძლებლობების გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ფოსტა, ოპერაციული მენეჯმენტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსი, ბრენდინგი, მიწოდების ქსელის დიზაინი.

შესავალი

დღესდღეობით, როდესაც საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე იმყოფება ქვეყნის საზღვრებს გარეთ და მათ ყოველდგიური საქმიანი თუ პირადი მიზეზებით უწევთ სხვადასხვა ამანათებისა თუ წერილების გაცვლა, საქართველოს ფოსტას წარმატების ყველა მიზეზი აქვს მის განკარგულებაში მყოფი საერთაშორისო ექსპრეს-ფოსტის (EMS) ჩათვლით. ფოსტა არის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და იაფი საშუალება. გარდა ამისა საქართველოს ფოსტას აქვს ქონებისა და ინფრასტრუქტურის ფართო ქსელი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებე-

ლია მომგებიანი, მრავალფეროვანი მომსახურეობის მობილიზება და კონცენტრირება არა მარტო ქალაქებში არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ძირითადი ტექსტი

ოპერაციული მენეჯმენტი ემსახურება პროდუქციისა და სერვისის შექმნას, მართვასა და რეალიზაციას. ეს დარგი გულისხმობს რესურსების სწორ დაგეგმარებას, მოპოვებას და განაწილებას. პასუხისმგებელია შექმნას სისტემა, რომელშიც შესაძლებელი იქნება შედარებით ნაკლები რესურსებით მეტი ეფექტურობის მოპოვება და ამავდროულად მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება პროდუქტისა და სერვისის დიზაინის, მიწოდების ქსელის დიზაინის, პროცესების ტექნოლოგიებისა და სამსახურის დიზაინის მეშვეობით.(1)

დღეისათვის, კავშირგაბმულობის ელექტრონული ფორმების გამოყენების უპრეცენდენტო გაფართოების პროცესში, საქართველოს ფოსტა, რომელიც დაფუძნებულია 1995 წელს სახელმწიფოს 100 %-იანი წილით, და რომლის დამფუძნებელიც არის «საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო», ეწევა უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.(2)

შპს «საქართველოს ფოსტა» ახორციელებს: საფოსტო გზავნილების მიღებას, გადაგზავნას და ჩაბარებას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მსოფლიო საფოსტო კავშირისა და საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტის მეშვეობით; კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას; ფულადი გზავნილების გაგზავნას ქვეყნის შიგნით და აგრეთვე, ბელგიის, თურქეთის, იაპონიის, საბერძნეთის, ლიტვის, ლატვიის და დსთ-ის ქვეყნების მიმართულებით; სატელეგრაფო მომსახურებას - ქვეყნის შიგნით საქალაქო და რაიონულ ცენტრებთან; სატელეფონო მომსახურებას - სალაპარაკო პუნქტების საშუალებით, როგორც ქვეყნის ფარგლებში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ; 2005 წლიდან შპს «საქართველოს ფოსტა» ეწევა საკურიერო მომსახურებას, რომელიც თბილისის ფარგლებში უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილების

24 სთ-ის განმავლობაში, ხოლო ქვეყნის მაშტაბით 72 სთ-ში ჩაბარებას; დანერგილ იქნა პირდაპირი ფოსტის მომსახურების - საინფორმაციო და სარეკლამო ბუკლეტების საოპერაციო დარბაზებში გავრცელება და საფოსტო გზავნილებათა მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის ამ ბუკლეტების მიწოდებას; გადასახადების სწრაფი და მომენტალური გადასახადების მიღებას თბილისისა და აჭარის საფოსტო განყოფილებებში - კომუნალური მომსახურების, კავშირგაბმულობის ქსელებით მომსახურების, მობილური კავშირგაბმულობით მომსახურების გადასახადების გადახდა.

საქართველოს ფოსტა თავის სტრუქტურაში აერთიანებს «საქართველოს საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტას», რომელიც დაარსდა 2001 წლის 1 მარტს. იგი ჩართულია «Express mail service»-ის მსოფლიო ქსელში .(3)

1996 წლისათვის საწარმოს მოგებამ შეადგინა 774.8 ათასი ლარი. ტარიფი საპენსიო მომსახურებაზე შეადგენდა განაღდებული თანხის 5%-ს. 1996 წლიდან 1.6%-მდე დაიკლო. 1996 წლისთვის პენსია დახმარების მთლიანი შემოსავალი შეადგენდა მთლიანი შემოსავლების 84.2%-ს. 2006 წლისთვის კი 2.6%-ს. 2003 წლიდან საპენსიო მომსახურეობა გადავიდა საბანკო სისტემაზე. პირველ ეტაპზე ნაწილობრივ ხოლო 2007 წლიდან მთლიანად, რამაც გამოიწვია ფილიალებში სახელფასო დავალიანების წარმოქმნა. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი გახდა შტატების შემცირება სულ 1997 წლიდან 2010 წლამდე შემცირდა 3700-3900 ფიზიკური პირი. (2)

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პენსიების გაცემა კვლავ დაეკისროს საქართველოს ფოსტას მისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. აღნიშნულთან ერთად, მიზანშეწონილია პენსიების გაცემის პროცესის გამარტივება პენსიონერთათვის ტექნოლოგიური სირთულეების აღმოფხვრით, რაც კომპანიას დაეხმარება შეამციროს უშუალოდ პროცესის დრო და ძალისხმევა.

საწარმოს შემადგენლობაში შედის 61 რაიონული ფილიალი. 2010 წლის მონაცემებით 54 ფილიალი იყო ზარალიანი, ფაქტო-

ბრივად იმყოფებოდნენ სათაო ოფისის დოტაციაზე. ამასთან ზოგიერთი ფილიალის გაწეული ხარჯები აღემატებოდა მათ შემოსავლებს.(2)

შესაბამისად მიზანშეწონილია ფილიალებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს მოძიება. მაგალითად, მათ მიერ პენსიების გაცემა შეძლებისდაგვარად დატვირთავს რაიონული ფოსტის მუშაობას, რაც უზრუნველყოფს მათ აღორძინებას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რეგიონული ფილიალები მომგებიანი არ არის, ისინი განვითარებულ ინფრასტრუქტურას წარმოადგენენ, რაც საქართველოში საფოსტო კავშირის სფეროში დღეს მოქმედ არც ერთ კომპანიას არ გააჩნია.

აუცილებელია ჰიბრიდული ფოსტის სამსახურის ჩამოყალიბება, ეს არის თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი წერილობით გზავნილთა დამამზადებელ - დამახარისხებელ კომპლექსი. ჰიბრიდული ფოსტის მეშვეობით შესაძლებელი იქნება საფოსტო და საბანკო ოპერაციების ერთობლივი ფუნქციონირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საფოსტო მომსახურეობის უნივერსალიზაციას. ოპერაციული მენეჯმენტის პრინციპებიდან გამომდინარე, რესურსების სწორი თავმოყრისა და მართვის ერთ-ერთ საშუალებად სპეციალიზებული კომპიუტერული ქსელის (მაგალითად, ERP – Enterprise Resource Planning).(5) დანერგვა მიიჩნევა. გარდა ამისა, უკვე დღეს საერთაშორისო დაჩქარებულ ფოსტას (EMS)-ს , როგორც EMS კოოპერატივის წევრს, კომპიუტერული ინტერნეტზე დაფუძნებული სისტემა გააჩნია (Rugby System), რომელიც უზრუნველყოფს მის ინტეგრირებულ მუშაობას მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა სერვის-ცენტრებთან.(3)

ოპერაციული მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - პროცესების უწყვეტი გაუმჯობესება და პრობლემის გადაჭრის ისეთი გზების მოძებნაა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ორგანიზაციის ფინანსურ და ადამიანურ ზარალს, ასევე ორგანიზაციის თანამშრომელთა უკმაყოფილებას. ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, რადგანაც არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი აღარ ამზადებს სპეციალისტებს ფოსტის დარგში. პრობლემად მიიჩნევა აგრეთვე ორგანიზაციაში არსებუ-

ლი დაბალი ხელფასები. ადამიანური რესურსების პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია თანამშრომლებისთვის ტრეინინგების ჩატარებითა და სტაჟირების შეთავაზებით. საწარმოს ხელმძღვანელმა პირებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ თანამშრომლები დაინტერესებულნი იყვნენ საკუთარი საქმიანობით. აუცილებელია მათი მოტივაციის გაზრდა. ამისთვის ყველაზე მარტივი გზას შიდა ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს.

დასკვნა

ქვეყნის საფოსტო მომსახურეობის გამართულობა, მომსახურეობის ხარისხი და ინფრასტუქტურის მდგომარეობა, ფაქტობრივად პირდაპირპროპორციულია ქვეყნის განვითარებისა და მისი სტრატეგიული პრიორიტეტებისა, რადგანაც იგი მოიცავს მომხმარებელთა ფართო წრეს, ერთობას. მისი მომსახურეობით არამარტო მისი ქვეყნის არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ და გაწეული მომსახურებით შექმნილი შთაბეჭდილება ქვეყნის იმიჯის ჩამოყალიბებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს. ფოსტა ერთგვარი მიწოდების ქსელია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია მსოფლიოსთან და რომელსაც მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU) წარმოადგენს.(4)

მნიშვნელოვანია საქართველოს ფოსტის ახალი იერსახით დაბრუნება საქართველოს ბაზარზე. მისი განვითარების შემთხვევაში მოვიპოვებთ მომხმარებლის ნდობას, მათი სურვილების დაკმაყოფილებას ხარისხიანი, სწრაფი და ეფექტური გზით, რაც, ამავდროულად გააფართოებს მომხმარებლის სეგმენტს და პარალელურად გამოიწვევს საქართველოს ფოსტის წილის ზრდას ბაზარზე.

მიმდინარეობს ფოსტის რებრენდინგზე მუშაობა, მაგრამ პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც საწარმოს მომხმარებლებზე და, შესაბამისად, მის მომგებიანობაზე ყველაზე უარყოფით გავლენას ახდენს. პრობლემების ეფექტური და სწრაფი გადაჭრისთვის უმეტეს შემთხვევაში არ არის საჭირო ძვირადღირებული, დატვირთული მეთოდების გამოყენება. მცირე დანახარჯითაც და,

რაც მთავარია, შიდა სიძლიერეების გამოყენებით შესაძლებელია პრიორიტეტული პრობლემების მარტივი გზებით მოგვარება. საქართველოს ფოსტის ერთ-ერთ მომგებიან კომპანიად შეიძლება ჩავთვალოთ საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტა (EMS).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.სლეკი, ს. ჩამბერსი, რ. ჯონსტონ (2004), ოპერაციული მენეჯმენტი; Financial Times Management. მე-4 გამოცემა.

2. საქართველოს ფოსტის მიერ მოწოდებული მასალა.

3. საქართველოს საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტა EMS; შესვლის თარიღი. 07 ივლისი, 2017; http://www.ems.post/operators/georgia

4. საქართველოს ფოსტა; შესვლის თარიღი. 07 ივლისი, 2017; www.georgianpost.ge

5. ჯ. ჰაიზერი, ბ. რენდერი (2007); ოპერაციული მენეჯმენტი; მე-9 გამოცემა.

REFERENCEES

1. N. Slack. S. Chambers, R. Jonston (2004), Operational Management; Financial Times Management. 4th edition.

2. The materials provided by the Georgian Post.

3. Express Mail Services EMS; entered on a web page on 07 July, 2017; http://www.ems.post/operators/georgia.

4. Georgian Post; entered on a web page on 07 July, 2017; www.georgianpost.ge.

5. J. Haizer, B. Render (2007); Operational Management, 9th edition.

EFFECTIVE IMPROVEMENT OF FUNCTIONALITY OF GEORGIAN POST THROUGH OPERATIONAL MANAGEMENT

Salome Sakvarelidze
PhD Student, TSU

RESUME

As a result of globalization and the modern technologies, the new business world has led to the serious changes in the customer's priorities - people are demanding more things for a lower price, which has had a great influence on development of operational management. Nowadays most companies spend huge amount of money in improving their operations, which helps to create an efficient management system, increased revenues, and at the same time the increased potential for successful and high quality services and product in the market.

The Georgian Post is a state property and it has an important strategic significance to the country and the use of these operational management capabilities is essentially important for the Georgian Post, while it will lead to the increased market share.

Key words: Georgian Post, Operating Management, Modern Technologies, Human Resources, Branding, Supply Chain Design.

მენეჯერებო, დაგეგმეთ დღე!

ელისაბედ ბალიაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ მოწვეული პროფესორი

რეზიუმე

სტატიში განხილულია დროის რესურსის მნიშვნელობა მენეჯერების საქმიანობაში.სტატიას წითელ ხაზად გასდევს პრინციპი – „ერთი ამოცანა – ერთი სამუშაო“. ამ პრინციპით მუშაობდნენ ფრანკლინიც და ეიზენჰაუერიც. მენეჯერს უნდა ახსოვდეს, რომ სხვა საქმეზე არ გადაერთოს, ვიდრე არ დაამთავრებს უკვე დაწყებულ საქმეს. ყურადღების ასეთი კონცენტრაციით იგი 50%-ით ნაკლებ დროში შეასრულებს მას.

საკვანძო სიტყვები: მენეჯერის დღე, დღის გეგმა, დაგეგმვის ბარიერები, გეგმის პრიორიტეტები

შესავალი

ადამიანი განუყოფლად დაკავშირებულია დროსთან. მთელი მისი ცხოვრება დროში მიმდინარეობს. დრო ყველა ადამიანს თანაბრად ეძლევა. დღე-ღამეში იგი ყველასთვის 24 საათია, წელიწადში 365 კალენდარული დღე და ღამე. მათ შორის მხოლოდ იმაშია განსხვავება, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ დროს. თუ მენეჯერი სწორად დაგეგმავს დროს და შეასრულებს ამ გეგმას, ეს იქნება მისი წარმატების გარანტი.[1]

I. დროის ეფექტურად დაგეგმვის წესები.

იმისათვის, რომ თქვენი დღიური გეგმა ეფექტური იყოს მის შედგენისას უნდა დაიცვათ 5 წესი:[2]

1. **დაგეგმვას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა**. მაშასადამე, გეგმას უნდა ჰქონდეს მატერიალური ფორმა და ინახებოდეს ერთსა და იმავე ადგილზე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა

1 ღუდუშაური ზ., თვითმენეჯმენტი, თბ., 2015, გვ. 50.
2 Архангелский Г. и др. Тайм-менеджмент, М., 2014, gv. 111.

ქაღალდზე გექნებათ იგი დაწერილი (ბლოკნოტში), MS Outlppk-ზე თუ MS Excel-ში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ადამაინის ტვინი, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს იგი, დიდი მოცულობის ინფორმაციას დროითა განმავლობაში ივიწყებს. ამისთვის ეს ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იყოს.

2. **დაგეგმვა უნდა იყოს რეგულარული**. ყოველი დღის გეგმის შედგენის ჩვევა, თქვენ დაგეხმარებათ გამოიმუშაოთ ეფექტური აზროვნება და ყურადღება თქვენი ცხოვრების, თქვენი საქმიანობისადმი. დღიური გეგმა განტვირთავს თქვენს გონებას, მისცემს უფრო შემოქმედებით იდეებზე მუშაობის შესაძლებლობას.

3. **გეგმაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები**. მაშასადამე, როდესაც დღიურ გეგმას ადგენთ, აუცილებელად გამოკვეთეთ მასში საკვანძო საქმეები, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები. ასეთი მიდგომით თქვენი გეგმა უფრო მკაფიოდ იქნება სტრუქტურირებული.

4. **გეგმა უნდა იყოს რეალური, შესრულებადი**. გეგმა არ უნდა იყოს ფანტაზიით შედგენილი, ილუზიებზე დაყრდნობილი, იგი რეალისტური უნდა იყოს. გეგმას რეალურობას აძლევს სწორი გაანგარიშება.

5. **დაგეგმვა უნდა იყოს მოქნილი**. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოულოდნელი სიტუაციები შეიქმნება, შესაძლებელი იქნეს მისი გადახედვა და გეგმაში კორექტივების შეტანა. არის კიდევ ერთი წესი: თქვენმა დღიურმა გეგმამ ეფექტურად რომ იმუშაოს, საქმეების ჩამონათვალი გონივრულად უნდა იყოს შედგენილი და შედეგზე ორიენტირებული.

II. ფსიქოლოგიური პრინციპები დროის დაგეგმვაში.

ეს თქვენი შინაგანი ძალები და რწმენებია, რომლებიც ხელს გიშლიან მიაღწიოთ იმას, როსი მიღწევაც ცხოვრებაში გინდათ. მაშასადამე, ადამიანის ფსიქიკაში არის რაღაცა ძალები, რომლებიც მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. იგივე ეხება მენეჯერსაც.

არსებობს გარკვეული პრინციპები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს თავისი დროის ეეფქტურ გამოყენებაში. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

1. იმისათვის, რომ ყველა თქვენი მოქმედებები იყოს მიზნისკენ მიმართული და თანამიმდევრულნი, უპირველესად საჭიროა განსაზღვრული გქონდეთ გრძელვადიანი მიზნები და დაფიქსირებული გქონდეთ იგი დოკუმენტურად (ქაღალდზე ან კომპიუტერში). ეს თქვენს მიზნებს მისცემს სიცხადეს და გარკვეული ზომით ოფიციალურობას. ეს იქნება თქეენი პირადი მისია, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი ცხოვრების რამდენიმე საკვანძო სფეროს გამოვლენაში. აგრეთვე აუცილებელია ამ სფეროებისთვის შეადგინოთ მათში თქვენი მიზნების მიმოხილვითი გრაფიკი, როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან პერიოდში. მოკლევადიან პერიოდის მიზნებს შესრულების ვადებიც მიუთითეთ და თვით ის მიზნები დააკონკრეტეთ.

2. განსაზღვრეთ თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ზონები. იმისათვის, რომ ვისწავლოთ დროის ორგანიზება ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი საქმიანობაც და ჩვენი პასუხისმგებლობებიც. პასუხისმგებლობის ზონები, ეს ის სფეროებია (მაგალითად, პროფესიული საქმიანობა, სპორტი, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა და სხვა), რომლბშიც თქვენ გსურთ, რომ მიიღოთ მაღალი შედეგი. დასახელებული ზონების ჩამოთვლა და ჩაწერა მთელ თქვენ ყოველდღიურ დატვირთვას, რომელშიც მრავალი საქმე აუცილებლად იქნება მეორეხარისხოვანი, ნათელს მოფენს და თქვენთვის მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეებზე გაგამახვილებინებთ ყურადღებას.

3. დროის მართვა უფრო ეფექტური იქნება თუ თქვენ წესად გაიხდით დააფიქსიროთ თუ რაში დახარჯეთ თითოეული წუთი. ასეთი ჩაწერის გარეშე დროის ეფექტური ორგანიზაცია არ მოხერხდება. თითოეულ თქვენგანს ჰქონია შემთხვევები, როცა აღარ ახსოვდა რა საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. ამიტომ ჩაიწერეთ ყველა სქმე – გაკეთებულიც და გასაკეთებელიც, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული თქვენი და სხვისი აზრები (შემთხვევითი აზრიც კი), ტელეფონის ნომრები და სხვა. საწერ-კალამი, რომელსაც ყველაფერ ამის დასაფიქსირებლად გამოიყენებთ, დაგიზოგავთ დიდ დროს.

III. დროის მართვის ფრანკლინის პირამიდა, ეიზენჰაუერის მატრიცა და პარეტოს პრინციპი – „80/20“.

ისტორიამ ბევრი ჭკვიანი ადამიანი იცის, რომელიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერც ერთ ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწია, სწორედ იმიტომ, რომ რაციონალურად ვერ გამოიყენა მის ხელთ არსებული დრო. იცის ისეთებიც, რომლებიც სწორედ დროის სწორი გამოყენებით გახდნენ წარმატებულნი. ერთ-ერთი ასეთი იყო ამერიკელი მეცნიერი, მწერალი და გამომგონებელი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ბენჟამინ ფრანკლინი. მან შექმნა დროის მართვის თავისი სისტემა, რომელმაც მას საშუალება მისცა ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით რამდენიმეჯერ უფრო ეფექტურად ემუშავა. ფრანკლინის სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ პირამიდის სახით (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ფრანკლინის დროის მართვის პირამიდა

დროის ხარჯვის აღრიცხვის დღიურს ბ. ფრანკლინის მეთოდის მიხედვით უნდა მიეცეს ფორმა. კერძოდ, მის პირველ გვერდებზე უნდა განთავსდეს ადამიანის ცხოვრებისეული ფასეულობები (პირამიდის პირველი სართული), გლობალური მიზნის აღწერა (პირამიდის მეორე სართული), გენერალური გეგმის ცხრილი (პირამიდის მესამე სართული) და წლის მიზნების ჩამონათვალი (პირამიდის

მეოთხე სართული). ყოველი თვის დასაწყისში დღიურში გამოიყოფა გვერდი შერჩეულ პერიოდში გადასაწყვეტი ამოცანების ცხრილისთვის (პირამიდის მეხუთე სართული), ხოლო ყოველდღიურად დღიურში გამოიყოფა გევრდი დღის ამოცანების ცხრილისთვის (პირამიდის მეექვსე სართული). მასში დასახელდება ამოცანა, მისი სტატუსი, პრიორიტეტი, შესრულების დრო, შესრულების ან გადატანის აღნიშვნა და ა. შ. აღნიშვნები იქნება პირობითი.

დუაიტ ეიზენჰაუერი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. არსებობს ცნობა, რომ დროის ეფექტური ორგანიზაციის მიზნით ის საქმეების კლასიფიკაციის მატრიცას იყენებდა, რაც მას დაეხმარა წარმატების მიღწევაში.

ეიზენჰაუერის მატრიცის მიხედვით, ყველა საქმე „მნიშვნელობის“ და „დროულობის“ მიხედვით უნდა დავყოთ ოთხ კატეგორიად (ნახაზი 2).



ნახაზი 2. ეიზენჰაუერის მატრიცა

აღნიშვნების შინაარსი:

„ა“ – მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები

„ბ“ – მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასწრაფო საქმეები

„გ“ – უმნიშვნელო და არასასწრაფო საქმეები

„დ“ – უმნიშვნელო, მაგრამ სასწრაფო საქმეები

„ა“ – კატეგორიაში მოხვდება მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები. მაგალითად, ხვალ თუ თქვენ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა გაქვთ და მასალა ჯერ არ გისწავლიათ, დღეს აუცილებელია მისი მომზადება. ეს საქმე თქვენთვის მნიშვნელოვანიც არის (რადგან ნაშრომის დაცვის შემდეგ თქვენ მიიღებთ ბაკალავრის ხარისხს) და სასწრაფოც.

„ბ“ – კატეგორიაში მოხვდება მნიშვნელოვანი, მაგრამ შესასრულებლად არასასწრაფო საქმეები. ასეთი საქმეების შესრულებას, მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ჩვენ გადავავადებთ ხოლმე. მაგალითად, თუ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა 20 ივნისს არის დანიშნული, არ ვიწყებთ მასალის მომზადებას იანვარში და თებერვალში. გადის დრო და „ბ“ – კატეგორიაში დაგროვილი საქმეები გადადის „ა“ – კატეგორიაში და ჩვენ ფაციფუცით ვიწყებთ მათ გაკეთებას, რადგან ხვალ-ზეგ 20 ივნისია, ჩვენ კი მასალა ჯერაც არ გვისწავლია.

„გ“ – კატეგორიაში ხვდება უმნიშვნელო საქმეები (ამ კატეგორიას „ნაგვის კალათასაც“ უწოდებენ). მასში ხვდება ჩვენი დროის მშთანთქმელები – კომპიუტერული თამაშები, ინტერნეტი, ტელეფონის ზარები, ხშირი შესვენებები, სიგარეტის მოწევა, კერძო თემებზე ყბედობა, ზედმეტი კომუნიკაბელურობა, ტელევიზორი და მრავალი სხვა. ამ საქმეებს ჩვენ ხშირად ვუთმობთ ჩვენთვის მეტად ძვირფას დროს, და, მერე, როცა ვეღარ ვასწრებთ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი საქმეების კეთებას, გვიკვირს, სად დავკარგეთ დრო. დროის მენეჯმენტის სპეციალისტები გვირჩევენ, ამ საქმეების შესრულებას მივუდგეთ ნაშთის პრინციპით, ანუ ისინი მაშინ გავაკეთოთ, თუ დაგვრჩა დროის ნაშთი მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეების გაკეთების შემდეგ.

„დ“ – კატეგორიაში ხვდება უმნიშვნელო, მაგრამ სასწრაფო საქმეები. მათ „ეშმაკ საქმეებსაც“ უწოდებენ. მათ შეუძლიათ მოგვაჩვენონ თავი მნიშვნელოვნად. ადამიანები ერთმანეთში ურევენ საქმეების მნიშვნელობას და დროულობას. ამით სარგებლობენ „დ“ – კატეგორიის საქმეები და, შეიძლება ითქვას, ატყუებენ ადამიანს. ასეთ დროს ადამიანი ფაციფუცობს, ჩქარობს, ქაოტურ მდგომარეობაშია. ეიზენჰაუერის მატრიცის უპირატესობები შემდეგია:

➢ მარტივია გამოსაყენებლად;

➢ შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ უმნიშვნელო საქმეების რაოდენობა;

➢ გვეხმარება საქმეების პრიორიტეტულობის სწრაფად განსაზღვრაში.

პიროვნული დროის დაგეგმვაში იყენებენ პარეტოს პრინციპსაც. 1897 წელს იტალიელმა მეცნიერმა ალფრედო პარეტომ, როცა ის შეისწავლიდა მატერიალური სიკეთის განაწილებას საზოგადოებაში, აღმოაჩინა, რომ სიკეთის 80%-ს იღებდა მოსახლეობის 20%, ხოლო დარჩენილ 20%-ს – მოსახლეობის 80%. ამ წესს **პარეტოს პრინციპი** ანუ **„პრინციპი 80/20“** ეწოდა.

პარეტოს პრინციპმა ფართო გამოყენება ჰპოვა სხვა სფეროებშიც. მისი მეშვეობით შეიძლება საქმეები და ამოცანები დავყოთ კატეგორიებად და უპირველესად ისინი შევასრულოთ, რომლებიც იძლევიან ძირითად შედეგს (80%-ს) (ნახაზი 3).



ნახაზი 3. პარეტოს პრინციპის მოქმედება

დროსთან მიმართებაში ვ. პარეტოს პრინციპი ასე შეიძლება იყოს ფორმულირებული (ცხრილი 1):[1]

1 **Само-менеджмент (под ред. В. Парахиной). М., 2012, gv. 82.**

ცხრილი 1
ვ. პარეტოს დროის პრინციპი

დროის რესურსის ხარჯი	წილი ძირითად შედეგში
1. დახარჯული დროის 80% (მეორეხარისხოვანი პრობლემები)	1. საშედეგო მაჩვენებლის 20%
2. დახარჯული დროის 20% (სასიცოცხლოდ მნიშ-ვნელოვანი პრობლემები)	2. საშედეგო მაჩვენებლის 80%

➢ მიღებულ გადაწყვეტილებათა 80% ეტევა დროის 20%-ში;

➢ სამუშაო დროის 20% უზრუნველყოფს მწარმოებლური შრომის 80%-ს;

➢ ინფორმაციის 80% მიიღება წყაროების 20%-დან.

ვ. პარეტოს მიერ შემუშავებული პრინციპის მიხედვით მეცნიერები ადამიანებს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევენ:

➢ შეეცადეთ თქვენს საქმეებში ამოარჩიოთ და უპირველესად ის 20% საქმეები შეასრულოთ, რომლებიც შედეგის 80%-ს მოგცემთ;

➢ არ იზრუნოთ ყველა მიმართულებით მაქსიმალური შედეგის მიღწევაზე, ორიენტაცია აიღეთ მხოლოდ რამდენიმეზე;

➢ ყოველდღიური, რუტინული საქმის შესრულება დაავალეთ ქვეშევრდომ სპეციალისტებს;

➢ გააკეთეთ ის საქმე, რომელიც ყველაზე უკეთ იცით და მოგწონთ კიდეც;

➢ დაისახეთ ისეთი მიზნები, რომელთა შესრულებით პრინციპი 80/20-ზე იმუშავებს თქვენთვის და არა თქვენს წინააღმდეგ.

პარეტოს პრინციპის გამოყენება შემდეგ ეტაპებად უნდა მოახდინოთ:

ნაბიჯი პირველი: თქვენი საქმეებიდან ამოარჩიეთ ის საქმეები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან შედეგის მომცემნი.

ნაბიჯი მეორე: შეადგინეთ დღის საქმეების სია და დაალაგეთ ისინი თქვენთვის სასურველი შედეგის მისაღებად მათი მნიშვნელობის მიხედვით. სიის შედგენა დაიწყეთ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმით, დანარჩენი კი განალაგეთ კლებადი მნიშვნელობის მიხედვით.

ნაბიჯი მესამე: შეამოწმეთ ყველა პრიორიტეტულ საქ-მეთა შესასრულებლად საჭირო რესურსების არსებობა.

ნაბიჯი მეოთხე: გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის საქმე-ების (ამოცანების) დროის ბიუჯეტირების წესი:

➢ „ა“ და „ბ„ კატეგორიის საქმეებზე დაგეგმეთ თქვენი დროის ბიუჯეტის 60%;

➢ დარჩენილი დროის 40%-დან 20% დაუთმეთ „დ“ კატეგორიის საქმეებს (უმნიშვნელო, მაგრამ სწრაფი საქმეები);

➢ დარჩენილი 20% დაგეგმეთ გაუთვალისწინებელ საქმეთა შესასრულებლად.

პარეტოს ამ პრინციპის გამოყენებით თქვენ სწორად დაალაგებთ თქვენს საქმეებს პრიორიტეტებად და სწრაფადაც მიაღწევთ დასახულ მიზნებს.

მეცნიერთა აზრით, დროის დაგეგმვის სირთულე დროის აღქმაში დევს. ადამიანთა უმრავლესობა დროს აღიქვამს, როგორც რაღაცა ხელშეუხებელს. ადამიანები ფიქრობენ, ქაოსი რომ მოაწესრიგო, უნდა მოაწესრიგო გარე გარემო, სივრცე და არა დრო, იმიტომ რომ სივრცე ხილულია, დრო კი არა. დროს ადამიანებში ვერც ხედავენ და ვერც ხელით ეხებიან. ადამიანებს მისი არც დაგროვება შეუძლიათ და არც ფიზიკური ადგილის შეცვლა. არადა, ადამიანებს დროში უხდეებათ ცხოვრება და საქმიანობა და ამ დროს მათ ანგარიში უნდა გაუწიონ. დრო უნდა ეყოს მათ საქმიანობას, ანდა, პირიქით, საქმიანობა უნდა ჩაეტიოს დროში.

დასკვნა

საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ და ჩვენმა პირადმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ადამიანებმა მ. შ. მენეჯერებმა აუცილებლად უნდა დაგეგმონ დრო. პირველ რიგში, ეს ეხება დღეს. მათ უნდა შეადგინონ დღის გეგმა და მაქსიმალურად მოინდომონ მისი შესრულება.

ლიტერატურა:

1. ღუდუშაური ზ., თვითმენეჯმენტი, თბ., 2015, გვ. 50.
2. Архангелский Г. и др. Тайм-менеджмент, М., 2014, gv. 111.
3. Архангельский А., Лукашенко М., и др. Тайм-менеджмент. М., 2014, gv. 177.
4. Само-менеджмент (под ред. В. Парахиной). М., 2012, gv. 82.

LITERATURE:

1. Z. Khudashauri, Self-Management. Tb. 2015, p. 50;
2. Архангелский Г. и др. Тайм-менеджмент, М., 2014, gv. 111.
3. Архангельский А., Лукашенко М., и др. Тайм-менеджмент. М., 2014, gv. 177.
4. Само-менеджмент (под ред. В. Парахиной). М., 2012, gv. 82

MANAGERS, PLAN YOUR DAY!

Elisabed Baliashvili,
Doctor of Economics,
Invited Prof. at the Department of Business and Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

The given paper with the title "Managers, plan your day!" covers the issues of time management and importance of time in managers' activities.

The article is presented in 4 parts: introduction, the efficient rule of time management, psychological obstacles when planning , The Franklin pyramid, the Eisenhower Matrix , the Pareto Principle-'80/20'.

"One task-at–a- time-method" is highlighted in the article. Franklin and Eisenhower also worked under this principle. Managers should forget about multitasking and try to complete the task they have started working with. Focusing on one task will reduce the time needed by 50% .

Key words*:* Manager's day; Day plan, Planning barriers, Plan priorities.

ციფრული ეკოსისტემის საფრთხეები

ქეთევან სიჭინავა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის, ეკონომიკისა
და ბიზნესის მართვის სკოლის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ციფრული ეკოსისტემის მნიშვნელობა და ის საფრთხეები, რომლებიც პირდაპირ და ირიბად მოქმედებენ ადამიანთა კეთილდღეობაზე. კიბერსივრცის უსაფრთხოება მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, სტატიაში აღნიშნულია ციფრული საფრთხეების შემცირების მიზნით, გლობალური და ლოკალური კიბერსაფრთხეების ტაქტიკური მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: ეკოსისტემა, კიბერსივრცე, ციფრული საფრთხეები, კიბერდანაშაული, ციფრული ემოციური ინტელექტი, კიბერშეტევის მსხვერპლი.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე. ინტერნეტ ტექნოლოგიები აფართოებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, ისე საფრთხეებს, იწვევს სოციალურ ცვლილებებს, ზრდის საზოგადოებრივ გაურკვევლობას, წარმოაჩენს სახელმწიფოს კიბერ საფრთხეებსა და მოწყვლად ადგილებს.(1)

კიბერსივრცედ მხოლოდ ინტერნეტი აღარ განიხილება, რადგან ინტერნეტში ჩართულია საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა, საგნები, აქსესუარები, ნებისმიერი ფიზიკური სივრცე. აღნიშნული მოცემულობა ნიშნავს იმას, რომ კიბერსაფრთხეები პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს არამხოლოდ ციფრულ სივრცეში, არამედ ფიზიკურ სივრცეში ადამიანთა კეთილდღე-

ობასა და ცხოვრებაზე. (2)

IBM-ის 2016 წლის კვლევის შედეგებით, გამოკვეთილია კიბერიერიშმიტანილი სფეროები, მათ შორის: **ჯანდაცვის სფერო** (ელექტრონული მედიცინის ბარათები შეიცავს ინფორმაციას მოქალაქის პირად მონაცემის, საკრედიტო ბარათის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური უზრუნველყოფის ნომრისა და სხვა იდენტიფიცირების მონაცემებს.); **მრეწველობა** (მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ტექსტილის, პარმაცევტული პროდუქციის წარმოება); **საფინანსო მომსახურება** (ბანკები, მობაილ ბანკი, საკრედიტო ბარატი, საინვესტიციო ფონდები); **სახელმწიფო მართველობა** (საჯარო მომსახურეებზე არსებული ინფორმაციის გაჟონვა, შპიონაჟი); **ტრანსპორტირება** (ავიაკომპანიის, ავტობუსის, მეტროს, რკინიგზის, საზღვაო ტრანსპორტის სფეროში არსებული ინფორმაცია). აღნიშნული დარგი ემსახურება მსოფლიო ვაჭრობას, მის გარეშე მსოფლიო ეკონომიკა ადვილად დაიშლება (3).

არსებითია, რომ პოლიტიკურად მოტივირებული კიბერდანაშაულები მიმართულია მასობროვი ქაოსის, მმართველობითი და პოლიტიკური კრიზისის შექმნის, პოლიტიკური ნდობის შემცირების, სახელმწიფო სისტემის მდგრადობის შესუსტებისკენ. თუმცა გამორიცხავს ფინანსურ სარგებელს.

ინტერნეტის უნივერსალურ სივრცეში, ყველა ქვეყნისათვის ერთნაირია კიბერსაფრთხეების ფორმები, თუმცა განსხვავებულია პრევენციის ღონისძიებები და საფრთხეების მასშტაბები.

Deloitte-ის კვლევის ანგარიშით, ინტერნეტ-გარემოს დინამიური განვითარების პარალელურად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა სახელმწიფო კიბერდაცვაც. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: ელექტრონული კომერცია ვითარდება ფიქსირებული ინეტერნეტ და მობილური მოწყობილობების გამოყენებით; საერთო დანაშაულებში, განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება კიბერდანაშაულები; ტერორიზმის მასშტაბები ფართოვდება ტექნოლოგიების საუძველზე, იზრდება ინტერნეტში ჩართული საგნების რაოდენობა, რომელიც ზრდის რო-

გორც კეთილდღეობას, ისე საფრთხეებს; წარმოჩენილია გლობალური ინტერნეტ ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობით და გლობალური გამოწვევებით (4).

სისტემის უსაფრთხოება ნიშნავს ინფორმაციის და სისტემის დაცვას შემთხვევით ან გამიზნულ არანებადართულ წვდომაზე, არანებადართულ მოდიფიკაციაზე ან ინფორმაციის განადგურებაზე (Layton, 2007). უსაფრთხოება ეხება ინფორმაციის არქიტექტურის დაცვას ქსელის ჩათვლით, მოწყობილობის და პროგრამულ უზრუნველყოფას და თვითონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (Basu, 2004). ინფორმაციის უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხობა თუ კომპიუტერული უსაფრთხოება ელექტრონული მთავრობის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ნდობის ზრდისთვის, ეფუძნება დაცვის პოლიტიკასა და სტანდარტებს, აკმაყოფილებს მოქალაქეების მოთხოვნებს, მოიცავს ქსელის უსაფრთხოებასა და დოკუმენტების დაცულობას, მოიცავს ელექტრონული ინფრასტუქტურის დაცვის მხარდაჭერას, უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებას (როგორიცაა: ციფრული ხელმოწერა და ტრანსკრიფცია მომხმარებლის იდენტობის დასაცავად, პაროლი, საკრედიტო ბარათის ნომერი, საბანკო ანგარიშები, და სხვა მსგავსი მონაცემები რომელიც გავრცელებულია ინტერნეტის მეშვეობით და ავტომატურად ინახება), რაც მნიშვნელოვანია ელ-მთავრობის სისტემის მიზნებისთვის (Feng, 2003).

კიბერსივრცის დაცვის საკითხები მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ნაციონალური თუ საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, სახელმწიფოს კიბერთავდაცვის პოლიტიკა საჭიროებს: ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას, იურისდიქციის პრობლემატიკის მოწესრიგებას, ციფრული სივრცის საერთაშორისო სამართლის კონცეფციის თეორიტიზირებას, კიბერთავდასხმის შემთხვევაში კონკრეტული ღონისძიებების გატარებას (5).

ქვეყანაში ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენის შემცირების მიზნით, გლობალური და ლოკალური კიბერსაფრ-

თხეები საჭიროებს ტაქტიკურ მიდგომებს. ასეთი მიდგომებიდან შეიძლება აღვნიშნოთ საერთაშორისო ორგანიზაცია The World Economic Forum-ის მიერ წარმოდგენილი 8 მიმართულება; **ციფრული იდენტიფიცირება**: ციფრული თანამშრომლობა, ციფრული მოქალაქეობრიობა, ციფრული მეწარმეობა; **ციფრული უფლებების დაცვა**: სიტყვის თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; **ციფრული წიგნიერება:** კომპიუტერული უნარ-ჩვევები და აზროვნება, კონტენტის შექმნა, კრიტიკული აზროვნება; **ციფრული კომუნიკაცია:** ონლაინ თანამშრომლობა, ონლაინ კომუნიკაცია, ციფრული „ნაკვალევი"; **ციფრული უსაფრთხოება:** უსაფრთხოების კოდების დაცვა, ინტერნეტ უსაფრთხოება, მობილური უსაფრთხოება; **ციფრული დაცვა:** კონტენტის რისკი, სამომხმარებლო რისკი; **ციფრული მოხმარება**: კომპიუტერთან მუშაობის დრო, საზოგადოებოების ჩართულობა, ციფრული კეთილდღეობა და ჯანმრთელობა; **ციფრული ემოციური ინტელექტი:** სოციალურ და ემოციური ცნობიერების ამაღლება, ემოციების რეგულირება / მართვა, ემპატია(6).

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება არის კრიტიკული გამოწვევა ელ-მთავრობის იმპლემენტაციის დროს მოქალაქესთან მიმართებაში (OECD, 2003). კონფიდენციალურობა ეხება შესაბამის დაცვის დონეს ინდივიდის ინფორმაციასთან დაკავშირებით(Basu, 2004). სახელმწიფოს აქვს ვალდებულება რომ უზრუნველყოს მოქალაქეების უფლება პირადი ინპორმაციასთან დაკავშირებით, მხოლოდ ლეგიტიმური გამოყენებისთვის გროვდება და იმართება პერსონალური მონაცემები (Sharma & Gupta, 2003). საიტის გატეხვაზე ღელვა, ინფორმაციის გაზიარება, პირადი ინფორმაციის გამომჟღავნება უნივერსალურად ხშირია. ასევე შიშობენ რომ ელ-მთავრობა თვითონაც გამოიყენებს პირად იმფორმაციას მოქალაქეების დაკვირვების მიზნით და შეიჭრან მათ პირადში. Seifert (2003)-ის მიხედვით ელ-მთავრობას უნდა მოეთხოვებოდეს ინდივიდის პირადი სივრცის დაცვა. ტექნიკური და საკანონმდებლო პოლიტიკის გამოყენება შეიძლება გახდეს საჭირო ამ საკითხთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, საჭიროა პასუხი გაეცეს ეფექტურად პირად საკითხებს იმისათვის რომ მოქალაქის თავდაჯერებულობა გაიზარდოს სახელმწიფო სერვისების გამოყენებისას. მოქალაქის დარწმუნება იმაში რომ სახელმწიფო კეთილსინდისიერად იყენებს მის პირად მონაცემებს და არის ფრთხილი მათი გამოყენებისას არის ძალიან მნიშვნელოვანი ელ-მთავრობის აპლიკაციებისთვის. Basu-მ (2004) აღნიშნა რომ განვითარებად ქვეყნებში ადამიანები იმდენად შეშფოთებულები არიან ამ საკითხით, რომ ისინი უარს ამბობენ ელ-მთავრობის შესაძლებლობებზე. წესდებამ უნდა დააკონკრეტოს რომ მოქალაქეების უფლება პირად ინფორმაციაზე და მანდატი ამ ინფორმაციის გამოყენებაზე იქნება მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის (Teeter & Hart, 2003).

უსაფრთხოება მნიშვნელოვანია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის საქმიანობისათვის. იგი გამოიყენება ელექტრონული მმართველობის ან ელექტრონული საქმისწარმოების მიზნებისათვის. ასევე, ამ პროცესებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად.

კიბერდანაშაული საქართველოში ყოველდღიურად მატულობს, სამინისტროს მიერ დაფიქსირებული კიბერდანაშაულების რიცხვმა 2014 წელთან შედარებით, 2015 წლის იანვარ - აგვისტოს მდგომარეობით 11,11% - ით მოიმატა. რაც შეეხება კიბერდანაშაულის გახსნას, 2014 წელს გახსნის მაჩვენებელმა შეადგინა 59,26%, როცა 2015 წლის იანვარ - აგვისტოს მდგომარეობით ის შეადგენს 34,44%. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 2008 – 2014 წლებში განხორციელებული კიბერშეტევების დიდი რაოდენობა მოდიოდა რუსეთზე (FirEye, 2014), რომლის დროსაც სისტემატურად ხორციელდებოდა კიბერშეტევა შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე კავკასიის თემაზე მომუშავე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ვებ - გვერდებზე (7).

2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს, საქართველო გახდა კიბერ შეტევების მსხვერპლი, რომელთა მოსაგერიებლად საქართველო მოუმზადებელი იყო. 2012 წელს აღმოჩ-

ნდა, რომ სამთავრობო უწყებების კომპიუტერებიდან ინფომაციას რამდენიმე წლის განმავლობაში ინფორმაციას იპარავდა Georbot მავნე პროგრამა. 2015 წელს კი ცნობილი გახდა, რომ ისევ სამთავრობო ორგანიზაციების ქსელებიდან ინფორმაციას იპარავდა APT28. სამივე შემთხვევაში შეტევები ირიბად რუსულ კიბერ დანაშაულებრივ ჯგუფებს უკავშირდება(8).

2015 წელს რუსეთის აქტიურობა საქართველოს კიბერ სივრცეში ნაკლებად შეინიშნებოდა, მათი მხრიდან შემოღწევა ოფიციალურად არ დაფიქსირებულა. თუმცა 2016 წლის 21 – 25 მაისს ქართულ საფინანსო ორგანიზაციებზე განხორციელდა მასიური DDoS შეტევა. სულ შეტევაში მონაწილეობდა 300 000-მდე უნიკალური IP მისამართი 160-ზე მეტი ქვეყნიდან. შეტევის მასშტაბიდან, მომზადების ხარისხიდან და რეგიონისადმი გეოპოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული შეტევის უკან რუსეთთან დაკავშირებული ჰაკერული ჯგუფი იდგა. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ მასშტაბური შეტევა არ იყო ორიენტირებული ფინანსურ ზარალზე, დიდი ალბათობით, იგი მიზნად ისახავდა ყურადღების გადატანას სხვა, შესაძლოა უფრო მეტად ზიანის მომტანი შეტევისაგან. 2015 წელს საქართველოს კიბერსივრცეში არასანქცირებული შეტევებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ინციდენტები(9):

19 იანვარს მოხდა კიბერ თავდასხმა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე;

2 თებერვალს მოხდა მასობრივი კიბერშეტევა ელექტრონულ ფოსტებზე. კერძოდ, ინტერნეტში გავრცელდა ახალი კომპიუტერული ვირუსი, რომელიც სხვადასხვა ენებზე აგზავნის ელექტრონულ წერილებს, მათ შორის ქართულ ენაზეც. ვირუსი მსხვერპლს 96 საათს აძლევს, რათა გადარიცხოს კონკრეტული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაილები სამუდამოდ განადგურდება;

5 თებერვალს განხორციელდა კიბერ შეტევა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

წლის პირველ ნახევარში განხორციელდა რამდენიმე კიბერ

შეტევა საქართველოს სოფლის მეურნეობის ვებ - გვერდზე.

კვლევები ადასტურებს, რომ გლობალურ და ლოკალურ სივრცეში, კიბერთავდასხმებთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის აღიარებული მეთოდებია: პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება; ბიზნეს უწყვეტობისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, სამივე სექტორის კოორდინირებული კიბერაქტივობა; სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება; კადრების მომზადება; ტექნიკური უსაფრთხოების შეფასება და მონიტორინგი (10).

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მართვის სრულყოფისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ავიცილოთ უამრავი გაუთვალისწინებელი ხარჯები და მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი, აუცილებელია: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და პერიოდულად გაუმჯობესება(11).

ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების სფეროში გასათვალისწინებელია საერთაშორისო დონეზე არსებული მთავარ სუბიექტის ევროკავშირის კომისიის პროექტები და სტრატეგიები, სამეცნიერო კვლევითი პროექტები და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: ევროკავშირის კომისიის დაკვეთით, ელექტრონული კავშირის ინფრასტრუქტურის შეღწევადობისა და საიმედოობის პრობლემების კვლევების ჩატარება (ARECI); პროექტი „კრიტიკული ინფრასტრუქტურის საფრთხეების შეტყობინების ინფორმაციული ქსელი“ (CIWIN); ქსელური და ინფორმაციული უსაფრთხოების ევროპული სააგენტოს (ENISA) პროექტი ელექტრონული ქსელების უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა; ტელემეტრიის ტრანსევროპული სამთავრობოთაშორისო სამსახური (TESTA) (ეს არის სამთავრობო თაშორისო კავშირის ქსელი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში. ის არ არის ჩართული ინტერნეტ - სივრცეში და სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირებს ერთმანეთთან ურთიერთობისას, ინფორმაციის დაზიანებისა და გადინების თავიდან აცილების საშუალებას აძლევს); ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიე-

ბი (პროექტები FP6 და FP7); უსაფრთხოების პრობლემების ევროპული სამეცნიერო - კვლევითი პროგრამა (ESRP); კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის პრობლემების სამეცნიერო - კვლევითი საკოორდინაციო პროექტი (CI2RCO); ინფრასტრუქტურისა და პროექტირების არქიტექტურა; მონაცემთა დაცვის დირექტივა (1995 წელი); ელექტრონული ხელმოწერის დირექტივა (1999 წელი); ელექტრონულ კავშირების სფეროში კონფიდენციალობის დაცვის დირექტივა (2002 წელი); ჩარჩო დირექტივა (2002 წელი); ინფორმაციულ სისტემებზე შეტევის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება (2005 წელი); მონაცემთა შენახვის დირექტივა (2006 წელი)(12).

უსაფრთხოების ზრდის მიზნით საჭიროა ხალხის განათლება, პირადი პაროლების გამოყენება, საზოგადოების მიერ თავდაცვის უზრუნველყოფა. Cohen & Emicke (2002) აღნიშნავს, რომ სანამ უსაფრთხოება იქნება ელ-მთავრობისთვის დაბრკოლება, არ ექნება დიდი გავლენა მის პროგრესზე, რადგან საზოგადიება ისწავლის იმუშაოს და მიიღოს პერიოდულიად შეცდომები. ასევე ახსენეს სამი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც აქვს გავლენა უსაფრთხოების დაცვაზე. პირველი მოიცავს მუდმივ გამოსწორებას და განახლებას, რათა ეცადოს სისტემა კრიმინალებზე წინ იყოს. მეორე არის ის რომ, უსაფრთხოება იყოს ხილული და შეუღწეველი კრიმინალებისთვის. ბოლოს კი, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ არც ერთი უსაფრთხოების სისტემა არ არის სრულყოფილი და ყველა შეიძლება იყოს დაძლეული. თუმცა, სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლების პასუხისმგებელნი არიან პირადი ინფორმაციის შეგროვებაზე, შენახვაზე და დისტრიბუციაზე, უნდა გაითვალისწინონ მეთოდები პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებისთვის როგორც შეგროვებული ინფორმაციისთვის, ასევე მათი საიტებისთვისაც. შესაბამისად, ჯგუფი უსაფრთხოების პროფესიონალების უნდა იყოს მზად რათა უპასუხოს მყისიერად საფრთხეებს და დაზიანებებს. ასევე ხელისუფლებისთვის და ინფრასტრუქტურის შიფრირებული სისტება ქონა უნდა იყოს უპირველესი პრიორიტეტი (Feng, 2003).

დასკვნა

ამრიგად, ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის როგორც საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს, ასევე იმ საფრთხეებსაც, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა კეთილდღეობაზე. ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების სფეროში გასათვალისწინებელია საერთაშორისო დონეზე არსებული ევროკავშირის კომისიის პროექტები და სტრატეგიები, სამეცნიერო კვლევითი პროექტები და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა. უსაფრთხოების ზრდის მიზნით საჭიროა ხალხის განათლების ამაღლება, პირადი პაროლების გამოყენება, საზოგადოების მიერ თავდაცვის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე რ. ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენა. მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 ,,ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტი, ეკონომიკური განვითარების და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. № 3 . 14-15 ოქტომბერი, 2016. თბილისი, საქართველო. გვ.58-62;

2. https://www.weforum.org/agenda/2015/09/video-how-should-we-govern-cyberspace/?utm_content=buffer6e063&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer;

3. http://www-01.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?subtype=WH&infotype=SA&htmlfid=SEW03133USEN&attachment-=SEW03133USEN.PDF;

4. Deloitte. Cyber opportunity analysis report 2016 Positioned to lead. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ie/Documents/Risk/IE_ERS_CyberAnalysisReport.pdf;

5. აბულაძე რ. ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენა. მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 ,,ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, საინჟინრო--ეკონომიკის დეპარტამენტი, ეკონომიკური განვითარების და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. № 3 . 14-15 ოქტომბერი, 2016. თბილისი, საქართველო. გვ.58-62;

6. https://www.weforum.org/agenda/2016/06/8-digital-skills-we-must-teach-our-children?utm_content=bufferd8a7f&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer;

7. Internet Development Initiative - IDI 1 ახალი გამოწვევა საქართველოს ინტერნეტ სივრცისთვის. http://indein.net/wp-content/uploads/2015/09/New-Challenges-for-Georgian-Cyber-Space.pdf;

8. კავკასუს ონლაინის გაყიდვასათან დაკავშირებული საფრთხეები. 8 იანვარი. 2016. https://www.cyberhouse.ge/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90/N.WNN1DdKGPIU;

9. Internet Development Initiative - IDI 1 ახალი გამოწვევა საქართველოს ინტერნეტ სივრცისთვის. http://indein.net/wp-content/uploads/2015/09/New-Challenges-for-Georgian-Cyber-Space.pdf;

10. http://www.emrisk.com/knowledge-center/newsletters/cyber-terrorism-emerging-threat;

11. სიჭინავა დ., გოგნაძე თ. ინფორმაციული უსაფრთხოება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია _ IEC-2015` ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ. ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი. N4. 2015;

12. სვანიძე ვ. კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები (კრებული) . საერთაშორისო და რეგიონალური დონის ღონისძიებები მიმართული კიბერსივრცის დაცვაზე . დეკემბერი, 2014 წელი. https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf

REFERENCES:

1. Abuladze R. Economic Impact of Digital Threats. Tbilisi, 2016. (in Georgian language)

2. https://www.weforum.org/agenda/2015/09/video-how-should-we-govern-cyberspace/?utm_content=buffer6e063&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer;

3. http://www-01.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?subtype=WH&infotype=SA&htmlfid=SEW03133USEN&attachment=SEW03133USEN.PDF;

4. Deloitte. Cyber opportunity analysis reports , 2016. Positioned to lead. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ie/Documents/Risk/IE_ERS_CyberAnalysisReport.pdf;

5. Abuladze R. Economic Impact of Digital Threats. Tbilisi, 2016. (in Georgian language)

6. https://www.weforum.org/agenda/2016/06/8-digital-skills-we-must-teach-our-children?utm_content=bufferd8a7f&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer;

7. Internet Development Initiative - IDI 1. http://indein.net/wp-content/uploads/2015/09/New-Challenges-for-Georgian-Cyber-Space.pdf;

8. Caucasus Online, Sale Threats , 2016. (in Georgian language) https://www.cyberhouse.ge/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90/N.WNN1DdKGPIU;

9. Internet Development Initiative - IDI 1 http://indein.net/wp-

content/uploads/2015/09/New-Challenges-for-Georgian-Cyber-Space.pdf;

10. http://www.emrisk.com/knowledge-center/newsletters/cyber-terrorism-emerging-threat;

11. Sichinava D. , Gognadze T. Information security in educational institutions . IEC-2015`(in Georgian language)

12. Svanidze V. Cyberspace and cyber security challenges. 2014. (in Georgian language) https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf.

THREATS OF DIGITAL ECOSYSTEM

Ketevan Sichinava
PhD Student
St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia

RESUME

The article discusses the significance of the digital ecosystem and the threats that directly and indirectly affect human wellbeing. Cyberspace security raises the significant challenges on national and international level. Therefore, in view of reducing the digital threats, the article highlights the tactical approaches to both, global and local cyber threats.

Key words: Ecosystem, Cyber Space, Digital Threats, Cyber Crime, Digital Emotional Intellect, Cyber attack victims.

პერსონალის შერჩევა თანამედროვე ბიზნესის მართვის პროცესში

მანანა სამადაშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გობეჯიშვილი
სტუ აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

პერსონალის მართვის დეპარტამენტს დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა აკისრია თანამედროვე ბიზნესის ეფექტურად მართვაში. ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა დიდადაა დამოკიდებული მასში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციასა და ძალისხმევაზე. ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანების მართვა ხომ ხელოვნებაა. ყოველი პიროვნება თავისი სულიერებით, გრძნობებით და პიროვნული მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების პროცესს.

ორგანიზაციაში პერსონალის წარმატებული დაქირავების 6 საფეხურის (დაგეგმვა, მოზიდვა, შერჩევა, ინტერვიუ, შემოწმება და დახურვა) სწორად განსაზღვრა და შესრულება, რომელიც დამოკიდებულია ადამიანური რესურსის მენეჯმენტის და პერსონალის შერჩევის ძირეული პრინციპების ცოდნაზე, შედეგად გამოიწვევს მაღალკვალიფიციური და მოქნილი პერსონალის აყვანას სამუშაოზე.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პერსონალის შერჩევა, ინტერვიუ, პერსონალის მოზიდვა, ტესტირების უარყოფითი მხარეები, ტესტირების უპირატესობა, ინტერვიუს ტიპები, შერჩევის მეთოდები).

შესავალი

ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალი წარმოადგენს ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ კაპიტალს. ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას და მის ეფექტურად მუშაობას გა-

ნაპირობებს ორგანიზაციაში მომუშავე ყოველი თანამშრომელის მუშაობა, როგორც ცალ-ცალკე, ასევე მათი ერთობლივი საქმიანობა. ᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ შესაბამისი სამუშაოსათვის სასურველი პერსონალის შერჩევა წარმოადგენს საკმაოდ რთულ და შრომატევად პროცესს.

დაშვებული შეცდომები, რომელიც პერსონალის შერჩევის პროცესში შეიძლება მოხდეს, გამოიწვევს საკმაოდ სერიოზულ უარყოფით შედეგებს:

- პერსონალის დენადობას;
- პერსონალის მიერ დისციპლინის დარღვევას;
- პერსონალის მიერ სამუშაოსადმი უპასუხისმგებლობას;
- პერსონალის მიერ სამუშაო დროის არაეფექტიან გამოყენებას;
- პერსონალის მიერ არაკვალიფიციურ მუშაობას;
- ორგანიზაციაში არაჯანსაღი სამუშაო კლიმატის შექმნას

სელექციის პროცესის დასარეგულირებლად და პერსონალის დაქირავების პროცესში ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, რომელიც თავს იჩენს პერსონალის დაქირავების პროცესში, სასურველია თავი ავარიდოთ არასასურველი აპლიკანტების მიღებას. შესაბამისად უნდა განისაზღვროს სამუშაოს მოთხოვნები (შესაბამის თანამდებობაზე მისაღები კანდიდატების ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, ცოდნა, უნარები და ა.შ.).

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

პერსონალის აყვანა-დაქირავების პროცესი შედგება ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისაგან:

1. დაგეგმვა (შესათავაზებელი თანამდებობების და მათზე კვალიფიციური პერსონალის სათანადო რაოდენობის დადგენა);
2. სტრატეგიის შეთავაზება;
3. ძიება (შიდა და გარე რესურსების მოძიება);
4. შერჩევა (კვალიფიციური, კეთილსინდისიერი, პერსონალის შერჩევა);
5. შეფასება და კონტროლი (პერსონალის სამუშაოს შეფასება და მისი მუშაობის კონტროლი).

სამუშაოს ანალიზის საფუძველზე ხდება საკვალიფიკაციო

მოთხოვნების ჩამოყალიბება. სამუშაოსა და ინდივიდის შესაძლებლობების შესაბამისობის პროცესში მნიშვნელოვანია პერსონალის ინტელექტუალურობის, კომუნიკაბელურობის, ხასიათის ტემპერამენტის, ემოციურობის, მოტივაციის, შესაბამისობის დადგენა ორგანიზაციაში სამუშაო მოთხოვნებსა და ორგანიზაციის ფასეულობებთან. პერსონალის შერჩევის მიზანია ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობებისათვის შესაბამისი და საუკეთესო პერსონალის შერჩევა.

სელექციის პროცედურის შედეგების სამუშაოს შესრულებასთან შესატყვისობას ვალიდობა ეწოდება, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მენეჯერისათვის. შერჩევის პროცედურის გავლის შემდგომ პერსონალის შესრულებული სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს მაღალ სტანდარტებს.

სელექციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს სამუშაოსადმი შესატყვისობა. მისი გაზრდა შესაძლებელია სამუშაოს დეტალური ანალიზის შედეგად სამუშაოს დეტალური, მისთვის მნიშვნელოვანი და ძირითადი უნარების სიღრმისეული დადგენა.

პერსონალის შერჩევაში გამოიყენება აპლიკაციური მეთოდი, ტესტური მეთოდი და ინტერვიუს მეთოდი.

ხშირად გამოყენებადი და საკმაოდ ეფექტური სელექციური მეთოდია ინტერვიუ. სელექციური პროცედურა შედგება ორი ეტაპისაგან. პირველ ინტერვიუს ატარებს პერსონალის მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი, ხოლო მეორე ინტერვიუს სუპერვიზორი. ‍ინტერვიუს პროცესში ინტერვიუერი ფლობს აპლიკანტის შესახებ ყველანაირ ინფორმაციას: სააპლიკაციო ფორმას, წინა ინტერვიუს შედეგებს, ტესტის მაჩვენებელს და სხვა დამატებით ინფორმაციას.

ინტერვიუერს აქვს შესაძლებლობა შეაფასოს აპლიკანტი პრეზენტაცია-თვითწარდგენის, მანერების, ემოციური სტაბილობის, ატიტუდების, მოტივაციების, განათლების, წინა სამუშაო გამოცდილების, ასევე აპლიკანტის ინტერესების მიხედვით. მას ეძლევა საშუალება დაადგინოს აპლიკანტის შესაბამისობა ორგანიზაციაში არსებული ორგანიზაციული კულტურისადმი.

ინტერვიუ არის ორ ადამიანს შორის გარკვეული მიზნით წარმართული დიალოგი.

ორგანიზაციაში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინტერვიუს რამდენიმე ტიპი:

• შეფასებითი, რომელიც წარმოებს სუპერვიზორსა და დაქვემდებარებულს შორის;
• კონსულტაციური;
• შენიშვნების;
• მონაცემთა შეგროვების;
• სამუშაოს ანალიზის.

ინტერვიუს მთავარ ნაკლს წარმოადგენს:

▪ სუბიექტურობა. რამდენიმე ინტერვიუერმა რადიკალურად განსხვავებულად შეიძლება შეაფასოს ერთი და იგივე პერსონალი პირადი სუბიექტურობის გამო;

▪ პერსონალის არაბუნებრივი ქცევა. პერსონალი ცდილობს კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს ინტერვიუერზე

ინტერვიუ შეიძლება იყოს:

1. წინასწარ დაგეგმილი. ინტერვიუერის მიერ ხდება პერსონალის შესახებ წინასწარ შერჩეული სრული და ღირებული ინფორმაციის მოპოვება იმ სფეროში, რომელიც პერსონალის მიერ მომავალში სამუშაოს წარმატებულ შესრულებაში გამოიხატება

2. სტანდარტიზებული ინტერვიუ — ის წარმოადგენს სტრუქტურირებულ ფორმას და ეფუძნება კითხვარს;

3. სტრესული ინტერვიუ — მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა შემუშავებული და გამოყენებული აშშ-ში. მისი მიზანი იყო ხელოვნურად შექმნილ მძაფრ სიტუაციაში ისეთი პიროვნებების გამოვლენა, რომლებიც სტრესულ სიტუაციაში შეინარჩუნებდნენ ემოციურ სიმშვიდეს და საკუთარ ქცევაზე კონტროლს;

4. ჯგუფური ინტერვიუ. მასში მონაწილეობს და გადაწყვეტილებას იღებს რამდენიმე ინტერვიუერი, რომლებიც წინასწარ ეცნობიან პერსონალის შესახებ სრულ ინფორმაციას. მათ უნდა შეარჩიონ და გადაწყვიტონ პერსონალის მოღვაწეობის რომელი სფერო წარმოადგენს მთავარ და ძლიერ სფეროს მის პროფესიონალურ საქმიანობაში. ინტერვიუს შემდეგ ხდება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება.

დასკვნა

სელექციის პროცედურის შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგ საკითხებზე ამომწურავი პასუხების მიღების შედეგად:

- პოლიტიკა სელექციის შესახებ უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული;
- ორგანიზაციაში დადგენილი სამუშაო სტანდარტები და პროგრამა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული;
- დადგინდეს მისაღები შესარჩევი კანდიდატების საკმარისი რაოდენობა და მათი პროფესიული უნარ-ჩვევები;
- სელექციის პროცესში მისაღებ პერსონალზე დანახარჯის დაანგარიშება;
- სამუშაოზე აყვანილი პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხი;
- პერსონალის სელექციის შედეგად სასურველი შედეგის მიღება.

პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი კომპანიის მიზნებს, იზიარებდეს მის პოლიტიკას, უნდა იყოს მოქნილი და შორსმჭვრეტელი თავის გადაწყვეტილებებში და ქმედებებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არმსტრონგი მ. «ადამიანური რესურსების მართვა», თბილისი 2002. ჩგვ. 601

2. კუტალაძე ი. «ადამიანური რეურსების მენეჯმენტი». თბილისი:შ.პ.ს «არადანი», 1999, გვ. 443

3. პაიჭაძე ნ. «პერსონალის მართვა», თბილისი: თსუ. 2003, გვ. 463

4. Beardwell J. and Claydon T. «Human Resource Management». UK: Prentice hall 2007, p. 694.

REFERENCES

1. Armstrong M. «Human Resource Management Practice», Tbilisi, 2002.p.601(in Georgian language)

2. Kutaladze I. «Human Resource Management», Tbilisi: Ltd «Aradani», 1999, p.443 (in Georgian language)

3. Paichadze N. «Personnel Management», Tbilisi, TSU., 2003, p. 463(in Georgian language)

4. Beardwell J. and Claydon T. «Human Resource Management». UK: Prenticehall 2007, p. 694.

SELECTION OF PERSONNEL IN MODERN BUSINESS MANAGEMENT

Manana Samadashvili
Associate Professor,GTU
Ekaterine Gobejishvili
Academic Doctor,GTU

RESUME

Personnel management department has got the great responsibility and duties in modern business effective management. The successful work of the organization greatly depends on the staff's qualification and effort. Personnel management is a real art. Each person with his/her own spirituality, feelings and personal characteristics differs from each other. Thus, forming appropriate staff in an organization is extremely important. The correct (right) definition and execution of 6 levels (planning, attraction, selection, interview, checking and closure (completion) are the main principles of human resources management and personnel selection. As a result the organisation will employ the highly qualified personnel.

Key words: Human Resources management, personnel selection, interview, personell, Characteritics of international personnel management, Competence of international managers, Manager's development, Personal selection, Policy of international employment and development.

ჩინეთის გეოეკონომიკური პოტენციალი

ირაკლი პაჭკორია, მარი ლეკიშვილი,
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

გლობალიზაციისა და ეკონომიკური დეტერმინიზმის განვითარებასთან ერთად საერთაშორისო დღის წესრიგში სამხედრო ძლიერების კომპონენტი უკანა პლანზე არის გადაწეული. ამ რეალობამ ჩინეთს მისცა საშუალება მსოფლიოს ყველა რეგიონში მოეხდინა საკუთარი გეოეკონომიკური ინტერესების რეალიზება. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს ჩინეთის გეოეკონომიკური ვექტორის შესწავლა, რათა წარმოჩინდეს ჩინეთის, როგორც მსოფლიოს ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური „პოლუსის“ ინტერესები როგორც სახელმწიფოებრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. ამასთან ერთად კვლევის პროცესი ხელს შეუწყობს სხვადასხვა გეოეკონომიკური თეორიის განვითარებას. ჩინეთის ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან განსაკუთრებით ბოლო ორი დეკადის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა. ჩინეთი მსოფლიოს ბაზრებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ექსპორტიორ სახელმწიფოს წარმოადგენს. ასევე განუხრელად იზრდება ჩინური ინვესტიციების რაოდენობა. მიმდინარე პროცესები კი ნათლად ასახავს ჩინეთის მზაობას მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე დომინირების მოპოვებისათვის. აქედან გამომდინარე, კვლევა აანალიზებს ჩინეთის გეოეკონომიკური სტრატეგიის შემდგომ პერსპექტივებს. სხვადასხვა რეგიონში გეოეკონომიკური ურთიერთობების წარმოება ჩინეთის გავლენის სფეროს გაფართოებას ემსახურება. ეს მოვლენა კი შეიძლება აშშ-ის გეოეკონომიკურ კოლიზიაში გამოწვევად იქნას აღქმული.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთის გეოეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკური ექსპანსია, ძალთა ბალანსი

შესავალი

ინტერნაციონალური ურთიერთობების პირობებში ჩინეთის მმართველი ძალები მსოფლიოს გეოპოლიტიკური კონკურენციისა და ზესახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის მიხედვით უყურებენ. ამავდროულად, ჩინეთის ეკონომიკური აღმასვლის პროცესი და მისი საშუალებით სახელმწიფოთა მიმხრობის პოლიტიკა ახალ გეოეკონომიკურ სტრატეგიას წარმოაჩენს მის საგარეო პოლიტიკურ კურსში. (ტაბულა, 2010) პეკინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს, რაც ფ.ლისტის წინასწარმეტყველებისა არ იყოს, დღეს ეფექტურობის თვალსაზრისით მხოლოდ ეკონომიკური ძალის რეალიზებით არის შესაძლებელი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს მასშტაბით უფრო და უფრო მნიშვნელოვანი აქტორი ხდება არა მარტო ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში, არამედ ფინანსურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ დარგებში.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გლობალურმა ეკონომიკამ ღრმა ცვლილები გამოიარა. ამასთან ერთად მზარდი ეკონომიკის გახსნილობისა და მასიური საინვესტიციო ნაკადების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ეკონიმიკურ ცენტრებში პროდუქციასა და კომერციაზე რეორიენტარიზაციის პროცესია. დაახლოებით 1980-იანი წლებიდან წყნარი ოკეანის სანაპიროებზე განლაგებული ქვეყნების ეკონომიკები განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება, რაც თვალნათლივ ჩანს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მაგალითზე, რომლებმაც გარკვეულწილად შეძლეს სიღარიბის აღმოფხვრა და საშუალო ფენების წამოწევა გლობალური მასშტაბით. ამის ნათელი მაგალითია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა: 1.4 მილიარდი მოსახლეობის მქონე სახელმწიფომ შეძლო 1980-2012 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყოველწლიური ტემპის შენარჩუნება საშუალოდ 9.5%-ის ოდენობით (WDI, 2013). ჩინეთი გახდა წამყვანი ექსპორტიორი ქვეყანა და უფრო დიდი იმპორტიორი ბაზარი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის: 2000-2016 წლებში ჩინურმა იმპორტმა გლობალური იმპორტის 14,8% შეადგინა. ამასთან ერთად ჩინური კაპიტალი წარმოადგენს მესამე უმსხვილეს პირდაპირ ინვესტორს მსოფლიო მასშტაბით ა.შ.შ-სა და იაპონიის შემდეგ. ჩინეთის მზარდმა როლმა საერთაშორისო დღის წესრიგში განაპირობა მისი ტრანსფორმაცია რეგიონული მოთამაშიდან გლობალურ მოთამაშემდე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩინური ბაზარი აქტიურად იყენებს შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის წარმოების თვალსაზრისით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჩინეთის გეოეკონომიკური სტრატეგია მკვეთრად მიმართულია მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრების ათვისებისაკენ, ხოლო ამ ბაზრებისათვის კი, ხშირ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ფინანსების მოზიდვის უმთავრეს წყაროს (Gallagher, Irwin and Koleski, 2013). ეს ყველაფერი კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც მზადება მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის, სადაც ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ პოლუსად ჩინეთი მოიაზრება. ამ მიზნით კი, ჩინეთის სტრატეგია გამართლებულია, რადგან დღევანდელ მსოფლოში კონკურენციის გაწევის გეოპოლიტიკური ხერხები გეოეკონომიკური ხერხებითაა ჩანაცვლებული, რაც თავისთავად გულისხმობს კონფლიქტის არსის შეიარაღებული დაპირისპირებიდან ბიზნესისა და კომერციის სფეროში გადანაცვლებას (კვინიკაძე, 2016).

აღნიშნულ რეალობას კი, საკუთრივ, ჩინეთისა და ა.შ.შ-ის ინტერესის სფეროების თანაკვეთასთან მივყავართ. ამას ერთვის ისიც, რომ ჩინეთი სულ უფრო მეტად ირჩევს აგრესიულ სტრატეგიას საერთაშორისო პოლიტიკაში. მას უკვე გაურთულდა ურთიერთობები მეზობლებთან (სხვა ქვეყნებთან ტერიტორიული პრეტენზიების გამო). ბოლო წლებში ეკონომიკის და გეოეკონომიკის სფეროებში ის უფრო ხშირად შედის

კონკურენტულ ურთიერთობაში ა.შ.შ-თან. 2008 წლიდან ჩინეთის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ჩინეთის როლი, რისი პროვოცირებაც მოახდინა ამ დროს დასავლეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ერთი შეხედვით თითქოს დაამტკიცა ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის (პეკინის კონსენსუსი) მართებულობა. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კონფლიქტი ა.შ.შ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, რასაც, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, ახალი მოკავშირეების შეძენას (Luttwak,2012).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეისათვის ჩინეთმა მოახერხა გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატიის ფორმირება. იმავდროულად, დაიწყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. ჩინეთის ლიდერებს უჭირთ არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სამხედრო ძლიერების ზრდას შორის. ამავდროულად საერთაშორისო სისტემის სხვა ძლიერ აქტორებს უჩნდებათ საფრთხის შეგრძნება ჩინეთის მიერ მოკავშირეებთან პოლიტიკური „ბლოკის“ შექმნისა. მსოფლიოს გეოეკონომიკური (არა მარტო) უსაფრთხოების თვალსაზრისით დასავლეთისათვის ძალზედ უარყოფითი შედეგი ექნება, თუ ამერიკისა და აზიის ქვეყნების ინტეგრაცია არა იაპონიის ან ა.შ.შ-ის, არამედ ჩინეთის გარშემო მოხდება. თუმცა, მოვლენების ბოლო სცენარით განვითარება საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მსოფლიო შეშინებულია ჩინეთის მზარდი სამხედრო ძლიერებით (მათ შორის მძლავრი სამხედრო საზღვაო ფლოტის მშენებლობა), რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საყოველთაო შეიარაღების პრეცედენტს ბადებს. აღნიშნულის გამო, როგორც ცნობილია, ჩინეთის წინააღმდეგ ინდოეთი, იაპონია, ვიეტნამი, ტაივანი და სამხრეთი კორეა ქმნიან კოალიციას. ამ კოალიციას მთლიანობაში მეტი ადამიანი, ტექნოლოგია და ფული აქვს, ვიდრე ჩინეთს. ჩინეთის გეოეკონომიკური უპირატესობა კი

ისაა, რომ მან მომავალი კოალიციის ქვეყნებთან შედარებით (ბუნებრივია აქ არ ვგულისხმობთ ა.შ.შ-ს და იაპონიას) გაცილებით უკეთ აითვისა ახალი გეოეკონომიკური თამაშების წარმართვის ტაქტიკა, რაც გეოპოლიტიკური სივრცის ეკონომიკის ჩარჩოებში რეალიზაციასა და რეაბილიტაციაში ეხმარება.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ჩინეთის თანამედროვე გეოეკონომიკურ პოტენციალზე სასარგებლოა იმ მაჩვენებლების ანალიზი, რომელიც მეტნაკლებად ახასიათებს მის გეოეკონომიკურ შესაძლებლობებს:

ინდექსები	ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში	კორუფციის აღქმა	გლობალური კონკურენტუნარიანობა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ეკონომიკური თავისუფლება	გაანთლების დონე	ინოვაციები	ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების ინდექსი	სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში	მოიტარიზაციის ინდექსი	$ მშპ
ჩინეთი	61	79	28	5	144	91	25	81	30-40%	91	$11,218,281 მლნ

1.The global enabling trade report (2016): http://www3.weforum.org/docs/WEF_GETR_2016_report.pdf ; 2. Corruption perceptions index (2016) www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016 ; 3. The global competitiveness report (2015-2016) http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf; 4. Foreign direct investment (2016) www.datacatalog.worldbank.org/ 5. Index of economic free-

dom (2016) http://www.heritage.org/index/pdf/2016/book/index_2016.pdf 6. Education index (2016) http://hdr.undp.org/en/content/education-index ; 7. The global innovation index (2016) www.globalinnovationindex.org/gii-2016-report# ; 8. ICT development index (2016) http://www.itu.int/net4/ITU-D/idi/2016/ ; 9. http://blogs.worldbank.org/eastasiapacific/state-owned-enterprises-in-china-how-big-are-they ; 10. Global militarization index (2016) www.bicc.de/uploads/tx_bicctools/GMI_2016_e_2016_01_12.pdf ; 11. GDP Rankings (2016) http://statisticstimes.com/economy/projected-world-gdp-ranking.php

წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ქვეყნის ადგილი სხვადასხვა ინდექსების რეიტინგებში არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში როგორიცაა კორუფციის აღქმა, ეკონომიკური თავისუფლება და ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი რეალობა კი რომელსაც ეს ცხრილი ასახავს არის ქვეყანაში განათლების ძალიან დაბალი დონე. იმისათვის თუ ჩინეთს სურს გეოეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია განათლების დონე კონკურენტუნარიანი უნდა იყოს გლობალურ დონეზე, რადგან დღეს გეოეკონომიკურად აქტიურ ქვეყნებში ინტელექტი მთავარი საწარმოო ძალა ხდება. ეს ნიშნავს, რომ მთავარი გეოეკონომიკური ინსტრუმენტი ხდება ინვესტიცია ეროვნულ ინტელექტში, საუკეთესო ინტელექტის მოზიდვა სხვა ქვეყნებიდან და ამ ადამიანების საქმიანობისათვის უკეთესი პირობების შექმნა, კონკურენტ ქვეყნებთან შედარებით (კვინიკაძე, 2016).

იმის ფონზე, რომ ჩინეთი დილემის წინაშეა ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებს შორის არჩევანის პრიორიტეტულობის გზაზე და ამავდროულად დიდი მოცულობით ინვესტიციებს ახორციელებს შეიარაღებაში, მილიტარიზაციის ინდექსით საკმაოდ ჩამორჩენილი სახელმწიფოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს დიდ წილად მოსახლეობის დიდი რაოდენობითაც არის გამოწვეული, თუმცა მილიტარიზაციის სფეროში სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზების დანახვაც ცალსახად შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩინეთი მართლაც საოცარი ტემპებით იზრდება, ქვეყნის გეოეკონომიკის კვლევა ცხადყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკო-

ნომიკურ მოწყვლადობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს, მისი მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ასევე რთულდება კოორდინაცია მეზობელ ქვეყნებთან და ჩინეთი საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრებს სხვა შორეულ რეგიონებში ეძებს. ეს პროცესი კი გლობალურ ძალად ჩამოყალიბების სურვილზე მეტად ქვეყნის პოლიტიკური წყობის დამსახურებად შეიძლება იქნას აღქმული(Park, 2016).

აქვე შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში აზიური გიგანტის გეოეკონომიკურ მანევრად უნდა იქნეს აღქმული, რადგან „გეოეკონომიკური სტრატეგია მიზნად არ ისახავს მოწინააღმდეგის განადგურებას, მისი ტერიტორიების მითვისებას ან იურიდიული სუვერენიტეტის შეზღუდვას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, გეოეკონომიკური მეტოქის გაძლიერება შეიძლება მოწინააღმდეგე მხარისათვის ეკონომიკურად სასარგებლოც კი აღმოჩნდეს.“ (კვინიკაძე, 2016).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ინტერესებსა და, მეორე მხრივ, სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას შორის მერყეობს. ამავდროულად ძლიერდება ეჭვები, რომ ჩინეთს გეოპოლიტიკური სარგებლის მიღწევა ეკონომიკური იარაღებით სურს (ტაბულა, 2010). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩინეთის გეოეკონომიკური ექსპანსია გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება ჩიხში მოექცეს, რადგან ცნობილი ამერიკული კომპანიის JP Morgan -ის, გათვლებით ჩინეთის საერთო ვალმა 2015 წლისათვის შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 211 %. ეს მაჩვენებელი 2014 წელს 201, ხოლო 2007 წელს 136 % შეადგენდა. ჩინეთის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა ამ პრობლემის მოგვარებისათვის გაცილებით დაბალი ფასის ობლიგაციების მეშვეობობით გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, როგორც ფინანსისტ-ა-

ნალიტიკოსები ვარაუდობენ ეს დროებითი ზომებია, რომლის შედეგები მომავალში აუცილებლად იჩენს თავს.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი პრობლემისა, ჩინეთი მაინც საკუთარი ინტერესების ერთგული დარჩება, რაც უპირველესად საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენის სურვილს გულისხმობს. რამდენად შესაძლებელი იქნება ეს ყველაფერი აზიური ეკონომიკური გიგანტისათვის ამას დრო და საერთაშორისო ასპარეზის დღის წესრიგის მონაცვლეობა გვიჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვინიკაძე, გ. (2016). *გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე.* თბ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

2. Luttwak,E., (2012). *The rise of China vs. the logic of strategy* . Cambridge, MA: The Belkhap Press of Harvard University Press, 310 pp.

3. Gallagher, K., Irwin, A., Koleski, k., (2013). *Un mejor trato Análisis comparativo de los préstamos chinos en América Latina*. Workbooks of Cechimex 1, pp. 1-37.

4. Park, S., (2016). *China's Geo-economics: Politics of inequality.* http://www.brandeisinternational.com/chinarsquos-geo-economics-politics-of-inequality.html ბოლო ნახვა: 23/05/2017

5. ტაბულა (2010). ჩინეთის „მუდმივი გადატვირთვა". http://www.tabula.ge/ge/story/53305-chinetis-mudmivi-gadatvirtva ბოლო ნახვა: 23/05/2017

6. UN Trade Statistics: https://unstats.un.org/unsd/trade/data/tables.asp#monthlytotal ბოლო ნახვა: 23/05/2017

7. World Development Indicators (WDI), World Bank, http://www.data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators ბოლო ნახვა: 23/05/2017

8. https://www.jpmorgan.com/jpmpdf/1320725865930.pdf ბოლო ნახვა: 23/05/2017

REFERENCES:

1. Kvinikadze, G. (2016). *Geo-economical Esseys* : *From Friedrich List to Edward Luttwak.* Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

2. Luttwak,E., (2012). *The rise of China vs. the logic of strategy* . Cambridge, MA: The Belkhap Press of Harvard University Press, 310 pp.

3. Gallagher, K., Irwin, A., Koleski, k., (2013). *Un mejor trato Análisis comparativo de los préstamos chinos en América Latina*. Workbooks of Cechimex 1, pp. 1-37.

4. Park, S., (2016). *China's Geo-economics: Politics of inequality.* http://www.brandeisinternational.com/chinarsquos-geo-economics-politics-of-inequality.html last seen: 23/05/2017

5. Tabula. (2010). *China's „Permanent overload".* http://www.tabula.ge/ge/story/53305-chinetis-mudmivi-gadatvirtva last seen: 23/05/2017

6. UN Trade Statistics: https://unstats.un.org/unsd/trade/data/tables.asp#monthlytotal last seen: 23/05/2017

7. World Development Indicators (WDI), World Bank, http://www.data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators last seen: 23/05/2017

8. https://www.jpmorgan.com/jpmpdf/1320725865930.pdf last seen: 23/05/2017

CHINA'S GEO-ECONOMICAL POTENTIAL

Irakli Patchkoria, Mari Lekishvili,
Bachelor Students, Tbilisi State University

RESUME

With the development of globalization and economic determinism, the component of military strength is on the back of the international agenda. This reality allowed China to realize its geo-economic interests in all regions of the world. Therefore, the goal of the research is to study the geo-economic vector of China in order to present China as the world's new political and economic pole's interests at both state and regional and international levels. In addition, the research process will support the development of various geo-theoretical theories. China's relations with the countries around the world have evolved significantly during the last two decades. China is one of the major exporting countries for world markets. The number of Chinese investments is also increasing steadily. The ongoing processes clearly reflect China's willingness to dominate the world's leading markets. Consequently, the research analyzes further prospects for the geo-economic strategy of China. Geo-economic relations in different regions serve to expand China's sphere of influence. This phenomenon can be seen as a challenge to the US Geo-economical collision.

Key words: China's Geo-economic, Economic relations, Economic expansion, Balance of power.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირსა და იაპონიას შორის: პერსპექტივები, ბარიერები და გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

კონსტანტინე კევლიშვილი,
თათია ვახტანგაძე
თსუ ბაკალავრიატის 1-ლი კურსის სტუდენტები

რეზიუმე

6 ივლისს, 24-ე ბილატერალურ სამიტზე, ევროკავშირისა და იაპონიის ლიდერებმა კონსენსუსს მიაღწიეს ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმების ძირითად ელემენტებთან დაკავშირებით, რომელიც შეამცირებს გადასახადს ფაქტობრივად ყველა სახის სავაჭრო საქონელზე მხარეებს შორის.

შეთანხმება საკუთარი მოცულობით საკმაოდ სოლიდურია და მას გააჩნია მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ზეგავლენა როგორც ხელმომწერ მხარეებზე, ასევე სხვა ქვეყნებზე. სავარაუდოდ, ხელშეკრულება ძალაში 2019 წლის დასაწყისში შევა და იგი ორი ეკონომიკური სივრცის 600 მილიონ მაცხოვრებელს შეეხება, რომლებიც ჯამში გლობალური ეკონომიკის 30%-ს და მსოფლიო ვაჭრობის 40%-ს ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იაპონია ევროკავშირის მე-6 უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორსა და მე-7 უმსხვილეს საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით, საბაჟო გადასახადები საერთო ოდენობა მხარეებს შორის ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდ ევროს აღწევს. შესაბამისად, შეთანხმების შედეგად, შესაძლოა, ევროკავშირის ექსპორტი იაპონიაში 34%-ით, ხოლო იაპონიისა ევროკავშირის ქვეყნებში - 29%-ით გაიზარდოს.

გარდა ამისა, ხელშეკრულება საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზეც. შეთანხმება აუცილებლად შეეხება „ბრექსითის“ მოლაპარაკებების პროცესს, ამავე დროს კი შესაძლოა იაპონი-

ისა და ევროკავშირის ეკონომიკურმა პარტნიორობამ აიძულოს ამერიკული ინდუსტრიის წარმომადგენლები, მხარი დაუჭირონ კონგრესისა და ამჟამინდელი ადმინისტრაციის უფრო მოქნილ დამოკიდებულებას მულტილატერალური სავაჭრო სტრუქტურების მიმართ, რადგან პრეზიდენტ ტრამპის ანტიპათიამ ამგვარი შეთანხმებებისადმი უკვე საგრძნობლად დააზარალა ევროპა და იაპონია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, ევროკავშირი, იაპონია, მსოფლიო ეკონომიკა, მსოფლიო ვაჭრობა.

შესავალი

2017 წლის 6 იანვარს, ჰამბურგში გასამართი „დიდი ოცეულის“ (G-20) სამიტამდე ერთი დღით ადრე, იაპონიის პრემიერ-მინისტრი შინზო აბე ბრიუსელს ეწვია, სადაც მან საზოგადოებას ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერთან და ევროსაბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტასკთან ერთად, ევროკავშირსა და იაპონიას შორის ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმების ფუნდამენტურ პრინციპებთან დაკავშირებით მიღწეული კონსენსუსის შესახებ ამცნო (European Comission, 2017a).

საბოლოო დეტალების დაზუსტებისა და ძალაში შესვლის შემდეგ შეთანხმება მხარეებს შორის ვაჭრობას პრაქტიკულად ყველა სფეროში გაამარტივებს, თუმცა ბარიერების გაქრობის ბენეფიტები განსაკუთრებით ევროკავშირის კვების სექტორსა და იაპონურ ავტოინდუსტრიას შეეხება (Marklew, 2017). აქვე აღსანიშნავია, რომ შეთანხმებას დიდი პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია: ერთი მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ ტრანსწყნარი პარტნიორობის ხელშეკრულებიდან (TPP) საკუთარი ქვეყნის გამოყვანისა (Mui, 2017) და NAFTA-სადმი სკეპტიკური დამოკიდებულების ცხადყოფის (Walker, 2017), ხოლო მეორე მხრივ, „ბრექსითის“ მოვლენებისა და ევროსკეპტიციზმის ტალღის აგორების შემდეგ, ეს იყო საკმაოდ ძლიერი მესიჯი შემდეგი შინაარსით - ორი უდიდესი ეკონომიკა უარს ამბობს პროტექციონიზმზე და განაგრძობს

სწრაფვას საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული, თავისუფალი გლობალური სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებისკენ (European Comission, 2017b). მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხარეები პარალელურად მუშაობენ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაზეც (European External Action Service, 2017).

როგორც უკვე აღინიშნა, იაპონია და ევროკავშირი უკვე შეთანხმდნენ პარტნიორობის ძირითად პრინციპებზე, თუმცა თავისუფალი სავაჭრო სივრცის ოფიციალურად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ბარიერები, რის გამოც უახლოესი წლინახევრის განმავლობაში მოლაპარაკებების დასრულება სათუოა. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ პოტენციური პარტნიორობის დეტალები გასაჯაროებულია, უკვე შესაძლებელია მსჯელობა შეთანხმების სავარაუდო შედეგებსა და გლობალურ გავლენაზე.

ძირითადი ნაწილი

ამჟამინდელი მდგომარეობა და შეთანხმების ბენეფიტები. ევროკავშირისა და იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს შორის მჭიდრო პარტნიორობა აქამდეც არსებობდა: ევროკავშირისთვის იაპონია რიგით მე-6 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია მსოფლიოში - „ამომავალი მზის ქვეყანაში“ ექსპორტირებული საქონლისა და მომსახურების ყოველწლიური ღირებულება დაახლოებით 80 მილიარდ ევროს შეადგენს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში იაპონური კომპანიების მიერ ნახევარი მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, ევროკავშირიდან იაპონიაში ექსპორტისთვის გადახდილ ტარიფებში ყოველწლიურად დაახლ. 1 მილიარდი ევრო იხარჯება - იაპონელებს საკმაოდ მაღალი საბაჟო გადასახადები აქვთ დაწესებული ხორცის (40%), შოკოლადის (30%), ყველის (40%), ღვინის (15%) და სხვა არაერთი პროდუქტის ქვეყანაში შეტანაზე რაც, ცხადია, ამცირებს ვაჭრობის შედეგად მიღებულ სარგებელს კომპანიებისთვის (European Comission, 2017c).

ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება ორი ეკონომიკუ-

რი სივრცის 600 მილიონ მაცხოვრებელს შეეხება, რომლებიც ჯამში გლობალური ეკონომიკის 30%-ს და მსოფლიო ვაჭრობის 40%-ს ქმნიან. ამჟამინდელი პირობებით, მხარეებს შორის სრულიად უნდა მოიხსნას ზემოხსენებული ტარიფები (1მლრდ. ევროს ღირებულების). აქედან გამომდინარე, ეს იქნება ორივე მხარისთვის ყველაზე მსხვილი ბილატერალური შეთანხმება, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, ევროკავშირის ექსპორტი იაპონიაში 34%-ით, ხოლო იაპონიისა ევროკავშირის ქვეყნებში - 29%-ით გაიზარდოს. სპეციალისტები ვარაუდობენ ევროკავშირის მშპ-ის 0.76%-იან, ხოლო იაპონიის მშპ-ის - 0.29%-იან ზრდასაც (Fensom, 2017). ამასთან, ევროკომისიის პროგნოზით, იმ ფირმების რაოდენობა, რომლებსაც პროდუქცია ევროკავშირიდან იაპონიაში გააქვთ, 74 000-მდე გაიზრდება, საიდანაც 78%-ს მცირე კომპანიები შეადგენს (European Comission, 2017c).

შეთანხმების ბენეფიტები ცალსახაა კონკრეტული სექტორების პოტენციური განვითარების ანალიზის შემთხვევაშიც:

- **ავტოინდუსტრია** - მომდევნო 7 წლის განმავლობაში გერმანია მოხსნის 10%-იან ტარიფს იაპონურ სამგზავრო ავტომობილებზე, რაც საგრძნობლად გაზრდის ექსპორტს (აქამდე „ტოიოტასა“ და „ჰონდას“, სხვა დიდ სივრცეებთან შედარებით, ბაზრის ყველაზე მცირე წილი სწორედ ევროკავშირში ჰქონდათ) (Kanter, 2017);
- **კვების ინდუსტრია** - შემცირებული ტარიფების შედეგად ევროკავშირის მიერ იაპონიაში ყოველწლიურად ექსპორტირებული საბაკალეო საქონლის ჯამური ღირებულება დაახლ. 10 მილიარდ ევრომდე - 170-180%-ით გაიზრდება (European Comission, 2017c);
- **ქიმიკატები** - ევროკავშირის მიერ იაპონიაში ყოველწლიურად ექსპორტირებული ქიმიკატების ჯამური ღირებულება დაახლ. 20%-ით გაიზრდება (European Comission, 2017c);
- **ელექტრონული დანადგარები** - ევროკავშირის მიერ იაპონიაში ყოველწლიურად ექსპორტირებული ელექტრონული დანადგარების ჯამური ღირებულება დაახლ. 16%-ით გაიზრდება (European Comission, 2017c).

დაბრკოლებები და პერსპექტივები. ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს შეთანხმების შედეგად ორივე მხარის მიერ მიღებულ სარგებელს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რომლებიც ხელს უშლის მოლაპარაკებების დასრულებას.

ინვესტორთა მიერ დავების მოგვარების მექანიზმი. პოტენციურ დამაბრკოლებელ ფაქტორთა შორის სპეციალისტები, უპირველეს ყოვლისა, ინვესტორთა შორის შეთანხმების შემდეგ გაჩენილი დავების მოგვარების მექანიზმთან დაკავშირებით არსებულ უთანხმოებას გამოყოფენ - ევროკავშირი საჭიროდ მიიჩნევს „მულტილატერალური ინვესტირების სასამართლო სისტემის“ ჩამოყალიბებას, რომლის ანალოგიც უკვე შექმნილია ორგანიზაციის „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების“ შედეგად კანადასთან, ოფიციალური ტოკიო კი ამ წინადადებაზე დათანხმებისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს და საკმარისად თვლის ad hoc-ის საარბიტრაჟო სისტემის არსებობას, რომლის მოქმედებაც, ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენელთა აზრით, „ზედმეტად რბილია კორპორაციებთან მიმართებაში“ (Angelescu, 2017).

ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლა/დინება. 6 ივლისს აბესა და იუნკერის საერთო განცხადებაში აღინიშნა, რომ „ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლა გლობალური ეკონომიკის განვითარების ფუნდამენტური პრინციპია“ (European Comission, 2017d). მიუხედავად ამისა, ინფორმაციის თავისუფალ დინებასთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმება მიღწეული ჯერაც არ არის, რაც ასევე შეგვიძლია თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად მივიჩნიოთ (Marklew, 2017).

გარემოს დამცველთა პროტესტი. მხარეებს მოლაპარაკების პროცესში არ განუხილავთ ვეშაპების ნადირობასა და ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებული საკითხები, რამაც ცალსახად გააღიზიანა გარემოს დამცველთა და ეკოლოგთა ჯგუფები. Greenpeace-მა გარიგებას „ხალხისგან დიდ ბიზნესში უზარმაზარი ძალაუფლების გადაცემა“ უწოდა, რითაც მკაფიოდ

დაფიქსირდა ორგანიზაციის პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პროტესტი, დიდი ალბათობით, ვერ მოახდენს uSualo გავლენას გარიგების დეტალებზე, ამ ჯგუფების ლობისტურმა საქმიანობამ გარკვეულ ეტაპზე მაინც შეიძლება გამოიღოს შედეგი (Kanter, 2017).

რატიფიკაციის პროცესი. შეთანხმების დეტალებზე საბოლოო კონსენსუსი მიღწევის შემდეგ დეტალების ოფიციალურად გასაფორმებლად საჭირო იქნება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის გავლა მხარეთა საკანონმდებლო ორგანოებში - შეთანხმება ჯერ იაპონიის პარლამენტის ორივე პალატამ უნდა დაამტკიცოს, შემდეგ კი - ევროპარლამენტმა. გარდა ამისა, თუკი ევროკავშირის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ ხელშეკრულებას „კომპლექსური/კომბინირებული შეთანხმების“ (mixed agreement) სახე მიეცეს, მისი დამტკიცება საჭირო იქნება ორგანიზაციის წევრი თითოეული ქვეყნის ეროვნული და რეგიონული საკანონმდებლო ორგანოების მიერ (Marklew, 2017).

გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებებისა, ექსპერტები შეთანხმების ძალაში შესვლას 2019 წლის დასაწყისისთვის ვარაუდობენ (Angelescu, 2017). შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან დაიწყებს ფუნქციონირებას მსოფლიოს ერთ-ერთი (თუ არა) უდიდესი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომლის მოქმედება უთუოდ დიდ გავლენას მოახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ევროკავშირი და „ბრექსითი“. გარდა უშუალოდ სავაჭრო ურთიერთობების გამარტივების შედეგად მიღებული მატერიალური ბენეფიტებისა, ევროგაერთიანებისთვის ხსენებული შეთანხმება დიდ პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს - როგორც უკვე აღინიშნა, ეს არის ძლიერი მესიჯი პროტექციონიზმის წინააღმდეგ და თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ, რაც ევროკავშირის არსებობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. ამასთანავე, ასეთი მასშტაბის შეთანხმე-

ბის გაფორმება უთუოდ მოახდენს გავლენას „ბრექსითის“ მოლაპარაკების პროცესზეც - ბრიტანელები კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ ახალ ბაზრებზე წვდომის მოპოვების საუკეთესო საშუალება სულაც არ იყო ორგანიზაციის დატოვება და ცხადად დაინახავენ ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში იაპონიასთან დამყარებული თავისუფალი ვაჭრობის პოტენციურ მოგებასაც. საპირისპიროდ, გაერთიანების დატოვებისა და იაპონიასთან ევროკავშირის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების გამო, შესაძლოა, საკმაოდ დიდი დარტყმა მიადგეს ბრიტანულ ავტოინდუსტრიას, რაც, თავის მხრივ, ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკასაც (Tetlow & Brunsden, 2017).

იაპონია და შორეული აღმოსავლეთი. გარდა იმისა, რომ იაპონია ევროკავშირისთვის მსოფლიოში მე-6 უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია, იგი საკუთარ რეგიონშიც რიგით მეორეა, რასაკვირველია, ჩინეთის შემდეგ. ჩინეთის განუხრელი და სწრაფი ეკონომიკური ზრდა ევროპისა და აშშ-ის გარდა, იაპონისთვისაც შემაშფოთებელი გარემოებაა როგორც პოლიტიკური, ასევე სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, იაპონიის მეზობელმა სამხრეთ კორეამ ევროკავშირთან მსგავსი ხელშეკრულება ჯერ კიდევ 5 წლის წინ გააფორმა და შედეგად საკმაოდ დიდი სარგებელი მიიღო - ევროკავშირის ექსპორტი ქვეყანაში 55%-ით გაიზარდა, ხოლო კორეული ავტომობილებისა ევროგაერთიანების ქვეყნებში - 53%-ით (European Comission, 2017c). აშკარაა, რომ ევროკავშირთან შეთანხმება იაპონიის ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყნის სერიოზული დემოგრაფიული პრობლემების ფონზე, „ახალ სუნთქვას“ შესძენს და არაერთი სახის ბიზნესი (ავტოინდუსტრია და სხვ.) კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდება რეგიონში არსებული ვითარების გათვალისწინებით.

აშშ, ევროკავშირი, იაპონია და TPP. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ე.წ. „America First“ პოლიტიკის განხორციელება ქვეყნის სათავეში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო, რაც ამერიკის „ტრანსწყნარი პარტნიორობის ხელშეკრულებიდან“ გამოსვლაშიც გამოიხატა, რომელიც, ტრამპის აზრით,

ზიანის მომტანი იყო ქვეყნისთვის. მოგვიანებით, ზემოხსენებულმა პოლიტიკამ მარცხიც განიცადა, რადგან პრეზიდენტმა ტრამპმა დღემდე ვერ მოახერხა ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება, რაც NAFTA-ს დატოვებას გულისხმობდა. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ TPP-სთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად სწორედ ევროპა და იაპონია დააზარალა, ეს უკანასკნელი კი დღემდე ცდილობს დარჩენილი 11 სახელმწიფოსგან შემდგარი კავშირის შენარჩუნებას. ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება იაპონიას სწორედ ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარება, ხოლო თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შედეგად წარმოქმნილი კონკურენცია აუცილებლად შეეხება აშშ-ის ზოგიერთ ბიზნესსფეროს. შესაბამისად, ბიზნესმენები, გუბერნატორები და ინდუსტრიული სფეროს წარმომადგენლები მაქსიმალურად შეეცდებიან, შეცვალონ ამჟამინდელი ადმინისტრაციის დამოკიდებულება მულტილატერალური ხელშეკრულებების მიმართ, რამაც გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს არსებული სურათი (Brattberg & Schoff, 2017).

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ იაპონიასა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს როგორც ორივე მხარის ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მიუხედავად ამისა, შეთანხმების საბოლოო დეტალების გარკვევამდე რთულია ამ გავლენის ზუსტ მასშტაბებზე საუბარი - მხარეთა ეკონომიკური ბენეფიტების პროცენტული ოდენობები თუ შეთანხმების პოლიტიკური წონა ამჟამად მხოლოდ მეტნაკლები სიზუსტით გაკეთებულ პროგნოზებს წარმოადგენს და მათი რეალობად ქცევა სხვა არაერთ საკვანძო ფაქტორზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის ანალიზით ოპტიმალური

ვარიანტი სწორედ ზემოთ აღნიშნული დასკვნების გაკეთებაა, მოვლენათა განვითარების უფრო რეალისტური სურათის ასახვა კი მცირე ხანში იქნება შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია:

1) Angelescu, I. (2017, Jul 14). *EU-Japan Agreement: Good news on the long road to a deal*. Retrieved Jul 15, 2017, from European Council on Foreign Relations Web site: http://www.ecfr.eu/article/commentary_eu_japan_agreement_good_news_on_the_long_road_to_a_deal_7214

2) Brattberg, E., & Schoff, J. L. (2017, Jul 12). *Can the EU-Japan Deal Prompt a US Recalibration on Trade?* Retrieved Jul 15, 2017, from The Diplomat Web site: http://thediplomat.com/2017/07/can-the-eu-japan-deal-prompt-a-us-recalibration-on-trade/

3) European Comission. (2017a, Jul 6). *Press Release: EU and Japan reach agreement in principle on Economic Partnership Agreement*. Retrieved Jul 15, 2017, from Europa.eu: http://europa.eu/rapid/press-release_IP-17-1902_en.htm

4) European Comission. (2017b, Jul 6). *In focus: EU-Japan Economic Partnership Agreement*. Retrieved Jul 15, 2017, from Ec.europa.eu: http://ec.europa.eu/trade/policy/in-focus/eu-japan-economic-partnership-agreement/

5) European Comission. (2017c, Jul 1). *A new EU trade agreement with Japan - Factsheet.* Retrieved Jul 2017, 2017, from Trade.ec.europa.eu: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2017/july/tradoc_155684.pdf

6) European Comission. (2017d, Jul 6). *Joint Declaration by Mr. Shinzo Abe, Prime Minister of Japan, and Mr. Jean-Claude Juncker, President of the European Commission*. Retrieved Jul 15, 2017, from Europa.eu: http://europa.eu/rapid/press-release_STATEMENT-17-1917_en.htm

7) European External Action Service. (2017, Jul 6). *EU – Japan Strategic Partnership Agreement given green light at Summit in Brussels*. Retrieved Jul 15, 2017, from Eeas.europa.eu: https://eeas.eu-

ropa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/29418/%20EU%20%E2%80%93%20Japan%20Strategic%20Partnership%20Agreement%20given%20green%20light%20at%20Summit%20in%20Brussels

8) Fensom, A. (2017, Jul 8). *With EU Deal, Japan Sends Powerful Message on Free Trade*. Retrieved Jul 15, 2017, from The Diplomat Web site: http://thediplomat.com/2017/07/with-eu-deal-japan-sends-powerful-message-on-free-trade/

9) Kanter, J. (2017, Jul 6). *The E.U.-Japan Trade Deal: What's in It and Why It Matters*. Retrieved Jul 15, 2017, from New-York Times Web site: https://www.nytimes.com/2017/07/06/business/economy/japan-eu-trade-agreement.html?module=ArrowsNav&contentCollection=Economy&action=keypress&region=FixedLeft&pgtype=article

10) Marklew, V. (2017, Jul 15). *The EU-Japan Trade Deal: Hype Or A Big Deal? – Analysis*. Retrieved Jul 15, 2017, from Eurasia Review Web site: http://www.eurasiareview.com/15072017-the-eu-japan-trade-deal-hype-or-a-big-deal-analysis/

11) Mui, Y. Q. (2017, Jan 23). *President Trump signs order to withdraw from Trans-Pacific Partnership*. Retrieved Jul 15, 2017, from The Washington Post Web site: https://www.washingtonpost.com/news/wonk/wp/2017/01/23/president-trump-signs-order-to-withdraw-from-transpacific-partnership/?utm_term=.b74dbe50ac74

12) Tetlow, G., & Brunsden, J. (2017, Jul 6). *EU-Japan trade deal poses risks for post-Brexit UK*. Retrieved Jul 15, 2017, from Financial Times Web site: https://www.ft.com/content/4ab03ba8-6267-11e7-8814-0ac7eb84e5f1

13) Walker, K. (2017, Jan 23). *Trump to Sign Executive Order on Plan to Renegotiate NAFTA With Mexico, Canada*. Retrieved Jul 15, 2017, from CNBC Web site: http://www.cnbc.com/2017/01/23/trump-to-sign-executive-order-to-renegotiate-nafta-and-intent-to-leave-tpp.html

FREE TRADE AGREEMENT BETWEEN THE EU AND JAPAN: PERSPECTIVES, BARRIERS AND IMPACT ON THE GLOBAL ECONOMY

Konstantine Kevlishvili, Tatia Vakhtangadze
1st Year Bachelor students, Tbilisi State University

RESUME

On July 6th, at their 24th bilateral Summit, leaders of the European Union and Japan have given their political agreement on the main elements of an Economic Partnership Agreement that would lower barriers on virtually all the goods traded between them.

The deal is certainly impressive in its scope and has significant longer-term implications, both for the signatories and for other countries. The agreement is set to come into effect in early 2019 and encompasses about 600 million people living in two economic areas that together account for nearly 30% of the world economy and 40% of global trade.

Despite the fact that Japan is currently the EU's sixth largest trading partner worldwide and its seventh largest export market, customs duties between two parts still total some 1 billion Euros every year. Consequently, the deal could raise the EU's exports to Japan by 34% and Japan's to the EU by 29%. In spite of having reached an agreement in principle on the main elements of an EPA, implementation part, there still exist some differences that must be narrowed in order to make a deal.

On the other hand, the deal has a big impact on international political and economic relations. EPA will definitely affect the Brexit negotiations, while it can also force American industry to lobby Congress and the White House for a more flexible approach towards multilateral trade frameworks, as president Trump's antipathy for such deals has been hitting Europe and Japan pretty hard.

Key Words: Economic Partnership Agreement, Free Trade, European Union, Japan, World Economy, Global Trade.

ჰიბრიდული ომები პოსტსაბჭოთა სივრცეში: ქეისი – დნესტრისპირეთის კონფლიქტი, მოგვარების მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები

ქეთი არჯევანიძე,
ნელიკო მათეშვილი
ბაკალავრიატის სტუდენტები, თსუ

რეზიუმე

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რესპუბლიკებმა დასავლური კურსი აირჩიეს და ისწრაფოდნენ ისეთი ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფლება და ა.შ. რუსეთისთვის აღნიშნული ფაქტი ნიშნავდა საკუთარი გავლენის შემცირებას რეგიონში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რუსეთისთვის სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების: საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პოლიტიკური კურსია.

რუსეთის პირდაპირი აგრესიის სამიზნე სწორედ ეს სახელმწიფოები გახდნენ. თუმცა მის ინტერესებს ქვეყნების სუვერენულობისა და შინა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები ეწინააღმდეგება. რუსეთს გაზრდა უნდოდა ევროპის რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარჯზე. თუმცა გააანალიზა, რომ ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა თავადაც ზიანს მოტანდა. ამიტომ გამონახა ახალი ფრაზა თავისი გავლენის შესანარჩუნებლად. ესაა ჰიბრიდული ომები, რომლებიც მოიცავს კომპლექსურ ქმედებებს და ემსახურება რუსეთის ინტერესების დაკმაყოფილებას. თუმცა მოლდოვის შემთხვევაში, რუსეთი ჰიბრუდულ ომს 1990-იანი წლებიდან აწარმოებს აქ არსებული სეპარატული რეგიონის, დნესტრისპირეთის საშუალებით. თუმცა სეპარატული რეგიონი ეთნიკური კონფლიქტი არაა, მან დროთა განმავლობაში პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. კონფლიქტის მიმდინარეობაში ჩართულია არა მხოდოდ ორი ძირითადი მხარე, რუსეთი და მოლდოვა, ასევე ევროკავშირის რო-

გორც მესამე მხარე და კონფლიქტი ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ომები, სამშვიდობო ხელშეკრულებები, დასავლური კურსი, მოგვარების მცდელობა, მოლაპარაკებები, კონფრონტაცია, საშინაო პოლიტიკა, გავლენა, სამიზნე

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს გაუჩნდათ შესაძლებლობა თავად გადაეწყვიტათ თავიანთი საგარეო პოლიტიკა. ძირითადად მათი არჩეული კურსი დაფუძნებული იყო ისეთ ასპექტებზე, რასაც დღეს მთავარ დასავლურ ღირებულებებს ვუწოდებთ: დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, თავისუფლება და ა.შ. რაც შეეხება რუსეთს აქ საბჭოთა კავშირის დაშლა აღიქმებოდა არა მხოლოდ მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად, როგორც ვლადიმერ პუტინმა უწოდა ამ ფაქტს, არამედ პირად ტრაგედიად რუსი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

რუსეთის შემთხვევაში, საბჭოეთის დაშლამ არ უზრუნველყო ქვეყნის დემოკრატიულობისკენ შეცვლა და ვერც მისი დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტებში ინტეგრაციის მიზეზი გახდა. უფრო მეტიც, რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეს აღიქვამს როგორც მისთვის სპეციალური ინტერესების მატარებელ რეგიონს და ითხოვს სხვა სახელმწიფოებმაც სცენ პატივი მის ამ ხედვას. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების დასავლეთთან დაახლოებას რუსეთი აღიქვამს როგორც საფრთხეს მისი გავლენაზე რეგიონში. ამავდროულად, მოსკოვისთვის ასეთი დაახლოება არის დასავლეთის იარაღი რუსეთის როლის შესასუსტებლად გლობალურ პოლიტიკაში. გარდა ამისა, პოსტსაბჭოეთის დასავლური კურსი აღიქმება საფრთხედ, ასევე რუსეთის საშინაო პოლიტიკისთვისაც.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აშკარა გახდა, რომ სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა დიდ და საყურადღებო ნაბიჯებს დგამენ

დასავლეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოებისათვის, რითაც ეწინააღმდეგებიან რუსეთის ინტერესებს რეგიონში. შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფოები გახდნენ რუსეთის აგრესიის სამიზნე, რათა შეინარჩუნოს გავლენის სფეროები აღმოსავლეთ ევროპაში.

აღსანიშნავია, რომ ამ გავლენის შენარჩუნება და გავრცობა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული რუსეთისთვის. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოების სუვერენულობისა და მათი მისწრაფებისა თავად განსაზღვრონ საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გეოპოლიტიკური სტატუს-ქვო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთის ეკონომიკური დამოკიდებულება ევროპაში გაზისა და ნავთობის ექსპორტზე. ამიტომ, დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა ან მისთვის ზიანის მიყენება დამანგრეველი იქნება რუსეთის ეკონომიკისთვის.

მოსკოვისთვის გამოსავალი, სადაც შეეძლო პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის შენარჩუნება და გაზრდა, თანაც ამავდროულად თავი აარიდა ღია კონფროტაციას დასავლეთთან, არის ჰიბრიდული ომები აღნიშნულ რეგიონში. ისეთი ომი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპლექსურ ქმედებს, რომლებიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოზე გავლენის გავრცელებას, რათა კონკრეტულმა ქვეყანამ მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს რეგიონში. რუსეთის ჰიბრიდულმა ომმა უზრუნველყო მისი გავლენა რეგიონზე, თუმცა ამავდროულად იმდენად «შორსმდგომი» იყო მისგან, რომ განემტკიცებინა თავისი როლი რეგიონში და გაემართლებინა კიდეც მისი ჩართულობა კონფლიქტებში.

რუსეთი ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან აწარმოებდა ჰიბრიდულ ომებს რიგ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, მათ შორის მოლდოვაშიც. ამას ახერხებდა დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეგიონის დაფინანასებითა და სამხედრო დახმარებებით. საბოლოოდ ეს გამოვლინდა მოლდოვაში თითქმის მუდმივი სამშვიდობო ოპერაციებით, რომელსაც რუსეთის არმია აწარმოებს და რომელსაც დიდი გავლენა აქვს მოლდოვის პოლიტიკაზე.

მოლდოვის სახელმწიფოს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს, სეპარატიზმი მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან აწუხებს. პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებისგან განსხვავებით დნესტრისპირეთის კონფლიქტი არ წარმოადგენს ეთნიკური კონფლიქტის კლასიკურ მაგალითს, იგი უფრო პოლიტიკურ კონფლიქტად მოიაზრება. უფრო ზუსტად კი, კონფლიქტი დნესტრისპირეთის შესახებ არის ტერიტორიული დავა ორ დაპირისპირებულ მხარეს, მოლდოვის სახელმწიფოსა და დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკას შორის. უკვე 20 წელიწადზე მეტია საერთაშორისო თანამეგობრობა თვალს ადევნებს და ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაში დაეხმაროს მხარეებს. თუმცა უამრავი ხელშეკრულებების, სამშვიდობო შეთანხმებებისა თუ მოლაპარაკებების მიუხედავად ფაქტია, რომ გაყინული ფაზიდან კონფლიქტი ჯერ კიდევ არ გამოსულა და მეტიც, უახლოეს მომავალში მსგავსი პერსპექტივა ნაკლებად მოსალოდნელია. რაც დიდწილად დამოკიდებულია რუსეთის უსაზღვრო როლზე და გავლენაზე აღნიშნულ კონფლიქტზე. ნაშრომი განიხილავს კონფლიქტის ისტორიულ ბაზის, მისი მხარეების პოზიციებს, ასევე ისეთ აქტორების როლს კოფლიქტის განვითარებაზე, როგორიცაა რუსეთი, რუმინეთი და ევროკავშირი. რაც მნიშვნელოვანია გაანალიზებს სამშვიდობო ფორმატებსა და კონფლიქტის მოგვარების მცდელობებს და დაადგენს თუ რატომ ვერ მოახესხეს მათ კონფლიქტის მოგვარება.

ძირითადი ტექსტი

დნესტრისპირეთის კონფლიქტი უშუალოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა, თუმცა მისი მიზეზები უფრო ღრმა ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ. დღევანდელი მოლდოვის რესპუბლიკა ისტორიული მოლდოვის სამთავროს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს და მოიცავს ბესარაბიის ისტორიულ რეგიონს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ გამხდარა დიდი სახელმწიფოების დაპყრობის ობიექტი, რომლებიც ჩრდილოეთ შავი ზღვის პი-

რეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთმანეთს დომინანტობას ეცილებოდნენ.

რუსეთის ყურადღების არეში მოლდოვა მე-17 საუკუნიდან მოექცა. 1792 წელს, რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის შედეგად, რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა დღევანდელი დნესტრისპირეთის ტერიტორია და იგი «ნოვოროსისკის», იგივე «ახალი რუსეთის» პროვინციის ნაწილად იქცა, რომელსაც რუსეთმა 1764 წელს სამხრეთ უკრაინაში წარმოებული დაპყრობითი ომების შედეგად ჩაუყარა საფუძველი.

1812 წელს რუსეთმა მდინარეებს, დნესტრსა და პრუტს შორის მდებარე ტერიტორიებიც მიიერთა და მოლდოვისა და ბესარაბიის გუბერნია შექმნა. მოლდოვის სამთავროს დასავლეთ ნაწილი, რომელიც მდინარე პრუტის მეორე მხარეს მდებარეობდა, 1859 წელს ვალახიის სამთავროსთან გაერთიანდა. ამ გაერთიანებით რუმინეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელიც რეგიონში რუსეთის მოწინააღმდეგე ძალად გადაიქცა. ამრიგად, 1812 წლიდან 1918 წლამდე რუსეთის იმპერიის საზღვარი დასავლეთის მეტოქე სახელმწიფოებთან მდინარე პრუტზე გადიოდა, რაც რუსეთისათვის აღმოსავლეთ მოლდოვას განსაკუთრებულ სამხედრო-სტრატეგიულ დატვირთვას ანიჭებდა და იმპერიის მხრიდან განსაკუთრებული «ზრუნვის» ობიექტად აქცევდა.

ბესარაბიამ რუსეთისგან დამოუკიდებლობა 1918 წელს გამოაცხადა და მალევე გაერთიანდა რუმინეთთან. ამის საპასუხოდ, მოსკოვმა 1924 წელს, უკრაინის ტერიტორიაზე, შექმნა მოლდოვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იგი მდებარეობდა დნესტრის აღმოსავლეთ ნაპირზე. 1940 წელს, საბჭოთა კავშირმა მოახდინა ბესარაბიის ანექსირება და დააფუძნა მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მოხდა ახალი ცენტრისა და მოლდოვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შეერთება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოლდოვა აღდგა იმ საზღვრებში, რომელშიც ის 1940 წელს იყო მოქცეული. დაიწყო მისი გამალებული ინდუსტრიალიზაცია და რუსიფიკაცია.

1944-1959 წლებში, დაახლოებით 300,000 რუსულად მოსაუბრე, ძირითადად დნესტრისპირეთსა და მდინარე დნესტრის რამდენიმე ქალაქში დასახლდა. ამავდროულად, დაახლოებით 500,000 მოლდოველი დეპორტირებულ იქნა საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში. ამ ყველაფერს დაემატა ის, რომ 1946-1947 წლებში, დიდი შიმშილის შედეგად, გარდაიცვალა 200,000 მოლდოველი.

საბჭოთა პერიოდში, მდინარე დნესტრის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ეკონომიკა ძირითადად სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობაზე იყო დაფუძნებული. მეორე მხრივ, დნესტრისპირეთში განვითარებული იყო მძიმე და სამხედრო მრეწველობა. აღნიშნული მიზეზების გამო, 1950 წლისთვის, დნესტრისპირეთი მოლდოვის სხვა ნაწილებთან შედარებით, გაცილებით უფრო განვითარებული იყო. იგი წარმოადგენდა ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ცენტრსაც, სადაც მიმდინარეობდა ელიტების რეკრუტირება. რესპუბლიკის სახელწიფო ენა იყო რუსული, ხოლო მოლდავური დამწერლობა კირილიცაზე იყო გადასული. საბჭოთა ლინგვისტები და ისტორიკოსები ყველანაირად ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ მოლდაველები და რუმინელები სხვადასხვა წარმოშობის ხალხი იყვნენ.

1980-იან წლებში, მიხეილ გორბაჩოვის მიერ წარმოებული «პერესტროიკის'' და «საჯაროობის'' პოლიტიკის შემდეგ, მოლდაველები უკვე ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას არსებული რეჟიმის მიმართ. 1989 წელს, დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა ძირითადი მოთხოვნა მოლდავურის ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანა იყო. სწორედ მოლდავური უნდა გამხდარიყო სახელმწიფო ენა. შედეგად, 1989 წელსვე, მსსრ-ის უმაღლესმა საბჭომ ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა. ენასთან დაკავშირებულმა კანონმა და ძველი კადრების ახლებით შეცვლამ გამოიწვია ის, რომ მოლდოვის სახელმწიფო აპარატის სათავეში ძირითადად ეთნიკურად მოლდაველები მოექცნენ.

ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ, მოლდოვაში ძლი-

ერდებოდა ეთნიკური უმცირესობების უკმაყოფილება. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დაახლოებით 160,000 გაგაუზი (ისინი ძირითადად ქრისტიანები არიან, ხოლო მათი ენა დაკავშირებულია თურქულთან) და 80, 000 ბულგარელი ცხოვრობს. სიტუაცია განსაკუთრებით გაგაუზიაში დაიძაბა. 1990 წლის ოქტომბერში, დაპირისპირება კინაღამ ძალადობრივ კონფლიქტში გადაიზარდა.

მზარდი ანტირუსული კამპანიისა და მოლდოვის რუმინეთთან შეერთების საფრთხის გამო, დნესტრისპირეთში რუსულად მოსაუბრე მოსახლეობაში გაღვივდა «რეაქციული ნაციონალიზმი". დნესტრისპირეთში დაიწყო დემონსტრაციები, რომლებშიც განსაკუთრებულ როლს მუშათა კოლექტივების გაერთიანებული საბჭო (მკგს) თამაშობდა. განსაკუთრებით დიდი დაპირისპირება დაიწყო დნესტრისპირეთის ინდუსტრიულ ცენტრებში, მათ შორის დასავლეთით მდებარე ქალაქ ბენდერში.

1991 წლის 2 სექტემბერს, მოსკოვის პუტჩის ჩავარდნის შემდეგ, დნესტრისპირეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საკუთარი კონსტიტუცია და დაიწყო შეიარაღებული ძალების შექმნა, ხოლო 1991 წლის 1 დეკემბერს, დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად იგორ სმირნოვი აირჩიეს. იმავე დღეს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზე გამოცხადდა «დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა". ამ პროცესების პარალელურად, სეპარატისტულმა დაჯგუფებებმა დაიწყეს მოლდავურ საპოლიციო დაჯგუფებებზე თავდასხმები. ძირითადად ეს შეტევები 1991/1992 წლის ზამთარში ხორციელდებოდა.

1992 წლის მარტში, დაძაბულობა სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. სიტუაცია განსაკუთრებით 19 ივნისს, გამწვავდა, როდესაც მოლდოვის ჯარებმა ქალაქ ბენდერზე მიიტანეს იერიში. 20 ივნისს, საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო მეთოთხმეტე არმია, რომელიც ამჟამად რუსული ძალების ოპერატიული დაჯგუფების სახელითაა ცნობილი. 21 ივნისს, ომი შეწყდა და დაიდო ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რამაც დნესტრისპირეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობა უზრუნველყო. კო-

ნფლიქტი «გაყინულ" ფაზაში შევიდა და დღემდე სიტუაცია არ არის შეცვლილი.

მას შემდეგ რაც ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უსაფრთხოების ზონაში მდინარე დნესტრის ორივე მხარეს განთავსდა სამმხრივი სამშვიდობო ძალა — რუსეთის, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის.

1993 წელს ეუთოს მისია გაიგზავნა რეგიონში მოლაპარაკებებისათვის. მისიის მიზანი იყო ისტორიული და სოციალურ ეკონომიკური ფაქტორების შესწავლით გადაეწყვიტა რომელი უფრო ოპტიმალური იქნებოდა დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა თუ მისი ინტეგრაცია მოლდოვეთში. საბოლოოდ დნესტრისპირეთს სპეციალური სტატუსი მიანიჭეს მოლდოვის ტერიტორიის ფარგლებში.

სამშვიდობო ხელშეკრულების ჩამოყალიბების დროს იქმნებოდა რიგი პრობლემებისა, როგორიც იყო მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, მისი საზღვრების ურღვეობის პრინციპის უზრუნველყოფა და სუვერენიტეტის შენარჩუნება, გარდა ამისა ძირითადი დავა მიმდინარეობდა შეიქმნებოდა ფედერაციული სახელმწიფო თუ კონფედერაცია.

ფედერაციის წარმოქმნას სთავაზობდა მხარეებს 2002 წლის კიევის დოკუმენტი. დოკუმენტის ირგვლივ გაიმართა მოლაპარაკებების 5 რაუნდი. მე-6 შეხვედრისას დნესტრისპირეთმა შეიტანა ცვლილება შეთანმხებაში — მოლდოვა კონფედერაციული სახელმწიფო უნდა გამხდარიყო, რაც თავის მხრივ აღნიშნავდა მოლაპარაკებებში უკანსვლას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კონკრეტულ შეთანხმებებს ვერ მიაღწიეს, კიევის დოკუმენტზე დაყრდნობით მოლაპარაკებები მაინც გაგრძელდა და 2003 წელს ვორონინის კონსტიტუციური ინიციატივის შეთავაზებით დნესტრისპირეთი ხდებოდა მოლდოვის კონსტიტუციის თანაავტორი. აღნიშნული დოკუმენტი უფრო დეტალურად ითვალისწინებდა: სახელმწიფო ორგანოების ორი დონის სისტემა — საკანონმდებლო და ბიუჯეტის კომპეტენციების განაწილება ცენტრსა და დნესტრისპირეთს შორის; გარანტია რომ მიღებული კანონები შესრულდება; საერთო მოქალაქეობა, მო-

ნეტარული სისტემა, თავდაცვა და საბაჟო სივრცე; დნესტრიპირეთი უფლებას იტოვებდა თავად განესაზღვრა თავისი პოლიტიკა ენასთან დაკავშირებით — სახელმიფო ენა იქნებოდა მოლდოვური, ხოლო რუსული ოფიციალური ენა; დნესტრისპირეთი ასევე იტოვებდა უფლებას თვითგამორვევის უფლებაზე; ახალი კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო 6 თვის ვადაში JCC (joint commission on constitution)- ის მიერ, მოლდაველი, დნესტრიპირელი, რუსი და უკრაინელი ექსპერტების და ასევე ეუთოს მონაწილეობით.

პირველი პრობლემა, რომელიც წარმოიშვა კონფლიქტის მოგვარების გზაზე იყო მხარეების მიერ მოთხვოვნების არ შესრულება. განსაკუთრებით არასაკმარისი მხარდაჭერა იგრძნობოდა დნესტრიპირეთიდან. ამაზე რეაგირება საერთაშორისო საზოგადოებამ მოახდინა სანქციის სახით. 2003 წლის თებერვალში ევროკავშირმა, მისმა ასოცირებულმა წევრებმა და ა.შ.შ-მ სამგზავრო სანქციები დააწესეს დნესტრიპირეთის 17 ლიდერზე, პრეზიდენტი იგორ სმირნოვის ჩათვლით. თუმცა ეს კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა, რადგან იმის ნაცვლად რომ დნესტრიპირეთი უფრო აქტიურად ჩართულიყო და ეთანამშრომლა კონფლიქტის მოგვარებისათვის მათ საპასუხოდ 14 მოლდაველი ლიდერი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს პრეზიდენტის ჩათვლით. ლოგიკურ მსჯელობას არ იქნება მოკლებული თუ ვიტყვით, რომ დნესტრისპირეთის მსგავსი ქმედებები გამოწვეულია რუსეთის მხარდაჭერით. რუსეთის ფედერაცია კონფლიქტში ერთ-ერთ ძირითად აქტორს წარმოადგენს, რადგან სწორედ მისი მე-14 არმიისა (ამჟამად რუსული ძალების ოპერატიული დაჯგუფება) და ეკონომიკური დახამრებების მეშვეობით ინარჩუნებს დნესტრიპირეთი სეპარატისტულ რეჟიმს. არ შეიძლება ვისაუბროთ კონფლიქტის სამომავლო დინამიკაზე და არ გავითავლისწინოთ რუსეთის გავლენა მასზე. 90-იანი წლებიდან მოყოლებული მოსკოვი დნესტრისპირეთის კონფლიქტს აქტიურად იყენებდა მოლდოვის პროდასავლური მისწრაფებების შესაზღუდად. მან აიძულა კიშინოვი დსთ-ს წევრი გამხდარიყო. მოსკოვი დღესაც აგრძელებს კონფლიქტით

მანიპულირებას. მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან რამდენიმე თვეში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ღიად დაიმუქრა, რომ თუ სამომავლოდ კიშიონიოვი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების მიმართ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას შეცვლის, დნესტრისპირეთს უფლება ექნება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი, რაშიც ტირასპოლს სრული მხარდაჭერა ექნება.

კონფლიქტის გადაუწყვეტელობის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს დასავლეთის ლოიალური პოლიტიკა რუსეთის ამ პოზიციასთან, განსაკუთრებით 2014 წელს ყირიმში განხორციელებული მოვლენების ფონზე. აშკარაა, რომ რუსეთი უკან არ იხევს კონკრეტული, მკვეთრი და კონფლიქტური ნაბიჯების გადადგმისკენ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამჟამინდელი «ნეიტრალიტეტის» პოლიტიკა თუ გავითვალისწინებთ იმას რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში დნესტრიპირეთის კონფლიქტს ახალი სტრატეგიული დატვირთვა შესძინა. გაჩნდა საფუძვლიანი რისკი რომ რუსეთი თავის გავლენას დნესტრისპირეთში გამოიყენებდა სამხრეთ უკრაინაში დესტაბილიზაციისთვის. ამის პრევენციისთვის უკრაინამ გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი და აკრძალა დნესტრისპირეთიდან ბრძოლის უნარიანი მამაკაცების გადასვლა უკრაინის ტერიტორიაზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დნესტრიპირეთის დე-ფაქტო პარლამენტის მოთხოვნა რუსეთის მიმართ ეღიარებნა მისი დამოუკიდებლობა. უკრაინის გავლით რუსული სამხედრო ტვირთების ტრანზიტის აკრძალვის საპასუხოდ კი მოსკოვმა დნესტრისპირეთში ინტენსიური სამხედრო წვრთნები წამოიწყო, ხოლო ტირასპოლმა 2015 წლის ივლისში 18-დან 27 წლამდე მამაკაცების საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

ამ ფაქტებიდან ვასვკვნით, რომ რუსეთს არა მხოლოდ დნესტრისპირეთზე და ყირიმზე, არამედ მთელ რეგიონზე საკუთარი მიზნები აქვს და მის ინეტერესებში სულაც არ შედის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება.

ის რომ მოლდოვას თავის პროდასავლურ კურსში დიდ მხარდაჭერას უცხადებს რუმინეთი, სულაც არ ნიშნავს რაიმე კონრეტულ პასუხს რუსეთის ქმედებებზე. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით არ დგამს დასავლეთი რაიმე კონკრეტულ ნაბიჯს და კონფლიქტის გაყინულ მდგომარეობაში ყოფნა თითქოს აკმაყოფილებს, რაც, თავის მხრივ, არასწორი პოზიციაა თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი აძლიერებს თავის გავლენას სეპარატისტულ რეგიონზე, რაც არა მხოლოდ კონკრეტულად მოლდოვის, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. დღესდღეობით ფაქტია, რომ დასავლეთიდან არანაირი კონკრეტული ქმედებები არ ხორციელდება კონფლქიტის მოსაგვარებლად, მოლდოვას თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად მარტო უწევს გაუმკლავდეს სეპარატისტულ რეგიონს და რუსეთის მუდმივ ზეწოლას მის პოლიტიკაზე. უკვე აშკარაა, რომ ევროკავშირმა და ეუთომ (რომლების თავიდანვე ჩართული იყვნენ კონფლიქტის მოგვარებაში) უშუალოდ კონფლიქტში ჩართული სუბიექტების გარდა ისეთ აქტორებთან გამართოს მოლაპარაკებები, როგორებიც რუსეთი, უკრაინა და რუმინეთი არიან. რადგან მათ გარეშე, განსაკუთრებით კი რუსეთის ქმედებების შეჩერებისა და მის წინააღმდეგ ბერკეტების გამოყენების გარეშე კონფლიქტის მოგვარება ნაკლებ სავარაუდოა.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, დნესტრისპირეთის კონფლიქტს რთული ნიადაგი აქვს და მისი წარმოშობის მიზეზები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. ვნახეთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება უკვე 20 წელზე მეტია სხვადასხვა დიპლომატიური ხერხით ებრძვის აშკარა აგრესიულ აქტორს და სახეზეა ამ მცდელობების წარუმატებლობა იმით, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ ინარჩუნებს «გაყინულის» სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის უშუალო მიზეზების უმეტესობა დღეს უკვე აღარ დგას, დღის წესრიგში ტერიტორიული დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა ვერ ხერხდება. ამის ძირითადი მიზეზი კი ის

არის, რომ თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ მხარეს აწყობს მისი მშვიდობიანი გადაწყვეტა და სტაბილური, მშვიდობიანი განვითარება, მეორე მხარის მიზნებისა და მისწრაფებისათვის უფრო ხელსაყრელია ის არასტაბილური, კონფლიტური მდგომარეობა, რასაც დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეგიონი წარმოქმნის არა მხოლოდ მოლდოვის რესპუბლიკაში, არამედ მთელს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში.

ფაქტია, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების ან უფრო დაძაბულ ფაზაში გადასვლა მეტადაა დამოკიდებული რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე და კონფლიქტის არაპირდაპირ აქტორების ქმედებებზე, ასევე მათ უმოქმედობაზე. შეუძლებელია იგი განვიხილოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარე სხვა კონფლიქტებისგან იზოლირებულად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი განვითარება მეტადაა დამოკიდებული იმაზე რა ინტენსივობით, ან საერთოდ გააგრძელებს თუ არა კიშინოვი ევროკავშირთან თანამშრომლობას და რა იქნება ევროკავშირის ქმედებები რომ შეაჩეროს და საბოლოოდ აღმოფხვრას ის ბერკეტები, რომელთაც რუსეთი ჰიბრიდულ ომს აწარმოებს მოლდოვის წინააღმეგ და ამას წარმატებით იყენებს მისი მანიპულირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნატროშვილი, დავით. დნესტრისპირეთი - კონფლიქტი-სისტორია, თანამედროვეობა, მომავალი, ინტერნეტი, ბოლო ნახვა,7ივლისი, 2017წ. *(Natroshvili, David. Transnistria – the history of conflict, modernity, future.* Internet, last seen, 7 July, 2017.)

2. «Зеркалонедели»*.ЛавровпригрозилМолдовеотделением* http://www.the-american-interest.com/2013/10/23/moldova-looks-to-europe-as-russian-influence-declines-throughout-region/ ინტერნეტი, ბოლო ნახვა, 7 ივლისი, 2017წ.(«Mirror of the week». Lavrov threats Moldova to secede. http://www.the-american-interest.com/2013/10/23/moldova-looks-to-europe-as-russian-influence-declines-throughout-region/ Internet, las seen, 7 July, 2017.)

3. GRIBINCEA, A. 2006*. Transnistria: Use of Referendum as an instrument to manipulate the public opinion.* http://www.moldova.org/transnistria-use-of-referendum-as-an-instrument-to-manipulate-the-public-opinion-21033-eng/. 4.01., 2017ნ.

4. Hehzenhorn. D. 2013. *Russia Putting a Strong Arm on Neighbors*.http://www.nytimes.com/2013/10/23/world/europe/russia-putting-a-strong-arm-on-neighbors.html?ref=world&-r=1&pagewanted=all&\. 7. 07.2017ნ.

5. International Crisis Group. 2003. *Moldova: No Quick Fixs.* P.2-15

6. NYTIMES.2013. *Russia Putting a Strong Arm on Neighbors* http://www.nytimes.com/2013/10/23/world/europe/russia-putting-a-strong-arm-on-neighbors.html?ref=world&-r=1&pagewanted=all&\ 7.07., 2017.

7. Rodkiewics, Witold. 2011. *Transitrian Conflict After 20 Years.* P.12-21

8. RUSSELL,W. 2013. *Moldova Looks to Europe as Russian Influence Declines Throughout Region*. http://www.the-american-interest.com/blog/2013/10/23/moldova-looks-to-europe-as-russian-influence-declines-throughout-region/ 7.07., 2017.

9. Tanas,A. 2013*. Russia warns Moldova over its pro-Europepush*http://articles.chicagotribune.com/2013-09-03/news/sns-rt-moldova-russia-20130903-1-dmitry-rogozin-russian-deputy-prime-minister-ukraine. 7.07., 2017.

10. Wolff, Stefan. *What kind of settlement for the Transnistria Conflict? Options and Guarantees*. P. 9-12

HYBRID WARS IN POST SOVIET AREA: CASE - TRANSNISTRIA WAR – ATTEMPTS FOR SETTLING THE CONFLICT AND THE EEASONS OF FAILURE

Keti Arjevanidze, Neliko Mateshvili,
Bachelor's students, TSU

RESUME

After the fall of the Soviet Union, the republics found help in western countries. Democracy, human rights and freedom became their main values and Russia has lost its influence in this region. Among the post-soviet states Russia's main focus is on political course of Georgia, Moldavia and Ukraine.

Russian aggression was aimed towards these particular countries. Although the principles of sovereignty and territorial integrity makes him slow down on his way to dominating this region. Russia planned to grow on account of Europe's economic dependence on Russia, but soon they realized that the interruption of economic relations was harmful for both sides. So Russians decided that hybrid war was the only way to keep his influence. Hybrid war contains complex actions and helps to fulfill national interests of Russia. In Moldova's case Russia started hybrid war in 1990s by using the separatist Transnistrian region. Although this is not an ethnical conflict anymore. This conflict doesn't only consist of Russia and Moldova. The EU is also involved and it is main focus of international society.

Key words: conflict, wars, peace, western course, solutions, negotiations, confrontation, influence, target.

ეკონომიკური პრობლემები 1930-იანი წლების ევროპასა და ამერიკაში

თორნიკე თევდორაძე
ლუკა პანაიოტი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

1930-იან წლებში უკიდურესად დაიძაბა ეკონომიკური სიტუაცია ამერიკასა და ევროპაში. ამერიკა დიდმა დეპრესიამ მოიცვა, რომელსაც არც თუ მცირე გავლენა ჰქონდა ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოზე. ამ პერიოდში დოლარი გაუფასურდა, ბანკები დაიხურა და სიღარიბემ მოიცვა ქვეყანა, უმუშევრობამ პიკს მიაღწია. მოსახლეობაში დიდი გაჭირვება სუფევდა. (Roberts Michael, 2009). ეკონომიკურმა დეპრესიამ ამერიკაში მსგავსი პროცესები გამოიწვია ევროპაშიც. 1933 წლისთვის ქვეყანა უკვე დიდი პრობლემების წინაშე იდგა, აშშ-ს პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი კი კვლავ არ აპირებდა თავისუფალი ბაზრის თამაშის წესებში ჩარევას. (Robbins Lionel, 2010, 10-12) ფრანკლინ დელანო რუზველტმა, შემდეგმა პრეზიდენტმა კი გაატარა «ახალი კურსი», რაც გულისხმობდა თავისუფალი ბაზრის სისტემაში ჩარევას. ეს იყო სწორედ კონსერვატიული ამერიკის მთავრობის პირველი ჩარევა თავისუფალი ბაზრის მიმდინარეობაში. საკითხის აქტუალობას ზრდის ის ფაქტიც, რომ კრიზისი მიმდინარეობდა ორ მსოფლიო ომს შორის, მოიცვა სულ მცირე ორი კონტინენტი და გამოიწვია ახალი ძვრები მსოფლიოში. ფრანკლინ რუზველტის სწორი პოლიტიკის გამო, ის იყო ერთადერთი აშშ-ს პრეზიდენტი რომელიც 2 ვადაზე მეტჯერ აირჩიეს პრეზიდენტად. (Bernanke Ben, 1983, 3-10) სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ «ახალი კურსის «გამო გამოვიდა აშშ გამარჯვებული მეორე მსოფლიო ომიდან და გარდაიქმნა მსოფლიო ჰეგემონ სახელმწიფოდ. საერთო ჯამში ფრიად საინტერესოა გამოვიკვლიოთ ეკონომიკური პროცესები ორ წამყვან კონტინენტზე

და შესაძლო ურთიერთკავშირი მეორე მსოფლიო ომთან.

საკვანძო სიტყვები: დიდი დეპრესია, ახალი კურსი, კრიზისი, საფონდო ბირჟა, უმუშევრობა, სიღარიბე, მიგრაცია, არჩევნები

ძირითადი ტექსტი

დიდი დეპრესია იყო მასიური გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მან გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება, რეკორდული უმუშევრობა, ისევე, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ინდუსტრიული წარმოების, აქციათა ბაზარზე ფასთა და ასევე პრაქტიკულად ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრის მკვეთრი ვარდნა.

1920-იან წლებში, აქციების ფასი მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ეს არ იყო გასაკვირი, რადგან ოციანი წლები იყო ინოვაციების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პერიოდი. ავტომობილების წარმოება ათჯერ უფრო მეტად გაიზარდა. საოჯახო მეურნეობებში ელექტროობის, ტელეფონებისა და შიდა წყალგაყვანილობის განვითარებას მოჰყვა ეკონომიკის სწრაფად განვითარება. სავარაუდოდ, ეს იყო პერიოდი, როდესაც ამერიკელების ცხოვრება ყველაზე მეტად განვითარდა სხვა პერიოდებთან შედარებით. 1920-1929 წლებში ამერიკის ეკონომიკა დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა, რასაც ეწოდა «მოღრიალე ოციანები» (roaring twenties). (Murray Newton Rothbard, 2000, 56-60) ამის ფონზე ხალხმა ბანკის ვალებით დაიწყო საქონლის ყიდვა მაშინაც კი როცა გადახდის საშუალება არ ჰქონდათ, როდესაც ბაზარი დაინგრა, ინვესტორებმა ყველაფერი დაკარგეს. ბანკები დაიხურა რადგან სესხები არ იყო დაბრუნებული ბანკში.

ეკონომიკური ზრდის ფონზე აქციებით სპეკულაცია უოლ სთრითზე პრაქტიკულად ჰობი გახდა, მოსახლეობის უმეტესობას სურდა თავისი წილი ჰქონოდა საერთაშორისო ბაზარზე, ეს უკვე პრესტიჟის საკითხად იქცა. 1929 წელს ეკონომიკა პირველად შეფერხების წინ დადგა, რადგან ბაზარი უკვე ვერ იტევდა

იმდენ პროდუქციას, რამდენსაც აწარმოებდა ქვეყანა, დაიწყო აქციების ფასის სწრაფი ვარდნა. იმის გამო, რომ აქციების უმეტესობა სესხებით იყო ნაყიდი და არც ნაღდი ფული აღარ იყო მიმოქცევაში, ასეთი აქციონერები საერთოდ გარიცხეს საა-ქციო ბაზრიდან.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმერულ კრიზისს, რომელსაც რამდენიმე ძირითადი თავისებურება ახასიათებს. ფერმერები იძულებული იყვნენ სესხები აეღოთ საქონლის საყიდლად და ამავე დროს საქონლის წარმოების საკმაოდ დაბალი შეფასების გამო არ შეეძლოთ გადაეხადათ სესხები, ანდა დაეფარათ დანახარჯები. ეს კი თავისთავად კიდევ უფრო ბევრი ბანკის დახურვას იწვევდა. (History,2017)

დიდი დეპრესია 1929 წელს დაიწყო და 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამავე წლის ზაფხულამდე სიტუაცია შეძლებისდაგვარად სტაბილური იყო ამერიკაში, თუმცა ოქტომბერში მკვეთრად დაიწყო აქციების ფასის დაცემა. 1929 წლის 23 ოქტომბერს დოუ ჯონსის ფასის ინდექსი 21 დანაყოფით დაეცა, შემდეგ 6 დღეში კი ეს მაჩვენებელი 76-ს გაუტოლდა. 24 ოქტომბერს wall-street-ზე რეკორდული, 12,9 მილიონის აქციები გაიყიდა, რასაც «შავი ხუთშაბათი» ეწოდა. (Robbins Lionel, 2010) ყოველივე ეს გამოიწვია მოსახლეობის შიშმა ჩალის ფასად არ დაეკარგათ აქციები, ამიტომ გადაწყვიტეს საკუთარი აქციების გაყიდვა ოქროზე ან ნაღდ ფულზე, რომელსაც შემდეგ უკვე სახლში ინახავდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ ფულს ეტრიალა ეკონომიკაში. უკვე 29 ოქტომბერს საფონდო ბირჟაზე 16 მილიონის აქციები გაიყიდა, ამ დღეს ეწოდა «შავი სამშაბათი». საფონდო ბირჟის კრახს თან დაერთო ბანკების ინტენსიური დახურვა. 24-29 ოქტომბერს მიმდინარე მოვლენებით შეშინებულ მოსახლეობას ბანკებიდან ანაბრები გამოჰქონდათ ნაღდი ფულისა და ოქროს სახით. 1932 წლისათვის 9 000-მდე ბანკი დაიხურა. მოსახლეობამ საკუთარი ფულის «მატრასებში» შენახვა დაიწყეს, რადგან უკვე არცერთ ბანკს აღარ ენდობოდნენ, მაშინ როცა მათი ანაბარი დაზღვეულიც კი არ იყო. (Office of the Historian,2017)

ჰელბერტ ჰუვერი კი კვლავ არ აპირებდა თავისუფალ ბაზარში ჩარევას. უკიდურეს სიტუაციაში გამოყოფს მცირედ ფინანსურ დახმარებებს, თუმცა სიტუაცია კვლავ მწვავდება. მან აიძულა ღია ბანკების უმეტესობა გაეცათ უფრო მეტი სესხი, რამაც უკუშედეგი გამოიღო, რადგან ბანკებში აღარ დარჩა ნაღდი ფული მიმოქცევისათვის. სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. (Khanacademy, 2017) მოსახლეობის უმეტესობა უსახლკაროდ დარჩა ბანკში გადაუხდელი ვალების გამო, ამას დაერთო შიმშილობა, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო ფერმერული კრიზისით, როცა ფერმერებმა მოსავალი მიატოვეს, რადგან მისი აღება და შენახვა უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე მისგან მიღებული შემოსავალი. ამას დაერთო ე. წ «dust bowl», ეს იყო ძლიერი ქვიშიანი ქარები, რომელიც ცენტრალური ამერიკიდან სამხრეთისკენ მოძრაობდა და გზად ნებისმიერ ნათესს ანადგურებდა, ამან გამოიწვია შიდა მიგრაციებიც. ამერიკელები ცენტრალური შტატებიდან დასავლეთით ან ჩრდ. აღმოსავლეთით მიემართებოდნენ უკეთესი პირობების საძიებლად.(History, 2017) უმუშევრობამ მოიცვა ქვეყანა, 1930 წლისათვის 4 მილიონი ამერიკელი იყი დაუსაქმებელი, 1931 წლისათვის — 6, 1932-33 წლებში კი ეს მაჩვენებელი 15 მილიონს გაუტოლდა, რაც ამერიკელთა დაახლოებით მესამედს წარმოადგენდა. (Bernanke Ben, 1983).

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დიდი დეპრესია გამოწვეული იყო საფონდო ბირჟის კრახით 1929 წლის ოქტომბერში. მაგრამ ბოლო დროს, ეკონომისტთა უმრავლესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ საფონდო ბაზრის კრახი 1929 წელს არ ყოფილა დიდი დეპრესიის პირდაპირი მიზეზი, არამედ უფრო შედეგი, რომელმაც კატალიზატორის როლი შეასრულა და მოვლენების დრამატულ განვითარებამდე მიგვიყვანა. იმდროინდელი ეკონომიკური მონაცემების სტატისტიკის შესწავლით ნათელი ხდება დეპრესიის უფრო ღრმა მიზეზები, რომელსაც ასევე თან სდევდა ევროპის ეკონომიკური დაღმასვლა. იმის გამო რომ I მსოფლიო ომი ძირითადად ევროპის კონტინენტზე მიმდინარეობდა, ყველაზე მეტად სწორედ ევროპული ქვეყნები დაზარალ-

დნენ. მათი ეკონომიკა დაინგრა, ინფრასტრუქტურა განადგურდა, ყველაფერს თავიდან სჭირდებოდა შენება, გარდა ამისა, დიდი ომი ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეხებია, ის მხოლოდ ფინანსურად ეხმარებოდა ანტი- გერმანულ კოალიციას, ევროპის ქვეყნები დიდად დამოკიდებულნი გახდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რაც გამოიხატებოდა 1920-21 წლებში ამერიკული სესხებით ევროპული ქვეყნებისადმი.(Clavin Patricia, 2000) 1929 წლამდე ყველაზე ცუდ მდგომარეობაში გერმანია იყო. პირველი დარტყმა სწორედ გერმანიამ მიიღო, 1930 წლისათვის 5 მილიონზე მეტი გერმანელი იყო დაუსაქმებელი, ქარხნები დაიხურა, ინვესტიციები შეჩერდა, თუმცა ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელებულა ჰიტლერის სწორი პოლიტიკის გამო. მან ყოველი გერმანელი დაასაქმა ძირითადად საბრძოლო ტექნიკის წარმოებაში. ქვეყანამ ომისთვის მზადება დაიწყო. (Clavin Patricia, 2000) სავალალო მდგომარეობა იყო განადგურებულ ავსტრიაშიც, რომელიც დიდად იყო დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი 1930-იან წლებში ჰეგემონის სტატუსს ინარჩუნებდა, ის უკვე ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს ამერიკის სასარგებლოდ. ამ დროისათვის ის დიდად იყო დამოკიდებული ამერიკის ინვესტიციებზე. 1918 წელს, ოქროს სტანდარტიდან გამოსული დიდი ბრიტანეთი 1925 წელს კვლავ შეუერთდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. უმუშევრობამ მოიმატა ქვეყანაში, ფუნტმა სტერლინგმა გაუფასურება დაიწყო, შესაბამისად ბრიტანულმა მთავრობამ გადაწყვიტა გადასახადები აეწია იმპორტზე და ექსპორტი გაეზარდა, მიუხედავად ამისა მაინც დაძაბული სიტუაცია სუფევდა მანამ, სანამ ამერიკაში სიტუაცია არ გამოსწორდა რუზველტის პოლიტიკით. დიდმა დეპრესიამ ყველაზე ბოლოს და ყველაზე ნაკლებად საფრანგეთს დაარტყა, მართალია ფრანგული კუპიურის ფასი დაეცა მცირედით, თუმცა საფრანგეთმა შეინარჩუნა ერთიანი ეკონომიკა საკუთარი წარმოების ხარჯზე. საბოლოოდ ევროპულმა ქვეყნებმა მაშინ ამოისუნთქეს, როცა დეპრესია ნაწილობრივ დაძლეულ იქნა ამერიკაში. (Clavin Patricia, 2000)

1932 წელს აშშ-ში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ფრანკლინ დელანო რუზველტმა ადვილად დაამარცხა ჰელბერტ ჰუვერი. ფრანკლინ რუზველტმა, ინაუგურაციის დღიდანვე, 1933 წლის 4 მარტიდანვე დაიწყო აქტიური პოლიტიკის გატარება. 4 მარტიდან 9 მარტამდე მან გამოაცხადა საბანკო არდადეგები (banking holidays), რომელიც რეალურად 13 მარტამდე გაგრძელდა. 9 მარტს შეკრებილმა კონგრესმა მიიღო «საგანგებო საბანკო აქტი», რომლის ძალითაც რუზველტს ეძლეოდა უფლება დაეხურა ყველა ბანკი და დაეტოვებინა მხოლოდ ის, რომელიც შეძლებდა კრიზისთან გამკლავებას. ამასთანავე ის ბანკებს დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა ფედერალური ბანკიდან. შესაბამისად საბანკო სისტემა შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა, თუმცა საჭირო იყო ამერიკელ ხალხში ნდობის ამაღლებაც, რაც რუზველტმა მოახერხა რადიო მიმართვებით, ე. წ «Fireplace Chats». (JOHN E. MOSER, 2013). 1933 წლის 5 აპრილს რუზველტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ყოველ მოქალაქეს უნდა ჩაებარებინა ოქროს მონეტა, ზოდი თუ სერთიფიკატი ფედერალურ ბანკში 1 უნცია 20,67 ამერიკულ დოლარად.(History, 07.17) ამასთანავე მან აკრძალა ნაღდი ფულის, ოქროსა და ვერცხლის ექსპორტი. სწორედ ეს იყო «ახალი კურსის» დასაწყისი, რომელიც გულისხმობდა მთავრობის კონცენტრაციას სამი მიმართულებით: დახმარება, აღდგენა, რეფორმა.

მან დააარსა ფედერალური საგანგებო დახმარების ასოციაცია (FERA), რომელიც ფინანსურად ეხმარებოდა ადგილობრივ კომპანიებს გარკვეულ პროექტებში. მისივე ინიციატივით დაარსდა ასევე «Tennessee Valley Autority» (TVA), რომელიც გულისხმობდა დამბების მშენებლობას აღნიშნულ ტერიტორიაზე, რაც შესაბამისად უზრუნველყოფდა მოსახლეობის დასაქმებას, საირიგაციო სისტემის ჩამოყალიბებას, წყალმოვარდნების კონტროლსა და, რაც მთავარია, ელექტრო ენერგიის მიღებას. ის დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. «ახალი კურსის» ფარგლებში შეიქმნა ასევე «სახალხო დასაქმების პროგრამაც» (WPA), რომელიც ფინანსდებოდა FERA-საგან და ითვალისწი-

ნებდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მეორე მხრივ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. კიდევ ერთი პროგრამა რომელიც შეიქმნა რუზველტის ინიციატივით იყო «დეპოზიტური დაზღვევის ფედერალური კორპორაცია» (FDIC), რომელიც ფედერალური ბანკის თანხებით აზღვევდა მოსახლეობის დეპოზიტებს, რამაც ხელი შეუწყო ბანკებისადმი ნდობის ამაღლებას. (Hardman John, 2017) შრომითი ურთიერთობების, იგივე «ვაგნერის აქტით» კი მუშებს ეძლეოდათ უფლება მუშათა გაერთიანებებში გაწევრიანების შესახებ და ამასთანავე ქალებს აძლევდა მუშაობის უფლებას. (FDR Presidential Library & Museum, 2017) რაც შეეხება, «სოციალური დაცვის აქტს», მისი ძალით მთავრობა აგროვებდა სოციალური დაცვის გადასახადს ყოველი დასაქმებულისგან და ითვალისწინებდა პენსიების გადახდას მოხუცებულებისა და უნარშეზღუდულთათვის. (HardmanJohn,2017)

დასკვნა

საბოლოო ჯამში, «დიდი დეპრესია» დაასრულა მეორე მსოფლიო ომმა და არა «ახალმა კურსმა», თუმცა მისი გავლენის ეფექტიც აშკარაა. აშშ-მ გერმანიისგან და შემდეგ ევროპული სახელმწიფოებისგან მიიღო დიდი შეკვეთა საბრძოლო იარაღის დასამზადებლად, რაც ორმხრივ სასარგებლო იყო ამერიკისთვის. ერთი მხრივ, ის მიიღებდა «გასამრჯელოს» იარაღის სანაცვლოდ და მეორე მხრივ გამოიყენებდა რკინასა და მეტალს, რომელიც დიდი რაოდენობით იყო დაგროვებული ამერიკის საზღვრებს შიგნით. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, «დიდმა დეპრესიამ» არა მხოლოდ ამერიკა მოიცვა, არამედ ევროპაც. ხელი შეუწყო საერთაშორისო სისტემის მოდიფიკაციასა და აშშ-ს ჰეგემონობის სტატუსის გაზრდას, რომელიც საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიმკვიდრა. «დიდმა დეპრესიამ» ნათლად დაგვანახა კონსერვატიული პოლიტიკის უუნარობა აღმოეფხვრა კრიზისი და მოგვცა საუკეთესო მაგალითი მომავლისათვის, რომელსაც ალბათ არა მხოლოდ ამერიკა, არამედ არცერთი განვითარებული ქვეყანა არ დაუშვებს.

ლიტერატურა/ REFERENCES:

1. John e. Moser, «The Great Depression»,Published 2013 by Blackwell Publishing Ltd.

2. Murray Newton Rothbard, «America's Great Depression», 2000, Fifth Edition, Mises Institute, p. 9-14, 56-60

3. Psalidopou]os Michalis, «The Great Depression in Europe: Economic Thought and Policy in a National Context», alpha bank, Historical Archives, Athens 2012. P. 129-132, 153-157.

4. Robbins Lionel, «The Great Depression», e-book publication 2010, Transaction Publishers, originally published in 1934 in New York by Macmillan Company.P.10-12

5. Bernanke Ben, «non-monetary effects of the financial crisis in the propagation of the great depression», 1983, national bureau of economic research, Massachusetts, Cambridge

6. Office of the Historian, «The Great Depression and u.S. Foreign Policy», milestones: 1921–1936, www.history.state.gov, 16.06.2017

7. Clavin Patricia, «The Great Depression in Europe», 31.09.2000, www.historytoday.com, 08.07.17.

8. Roberts Michael, «The Great Depression», 2009 published on London Progressive Journal, www.londonprogressivejournal.com, 09.06.17

9. History, «the great depression», www.history.com, 16.06.2017

10. History, «fdr takes United States off gold standard», www.history.com, 09.07.17

11. Khanacademy, «The presidency of Herbert Hoover» www.khanacademy.org 09.07.17.

12. Fdr Presidential Library & Museum, «fdr and the Wagner Act», www.fdrlibrary.org, 09.07.17

13. Hardman John, «The Great Depression and the New Deal», www.web.stanforde.edu, 09.07.17.

ECONOMIC PROBLEMS IN THE 1930'S EUROPE AND AMERICA

Tornike Tevdoradze,Luka panaioti
Bachelor Students, TSU

RESUME

In the 1930s, the economic situation in the United States and Europe was extremely tense. America suffered from the great depression, which had a huge impact on Europe and the rest of the world. During this period the dollar impaired, the banks closed and the poverty covered the country, the unemployment reached its peak. The population suffered from the great hardship. (Roberts Michael, 2009). The Economical depression in America has caused similar processes in Europe as well. By 1933 the country was already facing big problems, but the US President Herbert Hoover still did not intend to interfere in the rules of the free market game. (Robbins Lionel, 2010, 10-12) Franklin Delano Roosevelt, the next president, has developed a „New Course", which meant interfering with the free market system. This was the first intervention of the conservative US government in the process of the free market. The fact that the crisis took place between the two world wars covered at least two continents and triggered new shifts in the world, increases the importance of the issue. Because of Franklin Roosevelt's right policy, he was the only US president to be elected for more than 2 terms (Bernanke Ben, 1983, 3-10). Apart from many other reasons, it is said that the «New Course» leads the U.S. to win the World War II and transformed into the world hegemony. Overall, it is very interesting to investigate the major economic processes on the two leading continents and possible interconnections with the World War.

Key words: The Great Depression, New Deal, crisis, stock market, unemployment, poverty, migration, elections.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 5.07.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.07.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,5.